



ლიტერატურული მეხსეთი


№13 (303)
დეკემბერი
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

“LITERATURULI MESKHETI”

შ ე ნ ა მ დ ე

გურამ ქართველიშვილი



ხან ქალი ვიყავ თამარი,
საქართველოსთვის მოქმედი.

სისხლით დავბანე ერწუხი,
დიდგორს დიდება ვანახე,
ნიკოფსით – დარუბანდამდე
ველარ ვითვლიდი სანახებს.

მონღოლმა მომკლა დემეტრედ,
მაინც ბრწყინვალედ აღვდექი,
მამულს ლენგისგან ნაოხარს
გიორგიდ გამოვადექი.

ლუარსაბ მეფედ მოვედი,
მოვედი სვიმონ პირველად,
აბჯროსან ეპისკოპოსად,
ხმალდახმალ თავის მწირველად.

მარტყოფის სული ვიყავი,
მარაბდას კაცის სახელი,
არ იყო ძეხორციელი
ჩემი დაცემის მნახველი.

მოველ ბიძინად, ზეზვად და
ნადირა ხოშარაულად,
ბახტრიონები დავლენე
ერთობით, მხარდამხარულად.

წიგნი ვამრავლე ვახტანგად,
ერეკლედ ლომი ვომობდი,
სულზე მოვეუსნარ ილიად,
როდესაც ველარ ვტომობდი.

ივანედ მოველ,
სინათლედ,
სამეცნიერო კერებად,
რენესანსული შედეგით,
ხანძთელთა გადმომღერებად.

მე მანდ შენამდე ვცხოვრობდი,
ეგ მინა ჩემი ძვლებია,
რაც დაგრჩა,
შვილო,
სამკვიდროდ,
ჩემი ხელშენავლებია.

ომების საქართველოში
მახვილით ვიბადებოდი,
ხმალთანვე ერთად მმარხავდნენ,
როცა ბრძოლებში ვკვდებოდი.

ქრისტეს მართმევედნენ სულიდან,
ხორცი არ მეზოგებოდა,
ამადაც არსად მტოვებდა,
მადლად,
წყალობად დგებოდა.

ზოგჯერ ვახტანგად დამბადა,
ჩანაც დავითად მოვედი,



ქეთევანობა შევძელი,
არ იყო ტვირთი ქალისა,
წამებით ავამოქმედე
გამარჯვებანი ხვალისა.

მე მანდ შენამდე ვცხოვრობდი,
მინაში ჩემი ძვლებია,
ქართველი მქვია სახელად,
ათასეული წლებია!

სიკლიან:
„მუჰაჯირობა“

გაქან სორაჰვა

(გაგრძ. დასაწყ. წინა ნომერში)

მიუხედავად იმ შიშისა, რომელიც სამურ-ზაყანოელს ჰქონდათ, მუჰაჯირობა მათ არ შეეხებია, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ მოსახლეობა ძირითადად ქართული იყო, ხოლო აფხაზები, ვინც აქ ცხოვრობდნენ, ქრისტიანები იყვნენ. აფხაზები ნებაყოფლობით ქრისტიანობა-

აფხაზთა მუჰაჯირობა

საც იღებდნენ, რომ დარჩენა მოეხერხებინათ. ცნობილია ასეთი ფაქტიც: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას (1921-1927) ცნობით, მუჰაჯირობის დროს, აფხაზეთის ეპისკოპოსთან, ყოვლადსამღვდელო აღექსანდრე ოქროპირიძესთან (1862-1869), რომელიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა აფხაზებში, მისულა მაჰმადიანი აფხაზი, სახელად ურუსი, 12 წლის შვილთან ერთად. მან მღვდელმთავარს აუხსნა მოსვლის მიზეზი – *შენთან მოვედი*

კეთილო მწყემსო, მე ოსმალეთში მივდივარ, სამშობლოს სამუდამოდ ვეთხოვები და ჩემი ვაჟი მინდა დავტოვო შენთან. ცოლი და სხვა შვილები ადრე დავკარგე, არ ვიცი რა მომეღივოს უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვტოვებ სამშობლოს. არ მინდა ჩემი უბედურება ჩემს ერთადერთ შვილს გაეუზიარო და შენთან მოვიყვანე. ვიცი მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და ბედნიერი იქნებაო. თვალცრემლიანი მამა დაემშვიდობა შვილს, რომელიც ეპისკოპოსმა აღექსანდრემ აღზარდა, მღვდელი გა-

ხადა და დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტიანობას აფხაზეთში. გაზეთი „დროება“ აფხაზთა გადასახლების პროცესს ასე აღწერს: *ნავსადგურში, რომელსაც ჯარის ნაწილები იცავდნენ, ორი მხრით თოკები იყო გაბმული, რომ წამსვლელები და გამცილებლები ერთმანეთს არ შერეოდნენ. დოლის ცემით წამსვლელებს მოუხმობდნენ და გამოსათხოვარ მუსიკას*

პროზა

ნიმუჰა

ომის ჩანახატები

თამარაშენში უპოვიათ. მაცხოვრის ეკლესიასთან. ცალი მუხლზე მდგარა. თავდახრილი. ნატყვიარი ზურგით. ეკლესიის კედელს მიყრდნობილი. დედას უპოვია. ჯერ ფეხი ... ფეხსაცმლიანი, სხეულის გარეშე. შემდეგ კვალი მუწუნისაგან ყაყაჩოსფერი. გული გაჰყვიალია ნაკვალევს. ეკლესიისთვის მიყოფილია, საითაოდ გადაუთვლია ქვის ლოდები... სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრები ამოუკითხავს... ის კი, ისე იქ იდგა თითქოს. თვალი დაუხუჭავს დედის გულს... საკუთარი ნერვები დაუგლეჯავს. ცალმუხლმოდრეკილის მიღმა მიუძვარავს მზერა... გულს ვერ გრძნობდა... თავისას არა. მიშმა მიიყვანა. დაკოფილი ხელები შემოახვია მის ზურგს და მოაბრუნა... ყაყაჩოსფრად იწვეთებოდა ცარიელი მუხასყარი. ქვის ლოდად ქვეულა დედის სხეული. გული კი ახლაც დაიარება ლიხვის პირას... შეილის ამოგლეჯილი გულს დაეძებს... მაცხოვრის ეკლესიასთან მლოცველი შეილის გულს... თამარაშენში უპოვიათ. მაცხოვრის ეკლესიასთან. დედას უპოვია...

პაპა გიორგი

ზარს ჩამოეკრა არკნეთში. პაპა გიორგი გარდაცვლილა... მზემონყენილი ამინდი თენდებოდა არკნეთ-სოფელში. სოფლის ნახილი გამთენიისას შეფენილიყო გადახრუკულ მინდვრებზე. რამდენიმე მათგანი უკან ჩამოსულიყო და გზის გასაყარზე იდგა უნესრიგოდ... დიდი კაცი იყო პაპა გიორგი, დიდი კაცი დიდი გულით. ფართო გაშლილი მხრები ჰქონდა — მთელი ქვეყნის დარდს რომ დაიტევდა, ისეთი. საკუთარი ოჯახი ენატრებოდა პაპა გიორგის, საკუთარ სამშობლოში საკუთარი ოჯახი. კერას არ ტოვებდა პაპა გიორგი, საკუთარ სამშობლოში, საკუთარი ოჯახის მონატრებულ კერას. პატარა გიორგი ჰყავდა დიდ გიორგის. მისი კერის ცეცხლს იხსნავდა პაპა გიორგი... ცხინვალ-კაცობას ჩემულობს პატარა გიორგი. ერთხელ მყავს ნანახი. მთას ჰგავდა, შეუვალ კლდეს. ჩემს ხმას ლოცავდა — ჩიტების ჭიჭიკის ახს-გაცხებდა. ჩემს დედას ლოცავდა კიდევ, ჩემი გაზრდისთვის — მისი გიორგის დედის გაზრდისთვის... მერცხლის ბუდეებით ავსებულა ცეცხლჩაუქრალი კერა. გზის გასაყარზე იდგა ბაგას მოუსვლელი საქონელი...

დახლართულ მავთულს მიღმა იდგა დიდი გიორგის შვილი და პატარა გიორგის მამა... ჩაუქრალ კერაზე დატოვებული გულით იდგა. საკუთარი ჭერის ქვეშ... მერცხლის ბუდეებისკენ განვდილი ხელებით... მოუთმენლად ელოდებოდა ყოველ გაზაფხულზე მათ გამოჩენას... საფლავზე ჩაუქრალი სანთლის ამბავი მოაქვით მისთვის... ზარს ჩამოეკრა არკნეთ-სოფელში, პაპა გიორგი გარდაცვლილა. მისი გული ძველს ჩვენს ოჯახში. ჩემს ქვეცხოვირს ანათებს მის კერაზე ჩაუქრალი თავფლის სანთელი...

პაპა გიორგი

მთელი ღამე ისმოდა სროლა. ესროდნენ შვილებს, მათ შვილებს და შვილების შვილებს... მთელი ღამე არ იძინა პაპას. არც დანოლა უფიქრია, არც დაჯდომა, არც უძრავი, ჩამოჯდომა. არც ძილი ეკარებოდა, არც შიში, არც სიკვდილი. პატარა კაცი იყო, ჩია კაცი. დიდი გული ჰქონდა, შუასაყარში არ ეტყოდა მისი გული. ამიტომ სულ გარეთ იმზირებოდა ნაჭრილობები შუასაყარში. არც მის გულს ემზირებოდა. მთელი სოფლის დარდს იტევდა. დიდი თვალები ჰქონდა მის გულს. ბევრი ადამიანის სევდა ეტყოდა მის ფსიქრზე... ერთი უხილავი სხივი იმალებოდა პაპას თვალებში. მზეს ჩამოსტეხოდა ეს სხივი... დაფერფლილი სამყარო ვერ ამინებდა ამ სხივს. კლდესავით იყო პაპა... მთელი ღამე დადიოდა... ჩუმად იბარებოდა საკუთარ ბაღში... ცალი ფეხი ჰქონდა პაპას. ცალი ფეხით მიიპარებოდა, ჩამოხლებდა არარსებულ მუხლზე და კვალს ნაშლიდა. ზურჯი ჰქონდა პაპას, სხვა დროს ჩურჩხელეებით ავსებდა ან საკუთარ ბაღში დაკრეფილი გამლეთით. ფერი დაჰკარგოდა ზურჯის. ტყვიას გაეხვირებოდა ალა-ალავა. ცალი მკლავზე მოეკიდა ზურჯი. ცალი მკლავი ჰქონდა პაპას. ლიხვის მიღმა დარჩენია მეორე. თვალზე მოუკრავს. არარსებულ მკლავი სტკიოდა პაპას... გული ეკუმშებოდა... ლიხვის ანითლებულ ნაპირებს დასტრიალებდა მისი ფიქრები... ქალის კვილმა შესძრა სამყარო... პაპას ბაღში კიოდა ქალი. სხვა კვილი იყო ეს, სხვა ტყვილი. ჩამოტყვილი სხივი გამთელებოდა მზეს... „ლიხვზე“ გამოჰპარავს დედას მზეკულულებიანი ბიჭი ... პაპასავით დიდგულა ყოფილა ისიც... კალთხანული მოყვებოდა ფრონეს... თავშალ-მოხვეული... წინსაფრის კიდები აენია და წელზე შე

მოხვეულ თავისავე თასამში ჩაუმაგრებია. ტყის კენკრის საკრეფად გამოსულა... ხუთიოდ წლის ონავარი ახლდა თან. დაკოფილი ხელით ჩასაჭიდებოდა მის გა-მაყვლიანებულ ხელს, მწიფე მაცვლი იხე უყვარდა პატარა მორბედს... არც ავადსახსენებელი ეკლის და არც დაღლის არ ემზირდა... ოლონდ დიდდას ნაჰყოლოდა ტყეში და რას არ იზამდა... ხტუნვა-ხტუნვით ჩამოარეგა მეზობელ-მოკეთებში დიდდას გამომცხვარი პური... კიბსთან, მიწიბილი ფეხსაცმელი თასმბეშუკრავად ჩაიცვა და ტყისკენ მიმავალ დიდდას გაჰყვა ონავრობით... ..უცნაურად მოედინებოდა ფრონე. ადამიანის სახე ჰქონდა თითქოს... ადამიანური გრძობებით. შემოთავებული შეჰყურებდა ტყისა და მდინარის პირას მიმავალ ხელოვნაქიდეზულ დიდდა-შვილიშვილს... დედა რომ შეეცვალა მზე-კულულებიანი ბიჭისთვის. ამის შესახებ იცოდა ფრონეს. ხშირად უნახავს წყლის პირას მდგარი გულ-დამძიმებული დიდდა... მუდამ რაღაც რომ ჰქონდა წინსაფრის კალითაში შემონახული... არც მარამობისთვე ჰგავდა მარამობისთვეს. მოეწყინა მკათათვეგავლილს... გადამხვარი ბალახის სუნი ტრიალებდა ჰაერში. დიდდა და მორბედი კი გზას მიუყვებოდნენ. იქვე, ფრონესთან ჩამოხლდა დიდდა... კამკამა წყალში შეეკრდა მზე-კულულებიანი ბიჭი... სისხლი აუჩქროლდა დიდგულა ფრონეს... ტყიდან გამოვიდნენ. სამნი იყვნენ, ოთხნი თუ ხუთნი, დიდდას ვერ გაერჩია ... არც ენა ესმოდა მათი. ყური მოუკრავს... საღვალც იქვე... ფრონეს მიღმა... საიდნელა, იქვე, ფრონეს მეორე ნაპირიდან ლამაზობით დაჭრილები გადმოჰყავდათ თურმე სოფელში... დაღამდა... მზე ჩაესვენა. შიშისგან დაღუმა ფრონეც, გამთენიისას ფრონეს წყალს გაყოლილი თასმბეშუკრავი ფეხსაცმელი უნახავთ სოფლის ბოლოში...

შეგრძნებით ცხოვრობდა. მზეუხილავი თვალებით გრძნობდა მზეს ჩამო



ტყილი ნარინჯისფერ სხივებს. თვლა უყვარდა. დაუსრულებლად თვლიდა მდინარის კენჭებს, დედის თითებს. ვერ დღევს თვლიდა, იქამდე სანამ ლოდინად ქვეული დღეები, სამყაროს სევდამ შეისრუტა და ერთ დიდ ლოდად უქცია მის დედას, შუასაყარში. გულთან ახლოს, გულის წინ და გულის უკან. თანდათან გულს რომ შეეზარდა ცოცხალი ქსოვილით.

... თვალზე აივარებდა ხელებს. თვლიდა მზერას შეისხობოცვებდა თითქოს, მთელი ქვეყნიერების ამბავს შეჰპირებოდა მზე-უხილავს... დედის სახეს განსაკუთრებით. დედას დააფიქვდა, დედის სახის ამბავი არ დაეზინებოდა. მისი ჭლარას რაოდენობა აინტერესებდა განსაკუთრებით. საკუთარ ასაკს ვერ გრძნობდა. ლოდინად ქვეული დღეების ასაკის იყო თითონ. გამთენიისას შეჰპირებოდნენ ხელები. ესეც მათ იცოდნენ მხოლოდ. ერთ სიბრტყეში განუთვლიყო დღე და ღამე მზეუხილავისთვის. ... სხეულს სიგრძელე მოჰპარავდა. დაღამდა იგრძნო მზეუხილავმა. დაჟინებით ეკითხებოდა დედის ამბავს თვალის ბუდეებზე აფარებულ ხელებს. ... დუმდნენ ხელები. დუმდნენ უძრავად. ქვის ნატყვებზე გაბნეულიყო სივრცეში ლოდად ქვეული დედის გული... საკუთარი ასაკი იგრძნო მზეუხილავმა.

... დედის კისრზე შემოხვეულ ფაფუკ თითებს და ატარებდა მზეკულულებიანი... ტკივილადამუშებულ დედის ბაგებსა და... დედობის სანიშნეებიდან გადმონეულებულ რძეს შორის ... ალა-ალავა რომ ერწყმოდა გონდაკარგული თვალეზინიდან გადმოდენილი ცრემლი. გულგახეთქილ მზემდე აღწევდა... ტყვიების ზუზუნს შერწყმული მზეკულულებიანის ლულენი... მზეს ჩამოტყვილი

სხივები ვერ კიდევ ათობდა დედის უჩვეულოდ გაცივებულ სხეულს ...

... ნერვები უკედებოდა დედის ხელს. უკანასკნელ ძალას იკრებდნენ თითები... მზეკულულებიანის ფაფუკი თითები ვეღარ სწვდებოდა დამშრალ, განლეულ სიცოცხლის წყაროს. დედამინის ნახეთქებში ჩაღვრილა და დამშრალა. ... მონყურებულ ტუჩებს ილოკავდა მზეკულულები... თითები მოსწყვეტოდა დედას. ტკივილისგან. ბაგეები დასდუმებოდა კვილისგან. ცრემლი შემორობდა მიშისგან.

... წინ, დედამინის მარადიულობისკენ მიათრევდა მძიმე ხელით ... საკუთარი ჩექმით ნატყრ-ფალ სხეულს... უჩვეული რამ შეუნიშნავთ ჩიტებს ლიხვის პირას. საკუთარი ხიდან ჩამოგარდნილი ბუდის ძებნაში უპოვიათ... მზეს გული მოსწყვეტოდა და ისიც იქვე. მზეკულულებიანის გვერდით ჩამოგორებულა.

... უტყვი. ზოგისთვის მუნჯი. ... ზოგისთვის მეტყველი. ჩემთვის მუნჯი, დიდი მეტყველი თვალებით, თითქოს განგებამ, ბაგეებისთვის ასწულულების წინ მინიჭებული ფუნქცია ნაართვა და სამარადისოდ გადასცა თვალებს... ასე გაფაცვიცებით რომ ათვალთვებენ ირგვლივ მიმოფანტულ, ადამიანურ თვისებად ნოდებულ, პატარა მარგალიტებს. თვალები დიდა, რადგან მთელი დედამინა უნდა ჩაეტმოს მზე. მამაკაცები და დედაკაცები. ქვები და ქვესკნელები. ქვენარმავლები. მზესუნიორას მისწვდა მისი მზერა. საღვალც შორს, მათ შორის კიაფობს მზის სხივი... ბრძენი გველივით რომ დაიკლავნება მუნჯის ბაგეებზე. დაილლა და გაიარინდა. სიცოცხლე დაუბრუნა გავერძკრთალებულ,

... მუდამ მდუმარე გაცრეცილ ტუჩებს... ასე რომ ლამობენ რაღაცის თქმას ... ვფიქრობ, დედის დაძახებულ სურს... ან შეილის! სხივი კი კიაფობს მაინც!!!

... ცხედართან ჩამოხლული სული... პანანინა ხელებით ეძებდა დედის ლილებდნე-ვეტილ საკინძეს... დიდხანს ცდილობდა დედის სახეს მისწვდომოდა... მაგრამ საუკუნეებში ჩაჩხილ სხეულს მხოლოდ მზერას თუ მიანვდნენ ... დიდრონი, ნაღვლიანი სახით მისჩერებოდა მის ფართოდ გახილილ თვალებს... კულულებს მიღმა მიმართული მზერით... საღვალც შორს, შორისონტზე რომ იკარგებოდა ნაცრისფერ კვამლში... უჩვეულოდ ეჩვენებოდა დედის დემილი. სდუმდა სიტყვათუნნი სამყაროც. სცხვენოდა. ცოცხალი, მშობრი და უტყვი თვალების გამო... დიდხანს ეცადა, პატარა სისხლმდინარი ფეხებით აცოცდა ... იქ, სამყაროს გული რომ ეგულებოდა. პატარა ხელებით მოეჭიდა დედის გადახნილი ხერხემალს... ხელის გულელებით გადაუწია, მინისფერ სახეზე მიმოფანტული თმა და დააცქერდა აღმაცერად, უნდობლად ... კულულებით ელაშუენებოდა მის უძრავ ნაკეთებს, მაგრამ ამაოდ!

... რძეს ეძებდა პატარა სული... პატარა ბიჭის ცრემლებად ქვეულ დედის, დამშრალ რძეს... დარდად ქვეულ გულს ეფერებოდა დედა-მინის გული... აღრიალეზულ მდინარეს ნაეშალა დედამინის ნაბრალები...

... მდინარის შუაგულს მოყვებოდა. ხის მორი იყო. უცნაური. უცხო. საიდნელა მოყვებოდა მდინარეს... საღვალც მიყვებოდა... მდორედ მოედინებოდა. თითქოს უფრთხილდე

ბოდა... თითქოს ეფერებოდა... თითქოს ეცოდებოდა. სამარისებური სიჩუმე სუფევდა ირგვლივ. მხოლოდ წყლის გაუბუდავი ჩხრაილი არღვევდა უტყვე მდუმარებას. ქვის ლაღას ჰგავდა, არსებულს და არარსებულს. ... სათიბად ნასულ კაცებს უპოვიათ საკინძეგახსნელი... მის ნადედამინარ სხეულს დასტყობია უცხო ნატყრ-ფალი... მისი აზილული ნარბები დაუფარავს თივამურულ განწილ თმას, ყელს შემოხვევია გრძელი ნანნავი ... ფერფლად ქვეულა დედამინის გული... სვლა შეანელა უტყვე მდინარე, ქვის ლაღას უფლო ყური. ნაპირისკენ ნამოილო უცნაური მორი. საიდნელა საღვალც რომ მიყვებოდა... ქვის ლაღას ერწყმობდა მისი ლულენი... ნაპირზე გამოურიყავს გამთენიისას. დილით უნახავს მეთევზეს. უენო ყოფილა ეს მეთევზე, უტყვი. ან ენის გარეშე. უცხოს ნატყრ-ფალს იცნობდით აქაც. ... პატარა, ნათოკარ სხეულს იხუტებდა ცალი ხელით. ან ორივე ხელიდან ცალად დარჩენილი... დედის თმის ლერი შერჩენია ბუთქუნა თითებში.

... საფლავის ვეგარს დამოხილი დედის ლანდი, შვილის ნაკეთების აღდგენას ცდილობდა თითქოს... ემზირდა, რამე არ გამოჩენილიყო. მერამდენედ თვლიდა გონებში მისი თმის ლერების რაოდენობას, მის წელთა სიმრავლეს... გამალებით ეძებდა ერთს... ცელქობისას სიყვარულით მონიშნულს, მონატრებულს... ტყვილი კლავდა მუხსიერებას! კვილი — ტყვილი... ხმის, ნერვებ-ჩანყვეტილი იოგების ხრიალი ახშობდა მარადისობად ქვეულ „შეილოს“! ისიც დუმდა... დედის ლანდიც დუმდა, ვეგარს შემოხვეული დედის ლანდი. მხოლოდ თოვლის ქრიალი ისმოდა. ფეხაკრეფით მოპარებოდა ის... დედის მარადისობა რომ უნდოდა. ... დედა, თოვლის ქვეშ თბილა!

დედა, თოვლის ქვეშ თბილა...

... სხეულის ნანილებით ავსებულა ლიხვის ხეობა... ადამიანების და ადამიანდ-ყოფილების ნანილებით. მძიმედ სუნთქავდა ხეობა. შუასაყარშიდან გადმოვარდნილი გულელები... თვალბუდეებიდან გადმოცვენილი გულები... ტკივილს და კვილს მოეცვა იქაურობა. ღრიალით მოედინებოდა ლიხვი, ანითლებული კიდებით... აღმა მოყვებოდა დაღმა ჩამდინარე ლიხვს... გამომღებულ ტერფებით შლიდა სისხლის კვალს... სამყაროს უკეთურობას უმაღლავდა საკუთარ ძეს... ლიხვს ევედრებოდა მდუმარებას... ლიხვი კი... მოედინებოდა ლიხვი... ადამიანად ქვეულიყო თითქოს, საკუთარი წყლის კლაკნილებში ჩახუტებული მოჰყავდა დედამობილა ჩივლები ... კლდოვან რიგებს მოწყვეტილი ბრეგ მამები ... ვაშლის ბაღებს მოცილებული პაპები, პირტყველა ბიჭები დიდი გულელებით... ისე მოედინებოდა ლიხვი, მღეროდა თითქოს... ხან ლიხინებდა, ხან ომხიანად შემოიძახებდა და... გმინავდა ლიხვი, ცხეთქებოდა საკუთარ ნაპირს! შიშისაგან გული გახეთქილად ჩიტებს... ბუდე დასწოდათ ბარტყებს. ფერფლისფერ კვამლს შერეოდა მათი ბუმბული... ლიხვს ჩაყოლილი უნახავთ აღმამიშვალ... საკუთარი შვილის კულულები შეუმჩნევია წყლის კლაკნილებში...

... ნანგრევებში ივდა, საკუთარი სახლის ნანგრევებში... საკუთარ ეზოში... უზარმაზარი კაკლის ქვეშ. კაკალი პაპას დაერგო. მამის პაპას. სახლიც პაპას უშენებია. შვილის პაპას. თვალდაუხუჭელი ივდა. ნარსულის დამახსოვრებას ცდილობდა. რომ ვერ დაიბრუნებდა იმ ნარსულის. ბაღში შემაგალი ძველი ხის კარი აღებჭლოდა... სათიბად ნასულ პაპასთან მიმავალ თავსაფრთან დიდდას მიაცილებდა გონებში. ცალ ხელში წყლის დოქი და ახლადგამომცხვარი, საკუთარი წინსაფარში გახვეული პური რომ მიჰქონდა. ფეხს აუჩქარა დიდედამ. მოშიებულ კაცების ხმას უგდებდა ყურს. ტყის ხმა ისმოდა სივრცეში. ჩიტების ჭიჭიკის, ხმელი ტოტების და მარამობისთვის სოფლის ხმები, ლიხვის ყოილ-ზივილიან ხმას რომ ენაცვლებოდა... მინაზე ივდა. თავდახრილი. საკუთარი სახლის, საკუთარი მინაზე. ხელით ეფერებოდა დასერილ მინას. შეგრძნების დამახსოვრებას ცდილობდა. არასდროს რომ დაეინებოდა. ღრმად სუნთქავდა. ლიხვისპირის ჰაერს ისრუტავდა სამუდამოდ... ნანგრევებზე უპოვიათ... ფეხვედამოგლეჯილი კაკლის ხის ქვეშ ... თვალდაუხუჭელი იწვა. მარჯვენა მკერდზე ჰქონდა ხელი დადებული. საკუთარ გულს იხახსოვრებდა თითქოს.

... მდინარის შუაგულს მოყვებოდა. ხის მორი იყო. უცნაური. უცხო. საიდნელა მოყვებოდა მდინარეს... საღვალც მიყვებოდა... მდორედ მოედინებოდა. თითქოს უფრთხილდე

ელგუჯა სიბროპილი

„ზოგი ღირსი მარგებელი“

მამულის მიწაზე, დამეფინე კვლავ ფიანდახად...
 დედაც, ძვირფასო! „უძღვებ შვილზე“ არ დაგცდეს ძვირი,
 მეთავისება ხალხის სიბრძნე, თქმული ანდაზად:
 რომ „მარგებელი არის თურმე ხანდახან ჭირი!“
 კარგა ხანია, უცხო ზეცის მხურავს საბანი,
 დაგაბიჯე და... ან თეო სის მომეცა ძალა,
 არ დავიფინე შენი ენა, შენი ანბანი
 და გულზე ლოდი დამსუბუქდა ისე, ვით ჩალა.
 ბევრჯერ დაუესხლტი ბედისწერით მოვარდნილ ზეავეებს,
 ნურვინ იფიქრებს, შევიცვალე და ვილაც სხვა ვარ...
 უბრად ვენვიე დედისა და მამის საფლავებს
 და მათ ნინაზე დატუქსული ბავშვებით ვდგავარ.
 ნამდვილ სიყვარულს განმორება ვერ აფერმკრთალებს
 და მონატრება, ამ სიყვარულს გულზე მიქარგავს...
 არ ვეპუები უზნობის ბოროტ გრივალებს,
 არც ქართველობა, არც ღირსება, არ დამიკარგავს!

ფიქრები...

ფიქრს ვერ უბრძანებ: გაჩერდი, კმარა,
 უკვე მომწყინდა მე ეს ქაოსი...
 ნლები მიდიან, შიში კი რჩება, —
 საიქიოს თუ სააქაოსი.

მივყვები ფიქრის აბურღულ გორგალს,
 ნაღველის ცრემლით თვალდანამული,
 გული არ იძლის, ბორგავს და ბორგავს,
 რომ სადღაც ნისლში დარჩა მამული.

მივდეგ ამ გორგალს, როგორც თეზესი,
 ლაბირინთს ირგვლივ სიფრთხილით ვზერავ;
 სულს ცოდვილო... მიშორეული,
 ხანდახან უკან გამიბრის მხერა.

ჩუმ-ჩუმად ვქაჩავ ძაფს უკან რჩენილს, —
 ეჭვიანია კაცის ბუნება...
 ვაი, თუ განყდა მეგზური ჩემი...
 და ველარ შევძლო შინ დაბრუნება!!!

ჭეი, ამირან!

ყველა თავისი ბავშვობიდან რადგან ვინცებით,
 ზღაპრის გმირებით, მიტომ გვიყვარს თავდავინებით!
 ხელში ხის ხმლებით, „შეკაზმული“ ჯოხის ცხენებით,
 ჩვენზე ბავშვობა, უკან მოგვდევს, ჭეივებ-ჭეივებით!

სწორედ ზღაპრიდან ვეზიარებ საოცარ ჩვენას:
 ავ-კარგის განსჯას, ბოროტების სიკვითი ძლევას!
 ჭეი, ამირან! დასცხე დევებს, არვინ დაინდო,
 ჩემი ბავშვობის საყვარელი გმირი, რაინდი!

ვეჭიდებოდით ფიქრში დევებს, ალ-ქაჯ-მაცილებს,
 რადგან გვეჯეროდა, ამირანი თვალს არ გვაცილებს!
 ბადრ-უსუპობა თუ გვიწვევდა, გულში ვნახობდით,
 რადგან ჩუმ-ჩუმად, ყველა ბიჭი, — „ვამირანობდით!!!“

ვიცით, ზღაპარი კარგად უნდა დამთავრდეს მხოლოდ
 და ვერ გავგეგო, რატომ შტონდა მას (უღი ბოლო!
 ქალღმერთის შვილი, თავად უფალ-ქრისტეს ნათლული,
 რატომ აღმოჩნდა კავკასიის ქედზე დაბმული?

იყო ჩვენს შორის უსასრულო განსჯა და დავა,
 თავად მამა-ღმერთს, იაკობიც ხომ ეჭიდავა?
 ნეტავ, რა სკოდე, ღმერთთან, ასე მიუტყვევებ?
 შენ დაგაბეს და... ამშებული დარჩენი დევები!!!

მე ვარ ადამი!

ვარდის ბუჩქი ხარ, მე კი შენი ნაზი ბულებული,
 არა მწყინდება, ყელმოღერილს, — შენთვის გალობა,
 მიყვარს სამყარო, — სამყაროში ყველა სულდგმული,
 მაღლიერი ვარ, რომ არსებობ, — უფლის ნყალობა!
 მიყვარს შენი ცა, მწვერვალზე ჩამოყრდნობილი
 და შენი მთები, ატლანტიკით მხარგამოლილები,
 მამული ჩემო! ბალობობიდან ვარ მონდობილი,
 ჩემი დედა ხარ, დავილოცოს ღმერთმა შვილები!
 შენი შვილი ვარ! შენი მძიმე უღლის გამწვევი,
 მომავლისაკენ რომ გავავლოთ სწორად ხსულები,
 შენზე ლოცვაში ვარ ერთგულად ღამეთა მთევი,
 მურა ძალივით ავილოკო მინდა წყლულები.
 ზომაზე მეტად ვართ შემნდობნი და მიმტყევი,
 ვერ ვამირანობთ და ავსულნიც არა ცხრებიან,
 ძველ ზღაპრებიდან გადმოდიან ბაყბაყ — დევები
 და დედის კალთას უსინდისოდ გვეცილებიან!
 ვინც კი მოვიდა, ველარ იგებს ვერვინ გაძლიძას...
 და საქართველო, — უწინდელის დღეს აჩრდილია,
 შენი შვილები, არ ვთავილობთ უმძიმეს შრომას,
 გული მიკვნესის, — ხალხი მაინც ხელგანვდილია!
 შენი მიწიდან მოზეული, — მე ვარ ადამი!!!
 თვალში მზებებით მსურს ვმღეროდე „შენ ხარ, ვენახოს“,
 შენზე ზრუნვაში დამხარავს ყოველი წამი,
 რომ საქართველოს გაბრწყინება კვლავაც მენახოს!!!

სადარ კი დავალ!

რაც იღბლით მერგო, ვთვლი, რომ უფლის განაჩენია...
 ცოდვას ვერიდე, მაინც მწარედ დავრჩი ვნებული,
 არც აკრძალული ხის ნაყოფი არ მიგემა,
 მაინც კი გავხდი, — სამოთხიდან გამოგდებული!

ის სამოთხე ხარ, გაჩენიდან რაიც მიყვარდა,
 მანოვე ძუძუ, მზრუნველობით გამოჩრდილი,
 ქართული თიხით მოზეული ადამი ვარ და...
 სადაც კი დავალ, — საქართველო დამაქვს სხეულით!
 შორსა ვარ შენგან, ვაკვიანებ ვით ოდისეცა...
 სხვათა სამებლად ვგვემე ხორცი, დავტანჯე სული,
 ვერ ვხვდები, ვის სურს, მოგვითხაროს ძირი და ფესვი,

არ მაქვს ანწყო და მომავალი... მხოლოდ წარსული!!!

ისაც მანდ დამრჩა... თან მე არა ნამილია რა,
 ვერაფრით ვხვდები, ბედმა ასე რატომ იურჩა,
 და... ნოსტალგია, — მოურჩენი სულის იარა,
 უცხო მიწაზე არაფერმა არ დამიყურა.

სხვათა ნალკოტში ჩემთვის ვარდმაც არსად ივარდა,
 ვხარობ, — ლექსების გაცრეცილი, თხელი რვეულით...
 ქართული თიხით მოზეული ადამი ვარ და
 სადაც კი დავალ, — საქართველო დამაქვს სხეულით!

უფალო! არ ვარ უმადური, რაიც მარგუნე...
 ისე ვიარე, ბევრგან ვტოვებ სიკეთის კვალს,
 ვთხოვ, ჩემს კურთხეულ სამოთხეში კვლავ დამაბრუნე,
 რომ ქართულ მიწას არ დააკლდეს ჩემგან მისხალი!

არავინ იცის, ბოლო ჟამი ვისთვის სად მოვა,
 ვის სად ეწვევა ბედისწერა ელვით თუ მუხით...
 ღმერთო! იმას ვთხოვ, ნმინდა მინის ეს მცირე გროვა,
 კვლავ სამოთხეში დავაბრუნო ჩემივე ფეხით!

მე შენი ნდობა არასოდეს გადამივარდა,
 ყველგან მიყვარხარ სიყვარულით წრფელით, გრძნულით...
 ქართული თიხით მოზეული ადამი ვარ და
 სადაც კი დავალ, — საქართველო დამაქვს სხეულით!

მე დავბრუნდები!

მე, დავბრუნდები, რადგან ვიცი, რომ მოილალა
 თქვენი თვლები, ჩემს ლოდინში, გზისაკენ ცქერით,
 მე დავბრუნდები, რადგან მეტი არ შემიწევს ძალა,
 რომ მივატოვო, ჩემი თბილი ფუქე და ჭერი!



ყველა მინიერ საგანძურზეც რომ მიღირს ძვირად,
 ჩემს მოფერებას მიჩვეული, თქვენი თმის ღერიც,
 ალბათ, ამიტომ ვფიქრობ თქვენზე ძალიან ხშირად, —
 ამ ფიქრის გარდა, რომ აღარ მსურს, სხვა არაფერი.

მე, დავბრუნდები! რადგან მიხმობს მამულის მიწა,
 რადგან უცხო ცის მზე ვერ მითბობს, გათოშილ სხეულს,
 თუმცე მადლად მკეპავს, კარგად მივლის, — „ახალი ძიძა“,
 ვერ შეედრება, დედის ძუძუს, სიყრმით მიჩვეულს!

მადლობელი ვარ, რომ ბობოქრობ, სულში, წარსულში...
 ტკბილი მამაული, ფართოდ გახსენ გულის კარები,
 მე, დავბრუნდები! ჩემი სიტყვა, რომ შეგასრული:
 „დავბრუნდები!“ მახსოვს ჩემი დანაბარები!

წაიყვან მთაში!

(ფშაურ კილოზე)

თუ ამაყი ვარ, ჩემო მზექალ, მე ვარ შენგანა,
 გულის თვლებით რომ მანახე მთელი ქვეყანა.
 შეძახონ ხარბი, თუ ეს გული დაგითავისებს,
 ერთად შევხვდებით ზამთარ-ზაფხულს, დაის-აისებს.
 წაიყვან მთაში, რძისფერ ნისლებს შევასმევ თასით,
 ამნაირ განცდას ვერ იყიდი, ვერ-არა ფასით.
 შემომეჭვობა ყელ-კისრზე შენი ხელები, —
 უღამაზესი მითის ყვავილთა ღარადღებში!
 ეფინებოდეს არე-მარეს ყვავილთ სურნელი...
 ტკბილად მტკიოდეს შენი ნდობა — განუკურნელი!
 დილის ნამივით მოგზავრე კოცნებს შენი ბავიდან,
 მერე... ინატრე, შეგისრულე, — მითხარ, რა გინდა?

აღალი იყოს!

ჭაბუკებს მზერით დაფერვლავდი ისე, ვით ელვა,
 უკვდავების ვაშლს მოგართმევდნენ, ოლონდ გენება,
 მოგონებებმა მომაკითხეს, — ჩემსავით ძველმა,
 იქიდანაც კი თვალსა მჭირდა შენი მშვენიება.
 ნეტავ სადა ხარ, სად გავრეყა ბედ-ღობის ნყალობა,
 (ჩემსავით მორცხვი, შენ აბა სად გემახსოვრება...),
 იქნება დევმა მოგიტაცა, გინჯმა და მყარალმა
 და მის კერაზე ჩამოშებრდი მთელი ცხოვრება.
 იქნებ მზექტაბუკს ეროგ შენი ტურფა სხეული,
 ბროლის სასახლის გამოიხსნა ფართოდ კარები...
 ისევ კიაფობს შენს თვლებში ცეცხლი ჩვეული?
 ბედნიერი ხარ? თუ გაჩნა სულზე ზნარები?
 თუკი ნილების წინ ვერ მოგართვი თეთრი ვარდები,
 ალალი იყოს ახლა ჩემი ლექსის ბნარედი...
 შენ ვერც გაიგებ, ასე ძლიერ თუ მედარდები,
 ამდენი ხანი მე სულ ფიქრით დავატარებდი.

ზამთარი დამასიზმრე!

გადმოაბიჯა შემოდგომის მენამულ სამანს,
 სარკმლის გადაღმა ცივი ქარი დნება ჰანგებად...
 გადააფარებს დედოფალი თოვლის თეთრ საბანს
 და არე-მარე ზამთრის ძილით გაითანგება.
 უფლის შეწევნით გრძელზე-გრძელი ღამე გვეწვევა,
 ანცი სიზმრები გაგრძელდება სერიალებად:
 ზოგს თუ თეთრ ცხენზე შემომჯდარი პრინცი ეწვევა,

ზოგსაც ფერია, ზღაპრული და მწვანეთვალეა.
 ღამე გრძელია, — ჩავეტევით ყველანი დროში,
 მოვა პრინცი და... ლაგამს დაღრღნის ზღაპრული რაში...
 ყველა სიმღერე, ქვეყნის გარეთ, ყოფილა გროში,
 ღმერთო! ზამთარი დამასიზმრე ჩემს ქვეყანაში!
 დაბრუნდებიან, ალბათ, უკან ბავშვობის წლები,
 ლალი ყიფინით, გუნდებით რომ მევეტევე ტოლებს...
 სალათას ძილში ჩამესმება ნყალ-ჭაღის ხმები, —
 მამულისაკენ სული სხეულს გამოიყოლებს!

პირიშვეს!

ვით მთვარის საყურე ამშვენებს ღამის ცას,
 შენც ისე ამშვენებ ჩემს ყოფა-მეობას.
 მე შენი მხურვალე ლოცვები დამიცავს,
 პირიშვე, — ღამითაც კი მინე მზებობას!

ერთხელ არ დაგცდებ ჩემი სამღერავი,
 ხმამალა ამართლებ ამ ჩემს უმწერობას...
 თუმცა კი, გულსშიგნით გატყობ, რომ მემდური,
 მარტო ხატობებში რომ ვსტუმრობ ხეობას.

შვიქრობ, გადავვიშდი „ბარელი ფხოველი“,
 სამას არაგველთა სისხლი ჩემში გაცვდა,
 თუმცა კი, გულსშიგნით გატყობ, რომ მემდური,
 ეგ შენი თვლები ბილიკებს დააცვდა.

ხშირად ვერ მოვდივარ, თუმცა სულ მინდოდა,
 შენ გზებზე მივალდი, მუხლი მოთარევე...
 მხოლოდ მეხვედრდა ლოდინის ვილოდო და
 არ მინდა, რომ დარჩე ამ ვილოდოს გარეშე.

მე მოვიანატრე!

გაჩენის დღიდან, რკინის ქალამნით,
 ღიმილით მოვდეც ცხოვრების მარას,
 არავის ვერჩი, მწყემსი კეთილი, —
 ჩემი ოცნების მოვრეკავ ფარას.

მადლობელი ვარ დამბადებელის,
 ან სამღერავი სხვა, ვისთან რა მაქვს?!
 შიმშილს და წყურვილს იოლად ვუძლებ, —
 საგზალად მენზე ფიქრები დამაქვს.

ყველა სხვა ფიქრებს ისე გავფანტავ,
 ვით მიმინოსგან დამფრთხალ ბელურებს...
 მე მოვიანატრე შენი თმის სურნელს,
 შენს ღამაზე თვლებს და... ნაფეხურებს!

შემოდგომას მოუხდებ!

ნოემბერი დავგვიბრძანდა ტახტზე შემოდგომისა,
 დაუფინეს ხალიჩები, ნითელ-ყვითელ ფერებით...
 მე გულს არა არ მიხარებს, გარდა შენი ნდომისა,
 მოვალ, განახავ და აგავსებ, — კოცნით და მოფერებით.

გადახსნილი ბრონეული მაგ შენს ბავს მაგონებს,
 თვალს მიხარებს შენი ტანი, — ალვა მიმორხეული...
 ყველაფერი მიყვარს ქვეყნად, არაფერი მალონებს, —
 როცა ნდომით მეუხეტება შენი თბილი სხეული.

მამ, ორივეს მარტობას დავაყენოთ სასრული,
 შევაერთოთ სიხარული, სიყვარული ორ-წილი,
 ზეცას შექმნავს თოფის სროლა, სიმღერები მაყრული,
 შემოდგომას მოუხდება, ჩვენი ტკბილი ქორწილი.

ნოემბერი დავგვიბრძანდა ტახტზე შემოდგომისა,
 დაუფინეს ხალიჩები, ნითელ-ყვითელ ფერებით...
 ერს გვაქვს ნიჭი, ერთმანეთის მხარში ამოდგომისა,
 დე, იხაროს საქართველომ, — ნყვითლთა ბედნიერებით!

თელავის ჭადარს!

ჩემო ჭადარო, კახელივით დინჯო და მშვიდო,
 მკურნალ მალამოდ დაგედები გამოხრულ გულზე,
 ჩემი ვალია, საძირკველში რომ შეგეხიდი
 და უსასრულოდ გესაუბრო ჩემს სიყვარულზე.
 მათოსალას ხნის მოიყარე შრიალ-შრიალით,
 ქართული ზეცა — ნაბადივით გეფინა ქედზე
 და მოლაღული წუთისოფლის ორბიტრალით, —
 გულში იხვევი ჯავრს და ნაღველს მამულის ბედზე.
 დარაჯად ედექე კავკასიონს და ველს ალაზნის,
 შენი ფოთლები, საგანგაშის ასტეხდნენ შრიალს...
 გახსოვს მომხვედური: უჯიშ-ტომო, რა მხრის და რა ზნის,
 ისმენდი ფართა დაჯახებას და ხმალთა ნკრიალს.
 გულზე გეტყობა, — ყველაფერი მიგქონდა გულთან,
 შენს ხსოვნას შერჩა სისასტეკე, — ლენგის თუ მახის...
 ასწლეულები გაკავშირებს ქვეყნის წარსულთან,
 გახსოვს სიყრმეც და სიჭარბეც „პატარა კახის“.
 ვაჟა ფშაველას სიყმანეილც გემახსოვრება,
 შენ ყველა გახსოვს და ამისი არცა მაქვს იჭვი,
 ბუნების ქებას რომ შესწირა მთელი ცხოვრება, —
 იქნებ სულაც შენ დაანათლე პოეტის ნიჭი?
 შენ მეც გახსოვარ, დიდი ხნიდან, — გვართი და მოდგმით,
 ჩემი ქალაქის თილისმა ხარ, ბრძენი, გრძნეული...
 დღეს შენს წინ ვდგევარ, ტირილი მსურს ხმითა და მოთქმით,
 ასე დახრული რომ ვიხილე შენი სხეული.
 გვიან მოვედი, გინახულე, მეტკინა გული,
 რაც სითბო გავცე, ეხლა ჩვენგან აკრიფე ღალა...
 ვდგევარ შენს ძირში, შენს სხეულზე ჩახუტებული,
 ვხედავ რომ გიჭირს, ეხლა მინდა, მე მოგვეც ძალა.
 სხვაც ბევრი მოვა, როგორც უწინ, უხსოვარ დროდან,
 ჭირსაც დაითმენ, არ გასტყდები, იცი და ვიცი,
 იმედის ქარი, ოთხივე კუთხივ შენსკენ რომ ქროდა,
 არ მივატოვებ... ძველებურად — „გვარზე ხტის კვიცი!“
 P.S. ჩემო ჭადარო, კახელივით დინჯო და მშვიდო,
 მკურნალ მალამოდ დაგედები გამოხრულ გულზე,
 ჩემი ვალია, საძირკველში რომ შეგეხიდი
 და უსასრულოდ გესაუბრო ჩემს სიყვარულზე!

მეჩვენე თაველი

(რუსთველოლოგია, IX)

რუსთველოლოგიური კრებულის (2019) IX ნომერიდან ნაცადი რუსთველოლოგების – პროფესორების – ელგუჯა ხინთიბიძისა და მარიამ კარბელაშვილის ნააზრევით. ე. ხინთიბიძის „ბერძნული მითოსის კიდევ ერთი დამოწმება ვეფხისტყაოსანში“ ეხება ერთი ტაგების („უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო“) გაგებას, ხოლო ქმნარიამ კარბელაშვილიწარმოგვიდგენს სტატიას – „ვეფხისტყაოსანის ჟანრული პოლიფონიურობა...“ ჯერ მიმოვიხილოთ პირველი სტატია. ბატონი ელგუჯა ფიქრობს, რომ ფრაზა – „უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო“ – ბუნდოვანია და ბრძანებს: „პირადად მე კი ვეფხისტყაოსანის ბუნდოვანი და ძნელად შესაცნობი ფრაზის „საეშმაკოს“ დემონურად გააზრებამ და ნეოპლატონური კონტექსტით ინტერპრეტირებამ რუსთველის მიერ ბერძნული მითოლოგიის ეროსის დამოწმებასა და პლატონის ნადიმთან მიმართებასთან დაკავშირება“ (9).

მითითებული ტაგები რომ „ბუნდოვანი და ძნელად შესაცნობი“ ყოფილა, ამაში მკვლევარი დაურწმუნებია პეტრიწის ფილოსოფიის ცნობილ მკვლევარ ლევან გიგინიძეს, რომელსაც ნაუკითხავს მოსხილვით „ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთ ბუნდოვან ტაგზე – „უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო“, სადაც თურმე „კარგი საეშმაკო ძველი ქართული ბიბლიური ტექსტების საფუძველზე დემონური კარგად გაიზარა“ (9). კიდევ მეტი, მკვლევარი თურმე „რუსთველის კარგ საეშმაკოში ხედვას ორ ერთმანეთის სახინააღმდეგე ოქსიმორონულ ზედსართავ სახელს და მსგავს ტიპის ოქსიმორონზე მიუთითებს იოანე პეტრიწის კომენტარებში...“ (9).

მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა ბატონი ელგუჯასადმი, უნდა ვთქვა: არ შეიძლება ასე

ხზეს ამ ფრაზაზე დაყრდნობით, კერძოდ: მიხილ ნერეთელი, ვუკოლ ბერიძე და სხვანი, რომელთაც „ვეფხისტყაოსანის“, ეს ლექსი შესწავლია და იგი ამით, ვიკტორ ნოზაძის სიტყვით, „საყარ ქმნეს, დააკუტეს“ (317).

მამასადამე, სწორი მოსაზრება ჯერ კიდევ 1963 წელს გამოიტყვა, ხოლო 2019 წელს – მისი საინააღმდეგო შეხედულება.

აქედან გამომდინარეობს ბ-ნი ელგუჯას კიდევ უფრო შორს მიმავალი და კიდევ უფრო მოუღებელი დედადი: ფრაზაში „ამ საქმესა მემონებების დიონოსი ბრძენი ეზროს“, აქ დიონოსის მაგიერ ზოგ ხელნაწერში წერია დევანოსი. ეგ დევანოსი კი სწორედ ბერძნულ დემონს ნიშნავს (8).

სინამდვილეში ნებისმიერი ფონეტიკოსი გვეტყვის, რომ დიონოსი და დევანოსი ერთი და იმავე კერძო სახელის ფონეტიკური ვარიანტებია.

აქვე კიდევ ერთ უცნაურ ფაქტზე მივუთითებ. აღნიშნული საკამათო ტაგების თაობაზე სათაწინალო კომენტარები დიდი ხანია, რაც არსებობს.

ჯერ კიდევ 2011 წ. გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“, ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები. აქ სადავო ტაგები არაორაზროვნად არის ასხილი: „რადგან ამას ამბობს უსულო და დღემოკლე ვარდი, მამ, ლხინს ვინ მოიმკის ნინასწარჭირთა გადაუხტარები? უბოროტო ვის გაუგონია, რაც საეშმაკო რიგისა, რატომ ეძღვროს ნუთისოფელს? რა უქნია უმაგალითო (გაუგონარი)?“ (285). სინამდვილეში ეს კომენტარი ბევრად უფრო ადრე გაკეთდა, ვიდრე დაბეჭდვლია. მითითებული სხდომა ჩატარდა 1978 წელს (იხ. ნიგნის გვ. 284).

იმავე წინაში უთუმცაოდ არის დადგენილი ისიც, რომ პოემაში ნახსენები დიონოსი დიონოსე არეოპაგალია. ტექსტის დამდგენმა კომისიამ მშვენიერად გაარკვია – „ბრძენი დიონოსი“ და დიონოსე არეოპაგალი ერთი და იგივეა (იხ. 21 გვ.).

მამასადამე, ნარკვევის ავტორის საერთოდ არ გაუთვალისწინებია არსებული მკაფიო მოსაზრებები, რომლებიც სრულიად სხვას ამბობენ, ვიდრე

მაია უფრო მეტ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას გვაზიარებენ, ვიდრე მავანთა ინტელექტუალური რომანების გმირთა მკრთალი სილუეტები“ (იხ. „ნერილები ცოცხალ კლასიკოსზე“, 2020, გვ. 20).

სწორედ ამას გულისხმობს არისტოტელეს ნათქვამი, ისტორია კონკრეტულს გვიჩვენებს, მხატვრული ტექსტი კი – ზოგადს და ამიტომაც ეს უკანასკნელი უფრო ფილოსოფიურია.

მამ, „ვეფხისტყაოსანი“ ფილოსოფიური პოემა კი არაა, არამედ სარაინდო-სამიჯნურო, მაგრამ ისე მალაღმხატვრულია, რომ ქმნის თავისებურ ფილოსოფიურ ველს. უფრო შორსაც წავიდოდი. თავისი აღზავობით, პერსონაჟთა პრიმიტიულობით „დონ კიხოტი“ ერთობ გამოსარჩევია. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“ გაცილებით რთულია, ოღონდ, ფილოსოფიურობაზე თუ მიდგება საქმე, „დონ კიხოტის“ ფილოსოფიურობას ჩვენი ეპოსის ფილოსოფიურობა თვალს ვერ გაუსწორებს.

მამასადამე, მართალია ის, რაც ზემოთ ვთქვი: ტიპთა, სახეთა და აღწერილ სცენათა სირთულე კი არ ქმნის ფილოსოფიურ ველს, არამედ მათი მალაღმხატვრულობა. ვიმეორებ: მალაღმხატვრულად წარმოსახული ტიპი, სახე, სცენა. თავისთავად, ყოველგვარი ფილოსოფიური მსჯელობის გაუმძლეადაც ქმნის მძლავრ ფილოსოფიურ ველს.

სწორედ ასეთია „ვეფხისტყაოსანი“ და ამ ნიშნით მისი ფილოსოფიური რომანად მინათვლა პრობლემის მარტივობადაც მომჩინია.

ერთგან მკვლევარი ბრძანებს: „ავთანდილი XII საუკუნის ლიტერატურისათვის სრულიად უცნობი გმირია, ახალი ეპოქის პირველი და იდეალია, რომელსაც პირდაპირი წინაპარი არა ჰყავს... ავთანდილის მხატვრული სახე უნიკალურია XII საუკუნის რეორტე ქართულ, ისე ევროპულ ლიტერატურებში“ (კრებულ, 38).

შეგინებნათ: ავთანდილს ჰყავს თავისი წინაპარი – ოდისესი!

ამ მხრივ მარტო ერთი პარალელი რადა ღირს: ოდისესი ტროას იღებს ეშმაკობის გამოყენებით

რიულად გამორიცხულია“ (26); „ამგვარ ვითარებაში ლოგიკურად ისმის კითხვა: რა ფაქტორი განაპირობებს სარაინდო რომანის ამგვარ პოლიფონიურობას?“ (27); „ცნობილ მკვლევარს მ. ბახტინს, ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვებისა და მათი ფილოსოფიური ანალიზის ცდის შედეგად გამოტანილი აქვს... დასკვნა“ (27); „ვეფხისტყაოსანის ჟანრულ პოლიფონიურობაში საფუძველს ქმნის მასში დამოფრთხილ ხსენებული მითოლოგემა“ (35).

ბევრი კორექტურა და მოუწესრიგებელია პუნქტუაციაც.

ეს მანკი იმ დონეზე აწეული, რომ ერთგან კურორულ ვითარებასაც კი ვანკვებით. უნდა ენეროს „შეადარე“ და წერია „მარდი“. 35-ე გვერდზე იხილეთ: „გველი იტაცებს მეფის ასულს“ (პროპი 1984: 158), (მრდ.: „ნაწილიანს“ გველი სდევნის, რათა ნაწილი წაართვას)“.

სხვა კორექტურები: ჩვენს, პარალელს (26); ლიტერატურულ, გარასრკვევად, დრამი (27); დარდნობით (29), ალბათ დაყრდნობა; თოთქოს თოთქის ყველა მიზეზი (30); ცხენი ან ირალი (31); გარემოება (34); იაფრება (35); ალბათ იფარება; ცოტატი ყმისადა (35), ალბათ ცოტა ყმისადა; მეტეფორებს, ურთიერთობაშია (36); აგდილი უკავია (37); თარაგმანი, სულისჩამდგმელისა (39); ერთ გმირი; ლომიანი რაინდი, თავლასზრისა (40); კარბელიშვილი (41); კარბელასვილმა, აცადემია, ლიტერატურის ინსტიტუტი, ქართლის ცხოვრება (49).

ბარემ აქვე ითქვას: სრულიად მოუწესრიგებელია პუნქტუაცია. დარწმუნებული ვარ, ქ-ნი მარიამი ამ შენიშვნებს წინგის გამოცემისას გაითვალისწინებს.

მომდევნო წერილი ეხება მზისა და ვარდის მეტაფორებს, მათ ადგლის პოემაში. ავტორი გახლავთ ქ-ნი ნესტან სულავა. ნაშრომი მიმოხილვით ანალიზურია. აქ ნამოყენებული იდეები ძირითადად კომპოზიციის რკვევას გულისხმობს. საძიებელი საკითხები პოემის ზედაპირზე ძვეს და დიდ ჩაღრმავებას არ საჭიროებს. გამოტანილია მარ-

წეტირელები ატიფეტიმი

იოლად ვენდოთ მკვლევრებს, თორემ ხომ შეიძლება, ისინი ცდებოდნენ და მათ მცდარ პლატფორმაზე დგომისას ჩვენც შევადგათ?

მითითებული ფრაზა, ბატონებს ლ. გიგინიძისა და ე. ხინთიბიძეს რომ ბუნდოვანი და გაუგებარი სწავნიებთ, ჩემთვის ყოველთვის დღესათვის ნათელი იყო და ეგ იმიტომ, რომ გახლავართ ნოზაძეოლოგი. ბ-ნი ვიკტორის თითქმის ყველა ტომეულის მიმოხილვა მაქვს დაბეჭდილი, ხოლო ამა წლის ბოლოს გამოვა 500 გვერდიანი მონოგრაფია „ვიკტორ ნოზაძის მეტყველებანი“.

ახლა რად ვახსენებ ე. ნოზაძეს? იმად, რომ ამ ლეთაბრივ მკვლევარს ეგ საკითხი მისებურად ყოველმხრივ და სრულიად აქვს გარკვეული და იქ ბუნდოვანი არა არის რა.

რატომ მოუვიდათ მკვლევრებს ესდენ დიდი კრახი?

ახლავე მოგახსენებთ. მე გადავხედე ბ-ნი ელგუჯას დამოწმებულ ლიტერატურას და, ჰოი საოცრება!

იქ არსად ჭაჭანებს ნოზაძის გვარი.

ახლა კი სავსებით გასაგებია ვახდა აღნიშნული სამეცნიერო კონფუზიის არსი: მკვლევრები არც კი იცნობენ საკითხზე უდიდესი რუსთველოლოგის მოსაზრებასან იცნობენ და ყურადღებას არ აქცევენ.

არადა ბატონი ვიკტორის თვალსაზრისი და იბეჭდა ჯერ კიდევ 1963 წელს!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა მეცნიერული პატიოსნება არ მოითხოვს, ჯერ გააბათილო, მოხსნა არსებული მოსაზრება და შემდეგ ააგო ახალი თეორია?!

ჩვენი მეცნიერები ასე რადიმ მოქცეულან.

ახლავუნდა განვაცხადოთ, რომ მითითებული ფრაზა არც ოქსიმორონია, რომ იქ არც არაფერი უპირისპირდება ერთმანეთს და არც რაიმე ბუნდოვანება იგრძობა.

ე. ნოზაძე გვიჩვენებს: ძველად კარგი ორ რას-მე ნიშნავდაო. ერთია მჭელბერივი გაგება (კარგი, კეთილი, მისაღები, პოზიტიური), ხოლო მასვე ჰქონია მეორე, უფრო საგულისხმო გაგება – ესაა რიგი, კატეგორია, კლასი. მომყავს ამონარიდი: „კარგი ქართულში ორ სახედ განიმარტება. კარგი კეთილს რასმე ნიშნავს... კარგი, ანუ კარგი, რიგსა ნიშნავს და, რაც რომ ეშმაკისაგან გარიგებული, ანუ განწმენილი საქმე არის, ის მარადის ბოროტი არის... ეს ეშმაკის მიერი ბოროტი განკარგულება და გარიგება იქნება; კარგი საეშმაკო – ეშმაკისა მიერ გარიგებული, ანუ რიგ მიცემული.“

სრული უეჭველობით დამტკიცდა აქ, რომ ცნება „კარგი“ არის: რიგი, წესი... მამასადამე, ვეფხისტყაოსანის სადავოდ ქცეული ლექსი სადავო სრულბითაც არა ყოფილა“ (ე. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“, პარიზი, 1963, 316).

ახლა განვმარტოთ ტაგები: „უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო“ – ეს ნიშნავს: რაც ეშმაკური კატეგორიისა, ის რომ უბოროტო იყოს, არავის გაუგონია. სხვაგვარად: ეშმაკური ჯიშისა და ჯილაგის რაცაა, ყველაფერი ბოროტებასთან არის ნილნაყარი.

ვფიქრობ, რომ აქ „ბუნდოვანი და გაუგებარი“ არაფერია! ამის შემდეგ ე. ნოზაძე შენიშვნას აძლევს იმ მკვლევრებს, რომელთაც არაერთი თეორია შეთ-

წინამდებარე სტატია.

ბარემ აქვე დავსქენ: ბ-ნი ელგუჯას, ყველაფერიდან ჩანს, არ ნაუკითხავს ჩემი რედაქციით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ და ტექსტზე დართული კომენტარები. იქ ერთხად წერია: „კარგი – ფილოსოფიურ-რელიგიური კატეგორია; რიგი, „რიადი“. „კარგი საეშმაკო“ – საეშმაკო რიგისა. იგივეა, რაც „სიბო“ (იხ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, პოემის სრული ტექსტი, მურმან თავდომეულის რედაქცია, გამოდის პირველად, თბ., 2016, გვ. 348).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ბ-ნი ელგუჯა ხინთიბიძის ადრინდელ სტატიებთან შედარებით ეს სტატია ყველაზე ძნელად დასაჯერებელია: „კარგი საეშმაკო“ სულ არაა დაპირისპირებული ცნებები, ანუ ოქსიმორონი; „დევანოსი“ არ ნიშნავს დემონს. ამიტომაც არავითარი ბერძნული მითოსი პოემის ამ ადგილას არაა დამოწმებული.

ქ-ნი მარიამ კარბელაშვილის „ვეფხისტყაოსანის ჟანრული პოლიფონიურობა“ ერთობ ვრცელი მასალაა. მკვლევარი მრავალთა მოსაზრებებს განიხილავს და გამოაქვს დასკვნა, რომ ჩვენი პოემა ორი ჟანრის ნაერთია და არის სარაინდო-ფილოსოფიური რომანი (46). თუ ეს ასეა, მაშინ რადა ვუყუთ ამბავში ასე ფართოდ გაშლილი სიყვარულის მოტივს? მეტიც, მკვლევარს ყურადღება არ მიუქცევია პროლოგის იმ ნაწილისათვის, სადაც ჭეშმარიტი სიყვარულის მწყობრი თეორია წარმოდგინა. პროლოგში მეთოდურად და მწყობრად მხოლოდ ორი თეორიაა ჩამოყალიბებული: შაირობისა და მიჯნურობისა. ეს ფაქტი ბევრ რასმე გვეუბნება. მამასადამე, თუ შინაარსი განსაზღვრავს ჟანრს, მაშინ ჩვენი ეროვნული ეპოსი გამოდის სარაინდო-სამიჯნურო რომანი, მაგრამ მეექვსეა, ჟანრის განსაზღვრელი შინაარსი იყო!

ეჭვი მაქვს, ქ-ნი მკვლევარს მოსდის ის შეცდომა, რაც ბერსა მოსვლია: რატომღაც მავანთ აღარ აკმაყოფილებთ იდეა – ჩვენი სარაინდო-სამიჯნურო ქმნილება გენიალურია! ამიტომაც (ცილიტობენ, რუსთველი მისი დროის ასტრონომებზე მეტი და უკეთესი ასტრონომი გახდა; მისი დროის ექიმებზე უმჯობესი ექიმად გამოიყვანინ; მისი დროის ფილოსოფოსებზე უზემთაეს ფილოსოფოსად წარმოგვიასახონ და ასე უსასრულოდ.

თეორიულად ამ სენის წინააღმდეგ ბევრი იბრძოდა და იბრძვის (თ.ჭილაძე, ე.ხინთიბიძე...), მაგრამ...

ახლა იმის თაობაზე, თუ რა ინვეს იმას, როცა ზოგჯერ მხატვრული ტექსტი ფილოსოფიურ ტექსტად გვეჩვენება.

სახელგანთქმულ ნოველისტ რევაზ მიშველაძეს არასდროს ჰქონია მიზნად ფილოსოფიური ნაშრომები შეექმნა, ოღონდ მისი საყოველთაოდ ცნობილი „ლომი“ უაღრესად ფილოსოფიური ქმნილება გამოვიდა და ეს განაპირობა არა რაიმე საგანგებო რთულმა მსჯელობამ, არამედ იმან, რომ უმაღლესმა მხატვრულმა დონემ თავად გააჩინა ფილოსოფია, სასიბრძნო სიგრძე. ჯერ კიდევ 1991 წელს ვენრდი ამის თაობაზე: „უმჯობესია იხატებოდეს არა ფილოსოფიური პერსონა, არამედ მხატვრული პერსონაჟი, რომლის არსებობაც თავად იქნებოდა ცხოვრების ღირს-შესანიშნავი ფილოსოფია. ამ აზრით, მეჩვენება, რომ დათა თუთაშვილი და ზურაბედაძე ან, ვთქვათ, არაინტელექტუალური პერსონაჟი თავადის ქალი

(ხის ცხენი და ვალანის შიგნით ასე შესვლა-შეტყუება); იმავე ხერხს იყენებს ქართველი ოდისესიც ქაჯთა ციხის ასაღებად. თვითონვე აღიარებს, შველა და შევეტყუები, ვაჭრულად გადაცემული.“

სხვაგან ქალბატონი მკვლევარი ასე მსჯელობს: „კალენდარული და სოლარული მითოლოგიის ასპექტში ნაყოფიერების ქალღვთაება აღმდგარი, ამწვანებული ბუნების მითოლოგიური სიმბოლოა. ამ ასპექტში შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მწვანე ფერის სამოსელი ნესტან-დარეჯანის ერთ-ერთი მყარი გარეგნული ატრიბუტია.“

ფარდაგასა შინა მჯდომარე, შესამოსლითა მწვანითა (408); მითვე მწვანითა უებროი მინოლიტი ტახტისა მჯდომარე (521); თავსა რიდითა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა (1131).

ამ კონტექსტში, აღბრუნ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად გმირები მიდიან მაშინ, როდესაც „მოწურვილი იყო ზაფხული, ქვეყნად აზოსელა მწვანისა (1328)“.

(კრებულის გვ. 37).

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სწორედ რომ შემთხვევითია ჯერ ერთი, ნესტანს ყოველთვის როდი აცვია მწვანე. გაბრდვლილბული ვითინი-ნარინისფერი ჯუბით იჯდა იგი საზეიმო სუფრაზე ტარიელის პირისპირ; მეორეც, ქაჯეთის ასაღებად ამწვანებულ გაზაფხულზე რიდიან მიდიან გმირები, ამ საქმეზე მიემართებიან ზაფხულში. „მოწურვილი იყო ზაფხული, ქვეყნად აზოსელა მწვანისა“ – აღნიშნავს იმ დროს, როცა პასაუბეი გულანამაროდან გამოდის. ესაა გაზაფხულის ბოლო ხანა, მაისის 20-22 რიცხვი. ამის მეტე მან საქმით დრო დახარჯა, ვიდრე ტარიელთან მივიდოდა; აქედან ცხენზე მთი ფრიდონად მიღწევა ერთი თვე მაინც დასჭირდებოდა; შემდეგ ფრიდონი ლაშქარს შეკრებს და მალე-მალე თვეს ქაჯეთისაკენ. მამ, ამ დროს კაი გვარიათ ზაფხული მაინცა დგას.

ან კი შევასხენებთ ქ-ნი მკვლევარს – ის, რომ აღმოსავლურ ლიტერატურაში მწვანე ფერი ახალ გაზრდილ ფერია. ეს არავითარ მიუთითებია და, მათ შორის, ე. ნოზაძესაც. იხ. მისი „ფერთამეტყველება“.

ახლა სარეჩიტატივი ნაწილიც გავისწავოთ. ავტორის ზოგიერთიგამართავი ფრაზა, ენობრივი საბრუნავი, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, კორექტურული წუნი სხვა სტატიებში არ შეინიშნება; განსაკუთრებით ბევრია რუსულის კალკი.

რუსიციზმები და რუსული კალკებია: დერივატად თვლიდა; რომანის წარმოშობა და არსი მის მთლიანობაში (24); შედეგს წარმოადგენს; სხვადასხვა ფანტები (25); საბოლოო ჯამში; არსებულის ასპექტში (27)...

ორთოგრაფიული წუნია: ტიპიური (22); ერთსადაიმავე (26); დაფორმულებული (29); ანზოგადებს, ჰპოვა (32); ჰპოვა, ფუნქციონალურად (35); იგივე აღნაგობას (41).

სტილური ჩავარდნები: „დაგროვილ მასალას ანალიზი და განზოგადება ესაჭიროება ტიპოლოგიურ კვლევათა ასპექტში“ (22); „გამოკვლევამ ეპიკურ ტექსტთა დინამიკური წყობის შესახებ საყურადღებო დასკვნები წარმოადგინა“ (23); „ყოველგვარი კონტაქტები ისტო-

რული დასკვნა: „ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეთა სისტემაში მზესა და ვარდს, როგორც მეტაფორას, სიმბოლოს, მხატვრულ სახეს, ალეგორიას, ალუზიასა და ენიგმას, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ. რობის სიუჟეტს წარმართავს დამჭკნარი ვარდის ახალი ვარდით შეცვლის, დამზარალი მზის ნათლი შეცვლის სიმბოლიკა, რაც სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს შეესაბამება. ამიტომ მზისა და ვარდის მეტაფორით, სიმბოლური და ალეგორიული გაზრებით აისახება მთავარ პერსონაჟთა გარეგნობა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და მათი შინაგანი სამყარო, მძაფრი სულიერი განცდები“ (66).

ამ ნარკვევის თეორიულ-პრაქტიკული (ტექსტოლოგიური) მნიშვნელობა და მეცნიერული ღირებულება შეეძინებოდა, ქ-ნი მკვლევარს რომ აღნიშნულის დადგენის შემდგომ ერთმანეთისათვის შეედარებინა მზისა და ვარდის მეტაფორებისადმი მგონის დამოკიდებულება შიგნითქცესსა, „ინდო-ხატაელთა ამბავსა“ და დამატებებს შორის. მაშინ დაადგენდა ისეთ რასმე, რომ ჩაგულისხმებული მკითხველი დაინახავდა: შიგნითქცესტი და „ამბავი“ ამ მხრივ სრულიად ეთანხმება ერთმანეთს, ხოლო დამატებები, როგორც არსობრივად, ისე მეტაფორათა მომარჯვების ოსტატობითაც განსხვავდებიან. მათ შორის ესთეტიკური უფსრულია განოლილი.

ერთიც უნდა ვთქვა: ეს პატიოსან, უარეტენზიო, გამართული ქართული შესრულებულ სტატიაში ერთგანამოტეველებულია „ოდესმე“ ჩემსა და ცნობილ რუსთველოლოგ ზეთის ზარის შორის გამართული ცხარე კამათი. იგი მოჰყვა ჩემს წერილს „წვიმის საიდუმლო ვეფხისტყაოსანში“ (1995). აქ მე ვანაწილებდი ვეფხისტყაოსანში აღწერილ ერთადერთ წვიმას, ვარკვევდი მის ალუზიურ მნიშვნელობას. მოულოდნელად დაიბეჭდა ზეთის ზარის მოსაზრება – „ავრგინდა ცა და ღრუბელინი კროდეს ბოლოსა (ცვართა) მისის ლუწუნა წვიმა კი არ არის, არამედ მეტაფორაა და ავთანდილის პირისახესა და ტირილს აღნიშნავს (ე. ხინთიბიძე, წვიმის საიდუმლო, თუ გაუხსნელი მეტაფორა“, „ლიტ. საქართველო“, 3 მაისი, 1996, გვ. 10).

მაშინ ქ-ნი მკვლევარი და ზეთის ზარიც ერთად მოუშობდნენ ლიტერატურის ინსტიტუტში და იქ გამართულ წლის რუსთველოლოგიური მონაგრის განხილვაზე ნსულავა გამოვიდა, მხარი დაუჭირა რა ჩემს ოპონენტს, უარყო ჩემი აზრი, რომ იქ რეალური წვიმა და არავითარი მეტაფორა არ იგულისხმება. დღეს განსახილველ წერილში კი რა ხდება?

მკვლევარ ქალბატონს მოჰყავს საკამათო სტროფი:

მოწურვილი იყო ზაფხული, ქვეყნით აზოსელა მწვანისა, ვარდის ფურცლები ნიშნისა, დრო მათის პაემანისა, ეტლის ცვალბა მზისაგან, შეჯდომა სარატანისა. სულთქენა, რა ნახა ყვაილი მან, უნახავმან ხანისა.

(კრებული, 63). მის შემდეგ, პოემით, მოდის სტროფი, რომელშიც აღწერილია მისის ბოლო დეკადის თქორი:



← აგრეგინდა ცა და ღრუბელი
 ცროდეს ბროლისა ცვარითა.
 მართალია, ამ ტაყვს ერიდება,
 ოლონდ მკვლევარი მას ასე ანალიზებს: „მზის ნილი გმირები მაისის წვიმით არიან განბანილი“ (კრებული, 64).

მაშასადამე, ქალბატონი მეცნიერი ჩემს მხარეზე გადმოსულა, ოლონდ არსად მიუთითებია, რომ ოდესღაც უსამართლოდ (თანამშრომლის ხატობით) მიპირისპირდებოდა.

ბარემ კიდევ ერთი პატარა შენიშვნა.
 რუსთველოლოგებს არაერთხელ მივუთითე, რომ ჩვენს ეროვნულ პოემაში „ძე“ არ ნიშნავს არავითარ მემკვიდრეს, ტახტის მომლოდინე უფლისწულს. ნინაღამდგ აკ. შანიძის აზრისა, არაერთგზის დავამტკიცე: ძე, პოემით, ზუსტად იგივეა, რაც შვილი. არც მეტი, არც ნაკლები! ნ. სულავა ა. შანიძის კვალზე წერს: „ძე“ პოემაში ტახტის მემკვიდრის მნიშვნელობით გამოიყენება; შესაბამისად, თინათინის „ძედ“ სხენება მოწმობს, რომ იგი ტახტის მემკვიდრეა“ (57).

არადა, ჯერ კიდევ 2010 წელს დაიბეჭდა ჩემი სტატია „ლახუდრები რუსთველოლოგიაში“ და იქ ჯეროვნად შევნიშნე თ. ხედელიანს. მომაქვს სათანადო ამონარიდი:

„როსტევედ მეფე, ავტორის აზრით, თავიდანვე სამეფოდ ზრდის თინათინს, უწოდებს მას „ძეს“... აქ საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოსდა „ძე“ ძველად ნიშნავდა ვაჟს, ვაჟიშვილს. სინამდვილეში ეს უხეში შეცდომაა. „ძე“ მე-12 საუკუნის ... ქართულში აღნიშნავდა ზოგადად შვილს, ნამირს; „ძე“ ეწოდებოდა ქალსაც და კაცსაც. ქალის გამოსახატვად გვარი არ გამოყოფდა რაიმე სხვაგვარ დაბოლოებას, ვთქვით, ასე: გიორგი კოლონკელის – ძე და მზექალა კოლონკელის – შვილი. ასე და ამგვარად, მკვლევარს ტყუილად ჰგონია: როსტევედ მეფე რომ თინათინს „ძედ“ მოიხსენიებს, ეს ვაჟი მემკვიდრის აღნიშვნელი ელემენტი იყოს, გამოყენებული სამეფოდ გამაზღვრული ასულის მომავალი სტატუსის განსაზღვრის მიზნით“ (რუს-

ლმრთად ხადღობის...“
 სიტყვა ღმრთად დაფიქსირებულია ყველაზე სარწმუნო A და B ხელნაწერებში. არის სხვებშიც, კერძოდ, 9 ხელნაწერი.

იმხანად სარდლებისა და მეფეებისათვის ასეთი მიმართვა ჩვეულებრივი იყო. ისტორიკოს ვიცით, რომ თამარი სამეფს გაუსწორეს და მის მიუთხებ შიშისკაცად აღიარეს. მამ, დავით სოსლანისათვის, რომელიც გახლდათ მეფე და გმირი, ავთანდილ-ფრიდონის თანხანორი სარდალი, ღმერთი რომ ეწოდებინათ, გასაკვირი არაა!

ახლა ვაღმოვცეთ სტროფის ნამდვილი შინაარსი: ქართველთა ღმერთთა დავითი, ვისაც მზე (თამარი) დაპყრობაზე უფლებს; ეს ამბავი მე შეუთხებ მათ გასართობად, ანუ იმის მოსახმარად, ვინც არის აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე (ანუ მთელი მსოფლიოს) მპყრობელ-მმართველი. ეს ფრაზა რომ სპარსულ ყაიდაზე გავმართოთ, ასეთ ფორმას მიიღებდა: ვინც არის შვიდი იყლიმის მპყრობელი, ანუ კეისარი; ვინც არის ორგულთა დამწველ-დამბუფველი და ერთგულთა გამახარებელი.

სწორედ ასეთი იყო დავით სოსლანი. ამ იდეას ირბად პოემის შიგნიტექსტიც ეხმიანება: ავთანდილი შედის როსტევედან, სთხოვს, ნება მისცეს, რათა სანაპირო (მონაპირე, მოსაზღვრე) ქვეყნები მოიაროს – ურჩნი დასაჯოს, ხოლო ერთგულნი დაჯილდოოს და გაამხნოს.

ზუსტად ეგ იდეა მჭვირვალეს ეპილოგის ბე-მომოყვანილ სტროფშიც.

მომდევნო კი აგრძელებს დავით სოსლანის ქებას:

დავით სოსლანმა რაც სიჩაღებ-სიხაფეთანი (ხაფი ხმით მტერს აჯაბანებს და ამარცხებს ტარიელი) გამოიჩინა ომებში და რაც გააკეთა, იმას მე როგორ ავსახავდი, იმის აღწერას ჩემი ნიჭი სად ეყოფოდა; ამიტომ ვარჩიე, ხელთ ამელო ეს საოცარი ამბავი, საოცარ ხელმწიფეთა ცხოვრება და მათი პროზად ნათქვამი ამბავი ლექსად ვაქციეო (გაიმეორა ის, რაც უწერია პროლოგში).

ლოგია – მეფე მეორდება სამეფოს. ბოლო მეფე უნდა შეცვლილიყო სიტყვით ხელმწიფე და საქმეც დამში მოვიდოდა. აი, რა ლაღად და თავისუფლად გრძნობს ტექსტი თავს ჩემს ხელში: „მეფის სამმა რჩეულმა მოყმემ ბრძოლით გაარღვია ფილისტიმელთა ბანაკი, ამოილო ბეთლემის ჭიდან წყალი, წამოილო და მოართვა დავითს, მაგრამ, მათი თავგანწირვის მიუხედავად, მწყურვალმა ხელმწიფემ წყალი არ დალია“.

ცნობილ მკვლევარ ხეთისო ზარიძეს მცირე პარალელები დაუძებნია შავიგრაფიასა და ვეფხისტყაოსანს შორის. მომეჩვენა, რომ ეს არის ნაძალადევი ძიება. ხეთისო ზარიძის ამ ნაშრომის ნაკითხვის შემდეგ ახალს ვერაფერს იგებ, ვერც რაიმე ლირებულ მოსაზრებას დამიხსოვრებ; სა-მუქვოდ, უხვადაა წარმოდგენილი სარეჩიტატიო მასალა. დავიწყეთ უმთავრესი. ვერც ერთი ტაყვი რუსთველისა მკვლევარს სწორად ვერ მოპყავს. ორიდან ერთია: ან არ იცის, ან თვალის დაღვრება და იმად ველებოდა. წერია: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტრალი წყლისა პირას“ (80). აქ დამავებულია ორი შეცდომა. მკვლევარს ერთმანეთში არეგია გრამატიკული და პოეტიკური ყოვნი; მას არა სცოდნია, რომ პოეტური ცეზურა ყოველთვის როდი ემთხვევა გრამატიკულ-სინტაქსურს. ამგვარი დიქციონარი (განყრა, განსვლა, გამიჯნა) რუსთველისათვის ჩვეულებრივია. მაშასადამე, მძიმე (გრამატიკული წინააღმდეგობა) უნდა ვაღმოვადგინო და გაათიშო ორი ნინაღამდგა, სადაც პირველში ერთი სიტყვაა, მეორეში – შვიდი. მამ, ტაყვი ასე გასწორდება: ნახეს, რომ უცხო მოყმე იჯდა... მეორე შეცდომა ისაა, რომ ბოლო სიტყვაა არა პირას, არამედ პირას. „პირას“ თანამედროვე, XXI საუკუნის, ფორმაა, „პირას“ – მე-12 სასწავლისა. ამრიგად, ტაყვი ასეთ სახეს მიიღებს:

ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტრალი წყლისა პირას.

მცდარადაა დაბეჭდილი სხვა ტაყვიც: „ცრემლსა ვართი დაეთრთვილა...“ (80 გვ.)
 მართალია, ვართი დაეთრთვილა კარგ ალიტე-

ლია ფრაზა: „უამბობს სიყმნევილიდან ვეფხისტყაოსანს მოყმედ ქვეყამედ“ (81).

ნინაღამდგა რომ ოდნავ გასაგები გახდეს, მას სჭირდება სიტყვა ამბავს: „უამბობს ამბავს სიყმნევილიდან ვეფხისტყაოსანს მოყმედ ქვეყამედ“. ისე კი, გულწრფელად რომ ეგონებოდა, არც ასე მეტყვნიკება. ნაღდი ქართული ამგვარად აჟღერდება: „უამბობს ყმანვილის ვეფხისტყაოსანს მოყმედ ქვეყის ამბავს“.

„ზემოდან კარნახით“ დანერვილად შემირაცხავს თინათინ ბიგანიშვილის ნაშრომიც. „არისტოტელეს პოეტიკისა“ და რუსთაველის ესთეტიკური თეორიის პარალელების შესახებ“ კი ეწოდება მას, ოლონდ ავტორს ვერ დაუძებნია ეს პარალელები. არ მცალია, თორემ ამ საკითხზე მცირე ლექსისა ნაწილობრივად ავტორს. ამიტომ მხოლოდ ერთ უმნიშვნელოვანეს პარალელზე მივუთითებ, რაც ნამდვილ მკვლევარს არ უნდა გამოორჩენოდა. არისტოტელე ლაპარაკობს ორ სინამდვილეზე – ერთია არსებულად, რეალური, რაც მოხდა, ხოლო მეორე ის, რაც შეიძლება მოხდარიყო. აქ შესაძლებელი იყო მეტად მნიშვნელოვანი პარალელის გაგება, კერძოდ, რუსთველი ამ ვითარებას ამგვარად ითვალისწინებს: ხატავს ორივე სინამდვილეს, რაც თავს გადახდა თამარ მეფეს. ერთია მისი კრახიანი ვათხოვდა გიორგი რუსზე და ამასთან დაკავშირებით გაჩენილი საქვეყნო პრობლემები, ხოლო მეორეა, როგორ შეიძლება ეს სინამდვილე სხვაგვარი, უკეთესი გამოსულიყო. პირველი სინამდვილე პოემაში გამოიხატება ნესტან-ბეარაზმის (ინდოეთის ამბავი) ხაზით, ხოლო მეორე – თინათინ-ავთანდილის ხაზით (არაბეთის ამბავი).

აი, სად შეიძლება ღრმა საუბრის გაშლა, ოლონდ ეს მომენტები ავტორს არ გახსენებია.

აზრობრივი თვალსაზრისით, კიდევ ერთ შენიშვნას გახატებთ. ავტორი მსჯელობს ტერმინზე გრძელი („მოშიარე, არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“). დიხ, არისტოტელეც საუბრობს ამაზე (ამა თუ იმ ქმნილების მოცულობაზე),

დედატყუილი

თველოლოგიური კრიტიკა, I, გვ. 736).
 სახისმეტყველებითი ნაშრომი დაუნერია ლია წერეთელს. ეს არის ანალიზი ტაყვისა „უნწყლობა შკლავს, წყალი სდის“ (კრებული, 70).

უნიანარეს ყოვლისა, ისა ვთქვითა, რომ ავტორს სწორად ესმის სიტყვა წყლის მეორე მნიშვნელობა. მითითებული „წყალი სდის“, მას სამართლიანად მაინცა ცრემლის დენად.

არადა, ეს რომ ამეხსნა, რამდენი ფიციმტკიცე და ცოდნა-ერუდიციის გამოჩენა დამჭირდა ალექსი ჭინჭარაულის ნინაშე. ენათმეცნიერმა, რომელსაც სიტყვის სემანტიკურ ველში ცნების ელემენტარულ-გრამატიკული არსი კარგად ესმოდა, ოლონდ მისი მეორე (მეორეული), ანუ მხატვრული, მხარე ვერ ვაგეო, ასე ვთქვითა: პოემაში დაძებნა სტროფები, სადაც პერსონაჟები არა ცრემლს, არამედ წყალსა ღვრიან და ყოველი მათგანი ნაყალბედად გამოაცხადა. და მე დამჭირდა ძველი ტექსტების, ბიბლიური მასალის, აგრეთვე სხვა სამტკიცების მოხმობა, რათა ეს პრიმიტიული გაგება შეხიზნებინა და რუსთველური სტროფები დამეცვა (იხ. ჩემი „მგლოვიარე ქარავანი“ ნიგნში „რუსთველოლოგიური კრიტიკა“, 1, განსაკუთრებით 349-353 გვერდები).

სტატიაში იხილვის საინტერესო დაკვირვებები, მოძებნილია პარალელები ბიბლიასთან. ეს პარალელები თუმცა კი მეტად შორეულია, ოლონდ მაინც არ იჩვენებს ნინაღამდგეობის განცდას, რაკილა ვიცით: რუსთველი ბიბლიის უებრო მთარგმნელს შემთხვევითი როლია, ე. ნოზაქემ რომ მცოლი წიგნი უძღვნა პოემისა და ბიბლიის ურთიერთმიმართებას (იხ. ღმრთისმეტყველება, გვ. 469-512).

ახლა იმის თაობაზე, რაც მოუღებელია. მოყვანილია ტაყვები ეპილოგისა:

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად;
 დავითის ქმნანი ვითა ვთქვენ სიჩაღებ-სიხაფეთანი –

და თავისი მოსაზრების გასაძლიერებლად აქ ნახსენებ დავითს მკვლევარი ბიბლიურ პერსონაჟად. ფსალმუნთა ავტორად წარმოსახავს.

დიახაც პატივსაღებო და პატივდებულია დავით ებრაელთა მეფე, იერუსალიმის დამაარსებელი, გენიალური საგალობლების ავტორი, ქრისტეს მამად მიჩნეული, ოლონდ არც ერთ ერს მისთვის არ უწოდებია ღმერთი. მათ შორისაა ქართველობაც.

ასე, რომ ტაყვებში არ იგულისხმება დავით ნინასწარმეტყველი.

მაშინ ვინ იგულისხმება?
 თავის დროზე ზედად გამსახურდიამ და უფრო ადრე მე, პროტესტი გამოთქვით ქართულ მეცნიერებაში დავით სოსლანის როლის დამცირების ნინაღამდგე (იხ. ჩემი „რუსთველოლოგიური კრიტიკა“, II, გვ. 62).

არადა თავის დროზე თამარ მეფის ქმარი, ლაშა გიორგის მამა, სახელოვანი გმირი და სარდალი ქართველებს ღვთად ჰყავდათ წარმოსახული. ამის ირბი დადასტურება პოემაშიცაა წარმოდგენილი. კერძოდ, ინდოეთში, ტარიელ-ნესტანის ქორწინება, ავთანდილს და ფრიდონს, როგორც ინდოთა შემწეებსა და დამხმარეთ, უწოდებენ ღმერთებს. აი, ჩვენთვის საგულისხმო ტაყვი:
 „სრულინი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს

ესე იგი, ამ ორი სტროფის ბიბლიურ დავით მეფესაღმრთესთან დაკავშირება არ იქნებოდა სწორი.

ახლა სარეჩიტატიო ნაწილზე გადავიდეთ.
 2001 წელს გამოვეყვენი სტატია „გაჭრე-ბული ცხენიდან დანახული“. იქ მიმოვიხილა ვიდეო კრებულს „შოთა რუსთველი – 2000“. სტატიის ბოლოში ვწერდი: „ამჟამად და ამ უხეში შეცდომებისა და ორი დღის ლაბიეთი უმწო თქმების ავტორებს არ ვასახელებ, ოლონდ ვიტყვებ უფლებას, მომდევნო კრებულში წარმოდგენილ მკვლევრებს მთელი სიმკაცრით მოვთხოვო პასუხი ენობრივი პატრიოტიზმის უქონლობისა და სტილისადმი უნდელი დამოკიდებულების გამო“.

ამ დამინებამ ურამო ჩაიარა! დავინწყით წერილმანით.

ავტორს არა სცოდნია, რომ ან და თუ კავშირები ნინაღამდგის წერეთა თანახმობას აღნიშნავენ და მათ წინ არსად დაიხმის მძიმე. არადა სტატიაში დასმულია: ნამლავს, ან კეტავს; გიორგი, ან საყმოს რჩეული (70). ასეა ყველგან; რამის, თუ ბიბლიურ სახეებს (71). ასეა სხვაგანაც. გვინერენ: „ასეთ შემთხვევაში“ (71). გამართული ქართულია „ამ შემთხვევაში“; მკვლევარს უნდა ავსოდნოდა ისიც, რომ, თუ სხვათა სიტყვის „ო“ ხმოვანს ვიყენებთ, მაშინ ბრჭყალები იხსნება. არადა წერს: მათი დანახვა „განაღამცა გაეხარნეს“-ო“ (71). „ო“ სრულიად ზედმეტია! ორთოგრაფიული წერია: მონამეობრივ გზას გადის (72). უნდა მონამეობრივი. ორთოგრაფიული წერია ესეც – პასუხობს (73). მკვლევარს არა სცოდნია, რომ ეგ გახლდათ ერთპირიანი ზმნა: კაცი პაპობს (ის); ქალი ქალობს (ის); პასუხი პასუხობს (ის); ავტორს კი სჭირდება ორპირიანი ზმნა უპასუხებს (ის მას); ჩართულობა სიტყვაა არა ამასთან, არამედ ამასთანავე ან ამასთან ერთად. წერილში ასეა: „ამასთან, ტაყვი ანტიონომის გულისხმობს“ (76). იმავე გვერდზე (ისე, როგორც ბევრგან) გაპარულია კორექტურული პარეზი; ლიტ. ინსტიტუტის თანამშრომელი არ უნდა წერდეს ასე ჩიქორთულ-ჩახალათოვლად: „ამჟერად ჩვენი მსჯელობისათვის იმის განსაზღვრა გვსურს, რომ რუსთველური ცრემლთაფრქვევა ღმერთთან მიახლებების ნაღილია“ (72).

მე, მრავალნაწიდი ტექსტოლოგი, ვერ გავრკვეულია, როსი თქმა სწადია აქ ჩვენს ავტორს. შეცდომათა ჩემპიონი კი მაინც ეგ მონაკვეთია: „სამმა მეფის რჩეულმა მოყმემ გაარღვია ბრძოლით ფილისტიმელთა ბანაკი, ამოიღეს წყალი ბეთლემის ჭიდან, წამოიღეს და მოართვეს დავით მეფეს, მაგრამ მათი თავგანწირვის მიუხედავად, მწყურვალმა მეფემ წყალი არ დალია“ (75).

აქ სულ 24 სიტყვაა დაჯერული და თავი მოიყარა რვა შეცდომამ: ჯერ ერთი, სამი მეფე კი არაა აქ, არამედ სამი მოყმეა. მამ, სწორია ასე: „მეფის სამმა რჩეულმა მოყმემ“; დიდი სიბრძნე როდი სჭირდება იმის მიხედვრასაც, რომ სწორია ბრძოლით გაარღვია და არა გაარღვია ბრძოლით; შემდეგ, სამმა მოყმემ ამოილო და არა ამოიღეს, როგორც წერია; ადგილს ეწოდება ბეთლემი და არა ბეთლემი, როგორც მითითებულია; წამოიღეს და მოართვეს უნდა შეიცვალოს მხოლოდობის ფორმებით: წამოილო, მოართვა; „მათი თავგანწირვის მიუხედავად“ გახლავთ ჩართული. ამიტომ „მაგრამ“ სიტყვის შემდეგ უნდა დავსვათ მძიმე; ამავე დღის, გაპარულია უხში გამეორება, ანუ ტავტო-

რაციასა ქმნის, ოლონდ მაშინ აზრი იკარგება. მამ, უნდა ყოფილიყო ვრდი.

დაბეჭდილია:
 „ვეფხისტყაის ქუდივე იყო სარქმელი თავისა“ (80).

აქ აკლია ერთი მარცვლი და შიარი (16 მარცვლიანი ტაყვი) კოჭლდება. „ტყავის“ კი არა, „ტყავისა“ უნდა.

დასტამბულია: „ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქამდისა ჩემი შვეა“ (88). ყველა ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტშია აქამდისი.

მომდევნო სტრიქონშია „ვერვის ძალუმს“ (88). ძალუმს თანამედროვე გამოთქმაა. მე-12 სასწავლისა ასე ამბობდნენ – ძალუმც.

დაბეჭდილია: „მასე მადლო ესე იყო, ნადილი და მისი ნება“ (88). „ესე იყო“ შემდეგ მძიმე არდასალილია!

წერია: „ესე თქვა და შემობრუნდა, დაღრეჯითა ნაშოვიდა“ (88). უნდა ეწეროს „დაღრეჯილი“; ჯეროვნად მომდევნო სტრიქონიც ვერ გადაუწერია ავტორს.

არის: „არცალა ჰკრა ასპარეზსა, ფამი, ვამსა მოურთიდა“ (88). აქ ერთბაშად ორი შეცდომაა გაპარული: ფამი კი არა, უნდა იყოს ვამი, იგივეა, რაც ვამი; ამავე დროს, მძიმე არდასალილია!

რ. თვარაძის ნიგნე ასეა წარმოდგენილი: თხუთმეტსაუკუნეობანი მთლიანი. უნდა ყოფილიყო მთლიანობა; იქვე მითითებულია, რომ ეგ ნარკვევი შესულია ნიგნში „გადასახადი“, რომელშიც კორექტურული შეცდომია.

გრიგოლ ხანძთელის დახასიათება ასეა მოწოდებული: „არცა შეეშთხვია თულათა მისთა მრუდედ მხედველობა“ (86). არადა ასე უნდა ყოფილიყო – მრუდედ (ბუნებრივად, მკრთალად და არა შეცდომით, არასწორად).

ავტორის უყურადღებობას ადასტურებს ისიც, რომ მოუწესრიგებელია პუნქტუაცია და გასაკეთებელი დარჩა კორექტურა. პირველივე გვერდზე ჩართული კერძოდ არაა მძიმეებით გამოყოფილი (კრებული, 78). იქვე ჩართული კეკელიძის თანახმად გამოყოფილია; მომდევნო გვერდზე სიტყვა ამიტომ უკნიდან რატომღაც ყოვნის ნიშნითაა შემორავებული, ხოლო ჩართული მისი აზრით ნინიდან გამოყოფილი დარჩენილია (კრებული, 79); მკვლევარს მხედველობიდან გამოორჩენია: რომ კავშირის წინ აუცილებელია მძიმე (81); იქვე ასეთი რთული ნინაღამდგა: „იგი მოკლედ გვიამბობს საიდან და როდის მოსულა ეფსტათი მცხეთაში“. ზმნის „გვიამბობს“ შემდეგ დასასმელია ყოვნის ნიშანი; იმავე გვერდზეა ასეთი ფრაზა: „ავტორს ჩანს ხელთ ჰქონდა“. აქ ორი შეცდომაა: აკლია მძიმე და ხელთ ჰქონდა სიტყვების რთული თანხმობები ლთქ უნდა გამოიჯნულიყო ემფატიკური ხმოვნით აი, ასე: ხელთა ჰქონდა. სამგან არანსორადაა დასმული ან აკლია პუნქტუაციის ნიშნები 82-ე გვერდზე.

ამრიგად, არ არსებობს უამრავლო გვერდი. ნაშრომიში ბევრი კორექტურული და ორთოგრაფიული შეცდომია, სტილიურად გაუმართავია. ნაშრომს ამძიმებს, ძნელად საკითხავსა და რთულად გასაგებას ხდის მეტისმეტად ბნელი სტილი. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. წერია: „იგი რომ მოჩვენება არ იყო, ამას მისგან წაშაყრობლად მიგზავნილი მეომართა გვაგებთ მოფენილი ველი ადასტურებს“ (80). დედის ძუჭუსა და აზრს სრულიად მოწყვეტი-

ოლონდ მკვლევარს ვერაფერი საინტერესო ვერ უთქვამს და გამოიჩინა ამ პარალელიდან და ეგ კი იმითომ, რომ საერთოდ არ იცნობს ნინაში განჯევის შემოქმედებას. ამ „გრძელზე“ მთელი ტრაქტატი აქვს დაწერილი სპარსულ პოეტს, რაცა საუბრობს თავის პოემა „ისკანდერ-ნამეზე“, რომელიც მოცულობით სამჯერ აღემატება „ვეფხისტყაოსანს“. რა თქმა უნდა, იგი ამოძის არისტოტელეს მოსაზრებიდან, ოლონდ თავისებურად ავითარებს „პოეტიკის“ იდეას.

შემეცნებითი თვალსაზრისით ამის მეტს აღარაფერს ვიტყვი.

ამრიგად, სტატია ვერაფერს აძლევს ვერც მოცული მკითხველს, ვერც მეცნიერებს.

ახლა ფრაზების შესახებ.

1. ავტორი ცდილობს პატივი მიაგოს ე. ხინთიბიძეს, მ.კარბელაშვილს, ზე. გამსახურდიას და მოჰყავს მათი ციტატები, ოლონდ სრულიად უადგილოდ და უმიზნოდ. ამის საჭიროება ნამდვილად არ იყო. ეს უფრო იტიქის ზე. გამსახურდიას დამონსტრებაზე (გვ. 102). კერძოდ, რა საჭირო იყო არისტოტელის ზე. გამსახურდიას მიერ „გარდათქმულ“ („პერესკაზი“) იდეებზე მითითება, როცა პირდაპირ არისტოტელე შეიძლება მითითებინა? ასევე გამსახურდიას მიუღებლად იდეას იზიარებს ჩვენი ავტორი 104-ე გვერდზე. „სამთა ფერთა“ რელიგიურობის ეს იდეა არავინ გაიხიარა, ხოლო მე სასტიკად გავაკრიტიკე (რუსთველოლოგიური კრიტიკა, II, 2023).

ავტორი გულბრყვილობითა სითამამით წერს: „დღემდე საკამათოდ რჩება რუსთაველი, როგორც მოაზროვნის, კონკრეტული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლად აღიარების საკითხი“ (90).

არაერთხელ ითქვა, რომ საკითხის ასე დაყენება მიუღებელია. რუსთველი არ გახლავთ ფილოსოფოსი, რომ რომელიმე მიმდინარეობას მივაკუთვნოთ, ხოლო უფრო მეტად რომ ნეოპლატონიკურ იდეებს იზიარებს, ეს დიდი ხანია ცნობილია. მეორეც, თვით მკვლევრის მიერვე პატივმგებელი პროფესორი ხინთიბიძე რომ ამგვარი იდეებს სამართლიანად ებრძვის, ეს თუ იცის მკვლევარმა? სინამდვილეში პირველად ეგ მოსაზრება გამოთქვა პროფ. ოუზა ეგვენიმე ძალიან დიდი ხნის წინათ; არაერთ ჩემს სტატიაშიცაა მითითებული. იხ. „არს უმეტეობის ნიშნის“ (რუსთველოლოგიური კრიტიკა, I), და, რაც აღმაფრთოვანებლად საოცარია, კრებულის იმავე ნომერში დაბეჭდილ მასალაშიც. ნაშრომის ავტორი კი უფალი რედაქტორი ივ. ამირხანაშვილია (გვ. 118).

ზოგი პასაჟი სრულიად გაუგებარია, რადგან ნინაღამდგა შუა-ზე მითვებული.

წერილი საესეა „წერილმანი“ შეცდომებით. ვისაუბრებ მხოლოდ პირველ გვერდზე.

წერია „პირველ რიგში“. ესაა რუსულის კალკი. ქართულია „უნიანარეს ყოვლისა“; არის „ამასთან“, სწორია „ამასთანავე“ ანდა „ამასთან ერთად“; კავშირი „რომ“ ორივე მხრიდან შემორავებულია ყოველის ნიშნით. უკნიდან არაფერი სჭირდება; „თუმცა“ უკნიდანაცაა მძიმით გამოყოფილი.

ივანე ამირხანაშვილი კარგად გამართული ქართულით მოვეფხობის ნინაშისა და რუსთველის ესთეტიკურ მრწამსზე. ზოგადოერიული მსჯელობა სწორადაა წარმართული და,

◀ დასაწყისი გვ. 1

უკრავდნენ. როდესაც გემი დაიძვროდა, მხიარულ მუსიკას დაუკრავდნენ, შემდეგ კი მთელი ბატალიონი თოფებს დაცლიდა.

მგზავრობა მძიმე იყო. რთული გზისა და შიმშილ-წყურვილისაგან ძალაგამოლეულნი უღონოდ ეცემოდნენ თავიანთ ბარგზე, მაგრამ მათი შემწე არავინ იყო. ყველას თავისი თავი უჭირდა. ბავშვები შიმშილს და წყურვილს ვერ უძლებდნენ. მიცვალებულებს, ღონივრები და მთხვრელებს, თურქები ზღვაში ყრიდნენ. ერთ-ერთი მუჰაჯირი, იოილ ლადაზია, შემდეგში იგონებდა: ერთ ქალს ძუძუთა ბავშვი მოკვდომოდა, თურქებს ზღვაში რომ არ გადაეგდოთ, დედას მკერდზე მიეკრა, თითქოს ძუძუს ანოვებდა და იავნანას უმღეროდა.

კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი, გენერალი ალექსანდრე კარცოვი აღნიშნავდა, რომ აფხაზთა გადასახლების ხელშეწყობის გარემოება იყო „აფხაზური საგვარეულოების ნათესაური თუ მეგობრული კავშირები ოსმალეთში წასულ აფხაზურ თუ დასავლეთ კავკასიის მთიელებთან“. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ კავკასიის მთიელთა გადასახლებამ დიდი გავლენა იქონია ამ მოძრაობის დაწყებაზე აფხაზეთში. იგივე გენერალი ა. კარცოვი ხაზს უსვამდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით საზოგადოების ზედაფენებს, არაერთხელ გამოუთქვამთ სურვილი, მიეხატათ ერთმონაშენი დასავლეთ კავკასიის მთიელებისათვის და წასულიყვნენ ოსმალეთში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზი მემამულეები და მინიშნული იყვნენ საგლეხო რეფორმით. ისინი ხედავდნენ, რომ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და 1866 წლის აჯანყების შემდეგ, ხელისუფლების დამოკიდებულება მათ მიმართ შეიცვალა. ცარიზმს ადგილობრივი თავადაზნაურობა უკვე არ მიაჩნდა თავის დასაყრდენად, რაც იმაში გამოიხატა, რომ არ ცნო მათი უფლებები გლეხთა მიწებზე. ამაში მუდამდებოდა ცარიზმის სურვილი, თავის განკარგულებაში მიეღო მიწების მნიშვნელოვანი ფონდი შემდგომი კოლონიზაციისათვის. ამის გამო აფხაზთა თავადაზნაურობამ გადაწყვიტა ოსმალეთში წაყვანა დამოკიდებული გლეხობაც და მათ ხარჯზე აეგო თავისი ბედნიერება. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი, გენერალი მიხაილ ტოლსტოი 1867 წლის 16 მარტს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს წერდა, რომ დაახლ. 40 ნებელდელ თავადს 1 მაისიდან განზრახული ჰქონდა ოსმალეთში გადასახლება გლეხთა 2170 ოჯახთან ერთად. გლეხები უნდა წაყოლოდნენ თავიანთ მემამულეებს, თუნდაც ამისი სურვილი არ ჰქონოდათ. ამას განაპირობებდა ტრადიციული ურთიერთობები და, მათ შორის, გლეხების ნათესაური დამოკიდებულება თავადაზნაურობებთან.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი აფხაზი ფეოდალი ცარიზმის მიერ იყო მოსყიდული. ასე მაგალითად: დალემა თავადმა მიხეილ (ნათლობამდე ალმასიტ) მარშანმა დიდი დახმარება გაუწია ხელისუფლებას მტრულად განწყობილი ნებელდელისა და დალელების, მათ შორის, მასზე დამოკიდებული გლეხების გადასახლებაში. მიხეილ მარშანისა და მისი ძმის ხრიფსის გლეხებს მათ გარეშე არ სურდა გადასახლება. ნებელდა-დალიდან გადასახლების პროცესი რომ არ შეფერხებულიყო, დალელების დაყოფის მიზნით გადაწყდა ხრიფს მარშანიც წასულიყო ოსმალეთში გლეხებთან ერთად, თუმცა მას გამოეყო 400 მან. და საიდუმლოდ მიეცა უცხოეთის პასპორტი, რომ დაბრუნება შეეძლებოდა. რადგან მიხეილ და ხრიფს მარშანები, როგორც აფხაზები, ვალდებული იყვნენ გადასახლებულიყვნენ დალიდან, სანაცვლოდ მათ მიწები გამოუყეს სოფ. ჯგერდაში და დაუნიშნეს პენსია. მიხეილს პრორჩიკის ჩინიც ებოძა.

მიხეილ მარშანი ადრინდვე გამოირჩეოდა რუსეთის ხელისუფლებისადმი ერთგულებით. მისი გავლენით დალელებმა 1866 წლის აჯანყებაში არ მიიღეს მონაწილეობა. ამასთან, ის და მისი ძმა, თავიანთ მომხრეებთან ერთად, 1866 წლის აჯანყების დროს ნებელდის გარნიზონს დაეხმარნენ სიმაგრის დაცვაში.

აღსანიშნავია, რომ ნებელდა-დალიდან გადასახლებულთა შორის იყვნენ 1866 წლის აჯანყების აქტიური მონაწილეები: კვაჯ ზურაბ-იფა მარშანი (იფა, აფხ. ძეს ნიშნავს), თათლასთან თენგიზ-იფა მარშანი, ფსხუბი სასტანაზ-იფა მარშანი, ყიზილბეკ მარშანი, შირინბეი მარშანი და სხვები.

როცა გადასახლების პროცესმა მნიშვნელოვანი გაქანება მიიღო, ხელისუფლება შეეცადა შეზღუდოდა იგი, რასაც მიაღწია კიდეც. იენისის დასაწყისში გადასახლების პროცესი დასრულდა. ოსმალეთის ხელისუფლებამ, შეთანხმებისამებრ, მუჰაჯირები რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან შორს დაასახლა – ნაწილი ანატოლიაში, ხოლო ნაწილი ბალკანეთში, – ძირითადად ბულგარეთში. თავდაპირველად, პორტამ აფხაზები კომპაქტურად დასახლა. მუჰაჯირებმა თავიანთ დასახლე-



აფხაზები

ნის არავითარი კვალი არ ჩანს – „ხეობის ზემო წელი სრულიად უკაცრიელი იყო“, – აღნიშნავს იგი.

1867 წელს აფხაზთა მუჰაჯირობის გამო დაცარიელებული მინაწყის დასახლებისა და სოხუმის სამხედრო განყოფილების მმართველობის შედგომი ცენტრალიზაციის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა ახალი ადმინისტრაციული რეფორმის გატარება, რომელიც 1868 წლის მაისში განხორციელდა. გამსხვილდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები. შეიქმნა ორი ოკრუგი – ბიჭვინთის ოკრუგი, რომელიც შედგებოდა გუდაუთისა და გუმისთის უბნებისაგან და ოჩამჩირის ოკრუგი, რომელიც შედგებოდა კოდორისა და სამურზაყანოს უბნებისაგან. ნებელდაში, რომელიც განსაზღვრული იყო მთლიანად კოლონიზაციისათვის, დასახლებათა მზრუნველობა შეიქმნა. ასეთმა ადმინისტრაციულმა დაყოფამ 1868 წლამდე იარსება.

სოხუმის სამხედრო განყოფილების (აფხაზეთი) ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ბე-

აფხაზთა მუჰაჯირობა

ბებს ის სახელები შერქვეს, საიდანაც იყვნენ წარმოშობით. ასე გაჩნდა ოსმალეთში სოფლები: ააცი, აკაფა, ანხუა, გუმა, ემერა, დალ, ნაბალ, ქლოუ, უარჩა, ჯგერდა და სხვ. აფხაზთა კომპაქტური დასახლება ოსმალეთის ხელისუფლებას მრავალ პრობლემას უქმნიდა და მუჰაჯირთა გათურქების პროცესს ხელს უშლიდა, ამიტომ პორტამ ამის შემდეგ ისინი გაფანტულად დასახლა.

გადასახლების პროცესში დგებოდა მუჰაჯირთა სიები სოფლების მიხედვით, ოჯახების რაოდენობის, ოჯახის თავკაცების სახელისა და გვარის მითითებით, ოჯახის წევრთა (ქალები, კაცები) რაოდენობის ჩვენებით. ამ სიების მიხედვით, სოფ. ფსირცხადან გადასახლდა 51 ოჯახი (210 სული), სოფ. ფოქეშიდან – 10 (69 სული. აქედან 9 ოჯახი – ფაჩულია – 65 სული, 1 ოჯახი ჯინჯია – 4 სული), სოფ. ქლოუდან – 125 ოჯახი (539 სული), სოფ. ათარიდან – 7 ოჯახი (43 სული) და ა.შ. ბიჭვინთის ოკრუგიდან გადასახლდა 226 ოჯახი (1357 სული), დრანდის ოკრუგიდან – 629 ოჯახი (3245 სული), ნებელდის ოკრუგიდან – 2503 ოჯახი (14740 სული). ამრიგად, აფხაზეთიდან, ნებელდა-დალიდან ერთად, გადასახლდა არა დაგეგმილი 4500, არამედ 3358 ოჯახი, 19342 სული.

1867 წლის აგვისტო-სექტემბერში სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვასილ გეიმანმა შემოიარა მისდამი რწმუნებული მხარე. 26-28 სექტემბერს ის იყო ნებელდასა და დალში. მხარე თითქმის მთლიანად იყო „განმედილი“ ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ხელისუფლებას არ სურდა, აფხაზთა თუნდაც რამდენიმე ოჯახი დარჩენილიყო კოდორის ზემო წელში. ვასილი გეიმანმა ნება დართო მიხეილ მარშანს 17 ოჯახთან ერთად, რომლებმაც კოდორის ადიდების გამო ვერ მოახერხეს ოსმალეთში წასვლა, აქ გაზაფხულამდე დარჩენილიყო.

კავკასიის მთიელთა სამმართველოს ცნობით, 1867 წლის ნოემბრისათვის სოხუმის სამხედრო განყოფილების (აფხაზეთი) მოსახლეობა ოკრუგების მიხედვით ასეთი იყო: ბიჭვინთის ოკრუგი - 4730 კომლი (26483 სული); დრანდის ოკრუგი - 2868 კომლი (16505 სული); ოქუმის ოკრუგი - 3493 კომლი (21 858 სული); ნებელდის ოკრუგი - 27 კომლი (87 სული).

თითქმის მთლიანად „გაინმინდა“ ნებელდა და დალი, რაც გამოწვეული იყო ამ მხარის სტრატეგიული მნიშვნელობით. ამ თემების თითქმის 15 ათასიანი მოსახლეობა თავიანთი სამკვიდროდან აყარეს და უცხოეთში გაასახლეს. 1868 წლის მონაცემებით, ნებელდაში სულ 13 ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო დალში – არცერთი. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობის შემდეგ, სულ მალე, 1874 წელს კავკასიაში ჩამოვიდა ინგლისელი მოგზაური ფლორენს კროფორდ გროუვი (1838-1902). იგი ყარაჩიდან გადმოვიდა კოდორის ხეობაში. ინგლისელი მოგზაური მოიხიბლა კოდორის ხეობით: „ძნელია ნახო უფრო დიდებული და მშვენიერი ადგილი, ვიდრე მდებარეობს დაფარული სივრცე და ტყეები, რომელზეც კოდორი მიეძინება“, – აღფრთოვანებით წერს იგი. მაგრამ მოგზაურს სევდა და ნალექი იპყრობს, როცა ხედავს, რომ აქ ადამიანის ყოფ-

გერეფსათაზე (ხოლოდ-ნაია რეჩკა) გადიოდა, სადაც მას ყუბანის ოლქის შავი ზღვის ოკრუგი ესაზღვრებოდა; სამხრეთ-აღმოსავლეთით – მდ. ენგურზე, ხოლო ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედზე.

აფხაზთა მორიგი ძალდატანებითი გადასახლება ოსმალეთში 1877 წლის აგვისტოში მოხდა.

1877 წლის აპრილში რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო, რომლის ასპარეზი კავკასიაც გახდა. ომის დასაწყისიდანვე რთული ვითარება შეიქმნა აფხაზეთში. ცარიზმის კოლონიური რეჟიმით გამოწვეული უკმაყოფილებამ ამ დროისათვის კულმინაციას მიაღწია და აჯანყებამ იფეთქა. ასეთ რთულ და დაძაბულ ვითარებაში, 29 აპრილს გუდაუთსთან ოსმალეთმა დესანტი გადმოსხა, რომელიც ძირითადად აფხაზი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა. სოხუმის გარნიზონის უფროსმა, გენერალმა პაველ კრავჩენკომ, რომელიც იმავდროულად სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსიც იყო, ვერ გაბედა შედარებით ძლიერ მტერთან შეხება, სოხუმი დატოვა და მდ. კოდორისაკენ დაიხია. აპრილ-მაისში თურქებმა თითქმის მთელი აფხაზეთი დაიკავეს. იმავდროულად, აჯანყებული აფხაზები თურქთა დესანტს შეუერთდნენ. რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ჩეჩენთა და დაღესტანში. ბრწყინვალე პორტას იმედო მიეცა, რომ რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის მთელ მასშტაბში მოსახლეობას აამხედრებდა, მაგრამ რუსეთის ჯარების წარმატებებმა კავკასიის ფრონტზე და განსაკუთრებით ბალკანეთში, იმედები გაუცრუა. ივლისში რუსეთის ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ აფხაზეთში და უკვე აგვისტოში მთელი მხარე განმინდეს ოკუპანტებისაგან. აფხაზეთიდან გაქცევისას თურქებს აფხაზთა ნაწილიც გაჰყვა. მაგრამ მათი უმეტესობა, აგრეთვე მცირე რაოდენობით ქრისტიანი ქართველები (მეგრელები) და ბერძნებიც ძალით წაიყვანეს.

უკან დახეული თურქები სოფლებს აოხრებდნენ და უიარაღო მოსახლეობას ზღვის ნაპირისაკენ ძალით მიუძეგებდნენ, იქიდან კი გემებით ოსმალეთში მიჰყავდათ. თურქთა ემისრები სოფლებში დაძრწოდნენ და აფხაზებს აქეზებდნენ ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ, სადაც მინიერ სამოთხეს და საუკეთესო პირობებს ჰპირდებოდნენ. თურქთა სარდლის შევეთ-ფაშას ბრძანებით შეიპყრეს თავადი შუსეინ ომარ-იფა ლაკრბა, თურქები-სადმი დაუმორჩილებლობაზე აფხაზთა წაქეზებისთვის. შევეთ-ფაშამ მას სიკვდილი მიუთხაჯა, თუმცა აფხაზ მუჰაჯირთა ჩარევამ იგი იხსნა. თურქებმა ასევე შეიპყრეს აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის ყოფილი მოძღვარი, მღვდელი ბესარიონ მიქაბერიძე და მისი სიძე, მღვდელი დავით ახვლედიანი. შევეთ-



მუჰაჯირები

„საცოდაობა იყო ხომალდზე გადაყვანილი აფხაზების ნახვა... ისინი ცხარე ცრემლით სტიროდნენ, ზღვის ნაპირისაკენ ხელები იშვერდნენ და ამწიროდ ეთხოვებოდნენ თავის სამშობლო ქვეყანას“.

რადგან 1877 წლის მუჰაჯირობა სტიქიური პროცესი იყო, აფხაზეთიდან მუჰაჯირობაში წასულთა რიცხვის გაანგარიშება მხოლოდ დაახლოებით არის შესაძლებელი, რამაც მნიშვნელოვანია სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ პომპეი არაკინის მიერ 1878 წლის ბოლოს შედგენილი მისდამი რწმუნებული მხარის მოსახლეობის აღწერა. ეს მასალები მან „კავკასიკი კალენდრის“ რედაქციას მიაწოდა. ამ მასალების მიხედვით, 1878 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილების ოჩამჩირის ოკრუგის სამურზაყანოს უბანში (9 სასოფლო თემი) 24 461 სული ცხოვრობდა. სამურზაყანოს მუჰაჯირობის პროცესი ამჯერადაც არ შეხებია. ოჩამჩირის ოლქის კოდორის უბანში (9 სასოფლო თემი) 3 935 ოჯახი ცხოვრობდა. აქედან 1 071 ოჯახი გადასახლდა. „კავკასიკი კალენდრის“ რედაქციას საჭიროდ მიუჩნევია კოდორის უბნის მოსახლეობის სულადობრივი გაანგარიშება, რისთვისაც ამოსავლად აულია გუმისთისა და გუდაუთის უბნების კომლობრივ-სულადობრივი მონაცემები. კერძოდ, თითოეული კომლის წევრთა საშუალო ოდენობის განმსაზღვრელად, არგუმენტირებული ვარაუდით, ოთხნახევარი სული მიუჩნევიათ. ასეთი გაანგარიშებით ოსმალეთში გადასახლებამდე კოდორის უბანში მოსახლეობის რაოდენობა დაახლ. 17 707 სული უნდა ყოფილიყო, საიდანაც ოსმალეთში დაახლ. 4 819 სული გადასახლდა, ხოლო დაახლ. 12 888 ადგილზე დარჩა. ბიჭვინთის ოკრუგის გუმისთის უბნიდან (8 სასოფლო თემი), სადაც 2 221 ოჯახი (9 985 სული) ცხოვრობდა, ყველა გადასახლდა. გუდაუთის უბნის (17 სასოფლო თემი) 5 293 ოჯახიდან (23 545 სული) 17 160 მცხოვრები (3 775 ოჯახი) გადასახლდა, ხოლო 6 385 სული ადგილზე დარჩა.

ამრიგად, 1877 წელს მუჰაჯირობაში აფხაზეთის დაახლ. 31 964 მცხოვრები წავიდა. თუ 1867 წლის მუჰაჯირობის შედეგად მთლი-

(დასასრ. დასაწყ. იხ. N11,12)

სამი ოთხის წლისა რომ ვიყავ, კარგად მახსოვს, რომ პაპაჩემის ჯვანათ ანტონას სახლებში იყო ძალიან მოხუცებული ბებერი დედაკაცი, ლოგინში მდებარე, თუალებით ბრმა, სახელად ექსანდრე „პატალოს“, რომ იყო დედაჩემის დედის დედა, დიად სულიერი დედაკაცი, იტყოდნენ რომ სასუფეველსა ცხადდ ჰხედდა ხოლმე.

არტანის ველის სოფლიდან ველები ყოველ წელს მოდიოდნენ ახალციხის საფაროდ, და მოიტანებდნენ გასასყიდად ერბოს, ყველს, ხორბალს, ფქვილს, გამხმარ თევზს და ჯვანათ სახლებში დადგებოდნენ ხოლმე, რადგანც პაპაჩემის ნაცნობები იყვნენ და მოყურობის სიყვარული მაშინ ერთმანეთში უფრო იყო აღგზნილი, ვიდრეც თუ ახლა, რამეთუ შემცირდა სიყვარული.

ამ რუსობის დროს ველის სოფლიდან მიეღო კათოლიკე ველები გარდმოსახლდნენ ახალქალაქის მარჯვნივ, და დასახლდნენ სოფლებში კარდიკამს, ბაერას, ხულგუმოს და სხვ. ველები მღვდელნი დიდი ტერ ოვანესი და ტერ პეტროსი აჭარლობათ კარდიკამიდან ტყვეთ ნაიყვანეს. და იყვნენ ზემო აჭარას, ფაშის ადგილებში ჯაჭვით შებოროტებულნი. ტერ ოვანესი იყო მოხუცებული, მშვიდი და წყნარი, ხოლო ტერ პეტროსი ტანადი, მონიფული და მხნე ახალგაზრდა. ამან თავისი ხერხიანობით ერთს ღამეს გასტეხა თავისი ბორკილი და გაიქცა აჭარიდან ლაზურის ტანისამოსით და ხელში ჯოხის ჭერით. და რა რომ გზაში დახუდებოდნენ ამას აჭარლები, ეტყოდა აჭარის რიგით „სალამნ ალექუმ (სელამ ალექუმ - ხ.ა.) და მოშორებით გასცილდებოდა, და ამ სახით გადარჩა ის. ხოლო ტერ ოვანესი დარჩა იქვე საცოდავად, შეუბრალებელს სატანჯველში. ბოლოს ტერ პეტროსისა და ხალხის შემწევობით და გრიქოლ მეფისთვის ცდითა გამოიხსნენ და ეს ორნივე გარდაიცვალნენ, ტერ პეტროსი კარდიკამს, და ტერ ოვანესი ბაერას; ეს ხშირად ყოფილა ჩვენს სახლში სტუმრათ, ღმერთმან საუკუნო განსვენება დაუმკვდროს ამათ სულსა და ჩვენ ცოდვლებისათვისაც მოხედ იყვნენ ზეცოურს სასუფეველში, ამინ.

1837-სა წელსა რუსის ხელმწიფე ნიკოლა პავლოვიჩი მობრძანდა ახალციხეს, და ხალხმან გაოხრებისათვის არზა¹ მიათვეს, და მამაჩემაც მისცა არზა ჩემგან დანერილი, ნარტაცებისათვის სოფლის კლდიდან ჩვენი ორმოცდაათი თავის ცხვრისა, ელიზბარ ციციშვილისაგან, მინდურდგან მოტაცებულია. და ხუთი თუმანი სახელმწიფოდგან მისცეს მამაჩემს. ახალციხის ხალხსაც გამოუვიდა ხელმწიფის წყალობა, ვგვიჩვენ ათი ათასი თუმანი. ათის წლის ვადით უსარგებლოთ, რათა ხალხი აჭარლებისაგან გაოხრებული, აღმდგარიყო სიღარიბისა და დაცემისაგან. მაგრამ პატიოსან კაცებმან და მეფისაშვილებმან პრჩევა ჰქმნეს თავიანთი, თუ რომ ახალციხის ღამიან ხალხმან მიიღოს ეს სახელმწიფო ფული, შეჰქამს, და ბოლოს ელარ შეიძლებს გარდახდას, და ჩვენ, პატიოსან კაცებს, გარდაგვხადეინებენო. ამისთვისაც უკუჰსდგნენ და არ მიიღეს; და ის ფულები ისევე უკანვე გაგზავნეს. აქა ცხადდ ჰქანას გაუნათლებელი ჰაზრი მათი, სიმშურდე, არა შებრალება და შემწევობა ხალხისა. ნუ თუ ათი წლამდის ვერ შეიძლებდნენ გადახდასა? და ისმოდა ხალხში ხმა ესრეთი: რათამცა მხოლოდ თუთონ ყოფილიყვნენ ჩინებულნი და არა სხვანი. ამისთვისაც ჯერარს აღსრულებად სახარებისა სიტყუა: „წინანა უკანა, და უკანა წინა“.

მე იოვანე სტეფანეს რეზიერიძე (ნებოერაშვილი), დავიბადე ძველს ქალაქში ახალციხეს, ჩვენს დარბაზში, პარასკევს დღეს ჯერეთ გაუთენებლივ, რომ ერთს საათამდისინ გათენებულა; აპრილის ოცსა დღესა ათას რვასს მეთაზრდმეტსა წელსა (1817) და ამ დღესვე, როგორც გამოვიხარა დედაჩემისაგან, ახალციხის ქვემო საყდრის იოანე ნათლის მცემელის ეკლესიასა ქალების ზემო ჩარდახის ერთი გვერდი ზემო ბემბის პირდაპირ, უკანა ეკლესიის კედლის მხარეს, ჭაჭიჭუჭის ხნით წელსწელსა დაწოლილა ძირს, და მასზედ მსხდომარენი ქალები, უფნებულად გარდაიჩინებოდნენ პარასკევს ხმოვანს ნირვანზედ და მეორე კვირადღეს მოვნათლულვარ ამავე ეკლესიაში, პოლოს ვართაპეტე შაჰყულიანისაგან, და სახელად დაურქმევიათ ჩემთვის „იონა“.

ზოგნი მიძახდნენ იონას, და ზოგნი იოვანეს. სამი ოთხი წლისა რომ ვიყავ, ვითარცა

ამტიკებენ შობილნი ჩემნი ჩემს ცელქობასა და დაუწუნარებლობასა, რამეთუ დავბოდი თავისუფლად, სახლიდგან მოშორებით. ამისთვისაც მომბამდნენ წელზედ თოქსა სიგრძით ოც საუენამდისინ, და მეორე თოქის წვერსა გამოაბამდნენ კარების ამყოლის ღუგმაზე და ისე დავბოდი. ერთს დღესაც გავიქეც თავზედად, და მივსულიყავ ქართველების ქუჩაში უეცრად ვისმეს სახლთან, სადაც მსხდარან გარეთ სკამებზე პატივდებულნი ვვამნი, და სიმკვირცხლისა გამო ჩემისა, მიმიყვანეს თავიანთი უფროსთან, რომელიც მკითხავდა ყმარწვილობის ამბავსა. ბოლოს ძეხნით მიპოვეს მე იქ, სადაც ყოფილიყუნენ საქართველოდამ მოსულნი ახალციხეს ანუ ალექსანდრე ბატონის შვილი (მეფის ერეკლეს უფროსი შვილი), რომ იყო ტანმალალი კაცი, თავისი თავად აზნაურობით, ანუ თუ ქუთაისიდან მოსული უკანასკნელი მეფე. რამეთუ დედაჩემი ეკითხებოდა მამაჩემს თუ: სად იყო აქნობამდისინ ეს ყმანვილი და საიდან მოიყვანე? იმანაც უთხრა: ნასულიყო ქართველების ქუჩაში თავადებთან, და იმათთან სადილობდა; და ტირილით ძლივს წამოვიყვანეთ.



მერმე მომცეს ოსტატს სასწავლებლად კითხვა, რომ იყო ჩემი ხალიფა იაკობ მურადოვი. ნამდვილ იმ ადგილს იყო საშვიკარდო, სადაც არის ახლა ყმარწვილების შკოლა, ქვემო საყდრის წინ, შაჰყულიანისაგან აღმენებულთ. ერთ დღესაც მიმიყვანა ხალიფამ და რომ არ ვიცოდი ჩემი გაკვეთილი (დასი)² ანბანი. უეცრად შემომკრა სილა მაგრათ, და შიშისაგან ჩამივარდა ენა და დამება. ასე რომ ერთს სიტყვასა გვიან ვიტყოდი ხოლმე და ერთს ორ წელიწადს ენა ბრგვნილი, ანუ ენა ჩლუნგი ვიყავ. და ჩემის ენა ჩლუნგობისათვის მესტამბოლები ურჩევდნენ მამაჩემს, რომ როდესაც მოვიდეს ახალი ფაშა სტამბოლიდან ახალციხეს, ერთმან კაცმან აიყვანოს მკლავზე ეს ყმანვილი და გზაში მიაგებოს ფაშას, და მოახსენოს თუ: ეს ყმანვილი ენაბრგვილია და მიიღე წყალობა, და ერთი სილა შემოჰკარ ამას. მართლად რა რომ მობრძანდა ფაშა დიდის დიდებით ცხენოსნებითურთ, რომელსაც წინა მიუძღოდა საკრავი მუზიკა. შემდგომ სამი ოთხი თულიც; თულების წინ საკუთრად უკრავდა კაცი ცხენზედ მჯდომარე დიმიტრიტოს, ცხენის მხარეზედ აქეთ იქით გადაკიდულს, რომ არის მრგვალი პატარა დაფები და გზაში მუჭის პნევიტა (პემვიტ) წერილს ვერცხლის ფულებს (თათურულს წურულს ფარას) გარდაუხმევდა საჩუქრად მოსიერი ხალხში ყმანვილებს, რომელნიც პოვულობდნენ და ჰკრიფავდნენ თავიანთს; და სადაც რომ ახლო იქნებოდა ყვანანა, ფიალითაც (ფინჯინითაც) მოართუამდნენ ყავას, და იძახდნენ: შაბა! შაბა! ხოლო ფაშა არ შესვამდა ყავას, არამედ ფიალში ჩაჰყრიდა რადენსამე წურულს ფარას საჩუქრად; და ესრეთის პატივისცემით შემობრძანდებოდა ხოლმე ახალციხეს, და ხალხიცა მიეგებებოდა ცხენმდისინ, და ციხეშიაც ფაშის სახლის წინ იკროდა მუზიკაც. ხოლო როდესაც მობრძანდა ახალი ფაშა, მაშინ ჩემმა ნათლიამ და მამა ჩემის ამხანაგმან ყალიაჯიანი ოჰანაჯანამ, რომ იყო ტანადი წარმოსდგენი კაცი, ამიყვანა მარჯვენა მკლავზე და მიმიყვანა ფაშის წინ,

და მოახსენა ჩემი ენაჩლუნგობა. ფაშა შედგა ცხენით, გამოიკითხა, შეიტყო მიზეზი და გამიცინა, და ერთი სილა შემომკრა ლოყაზე წყნარად. და მამა გულში. ეს არის საკრველი, რომ იმ დღიდან მოკიდებული დავინყე მცირედ სწორედ³ ლაპარაკი და მეტადრე წიგნის კითხუამიაც უფრო კარგად გამისწორდა ენა; თუმცაღა ვიდრე აქნობამდე ზოგჯერმე კიდევ მცირე ოდნად წამომებოძიკებოდა ხოლმე ენა ლაპარაკში.

მამაჩემმან შეიტანა საჩივარი სასამართლოში ქართველს იმერელაშვილის ნონაზედ, რომელიც უარჰყოფდა ხალხში ფულის მოპარვას, მაგრამ ყველა ქართველობამ ცხადად იცოდა, რომ ნონის არა ჰქონდა ეგოდენა შეძლება დასახსნელად თავისის ცოლშვილისა. გამიგონია, რომ ოთხნი ანუ ხუთნი სულნი ყოფილან ტყვეთ და სულყველანი დაიხსნა, და სასამართლოდგან არაფერი გაურიგდა მამაჩემს უცოდინარობის გამო რუსის კანონისა. ხოლო ნონის რომ გაუჭირდა, რადგანც ყოველი ფრანგობა და ქართველობა აყვედრიდნენ იმას, და უუბნებოდნენ, რომ ამ საქმეს ღმერთი არ მოითმენსო, ურჩივეს ნასვლა სტამბოლი

არის დაუფინყებლად ახლანდელს დეკანოზთან გიორგი გამრეკელივით.

ცამეტი წლისა რომ შევიქმენ, მამაჩემმან გამგზავნა ქუთაისს ოჰანაჯან კოკოროვის დუქანში მაგირდათ. ეს კოკოროვი არის ჩვენი მორეული მონათესავე. და ვიყავი ორ წლამდისინ, სადაც ვისწავლე ქართული შვენიერი წერა და კოკოროვს საექიმო წიგნიც გარდაუწერე. მერე მამა ჩემმან წამომიყვანა ზამთარში. რა რომ ოცხის მთას შეუვლევით (რამეთუ ქართველებიც იყვნენ ჩვენიან შვიდი რვა სული). ბუქმან გზა დაჰფარა, თოვლი იყო საშინელი, ნისლისაგან გზა კარგვით დავიდოდით. გაგვიჭირდა, ყველანი ღმერთს ვეხვეწებოდით. მამა ჩემს ტომარაში ჰქონდა შვიდი მისხლის ოდენა ყველი და თხილის გულის ოდენად. ყველას გაგვიყო და დავგირიგა. ნათქვამია, რომ „ერთი თხილის გული შვიდ ძმებმან გაიყვესო“, მოვედით ოცხეს, და შუა ღამისას, შეცივებულნი, აბასტუმანს დავდევით, და მშვიდობით მოვედით ახალციხეს. მამა ჩემმან და სიმონ მეფისოვანს შემიყვანეს სასწავლებლად ციხის რუსის შკოლაში, რომელიც გაიმართა 1831 წელში, ციხის ჯამის მარჯვენა მხრის ნათალი ქვით აღშენებულს ზემო ოთახში.

რამეთუ 1830 წელსა არზრუმიდან (კარნუ ქალაქიდან) გარდმოსახლდნენ მრავალნი სომეხნი ათასამდე მოსახლენი და დამკვიდრდნენ ძველს ახალციხეში და კარავებში ორ სამ წლამდისინ, და მერმე ვინარობისა გამო, ახალციხის წყალ გაღმა გააშენეს ქალაქი, რომელსაც დაარქვეს სახელად „პლანი“.

შკოლის ქვემო და გვერდით ოთახები მაშინ იყო საბაჟო (ტამოჟნა) საქონლის დასაბაჟავად. აზრუმელები თავიანთს ახალგაშენებულს ნაზიანს სახლებშიდ დგომითა და ჰავის დაცემითა ჰავა ჩალღუნინი შეიქმნენ, და მრავალნი კუდებოდნენ პლანში. ყოველდღე უკლებლივ იყო მათი მკუდარი ოცი და ორმოცი სული, ვიდრე ჰაერი გამოიციულებოდა, და შეეჩვეოდნენ ცხოვრებასა. მაშინ შკოლაში იყო ერთი კლასი და ასწავლიდნენ ორს ენასა, რუსულსა და სომხურსა. ორი სამის წლის მერმე მეორე კლასი და თათრული ენაც, და მეც გარდმიყვანეს მეორე კლასში და რადგანაც ქართულის ენისა მასწავლებელი არავინ იყო, არ მესმოდა რუსული ენა, მეტადრე როდესაც ვკითხულობდი ზეპირად რუსულს ღრამატკასა; დიდის წუთიებითა და ხვეწნით ძლივს მოვატანინე ქუთაისიდან გოდერძი ფირალოვის ლექსიკონი, და რა რომ ვნახე რუსულად და ქართულად თარგმნილი (რომ მაშინ იშვიათად და ძნელად იშოვებოდა), ესრეთი სურვილი აღმენთო სწავლისა, რომ უოსტატოთ თავიდან ბოლომდისინ თითქმის ზეპირად დავისწავლე, და მაშინ კი ცოტა ოდნად მიგზუდი რუსულს ღრამატკის კანონსა, ენასა, ლაპარაკსა და წერილსა; მეორე კლასს რომ ვასრულებდი, ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლაი პავლოვიჩი შემობრძანდა შკოლაში დასახედადე. მაშინ თათრულის მასწავლებლებს მოვლა ომარ ევენდის ჩაეცვა ახალი ალი მაუდის ჯუბა, რომ იმ დილას იმისი კლასის სწავლა იყო. ბრძანა ხელმწიფემან: ეს ვინ არისო და მოახსენეს თათრულის ოსტატიაო. მაშინ მეც ქშმის ფერი ახალი მაუდის ჩოხა მეცა ქართულად, და ხელმწიფემ შეგომიხედა, და მობრუნდა ჩემკენ ორჯერ, მაგრამ კი არაფერი სთქვა, საბაჟოსაც დახედა, ციხე და პლანი მოიარა, გაღმობა უფრო მოეწონა, ვირემც თუ გამოდმა ძველი ახალციხე.

დავასრულე შკოლაში სწავლა პირველს სექტემბერს 1837-სა წელსა, და უჩიტლმან სეველმან მომცა ატესტატი 1 сент.1837. г. за N7. და შემეყვანა ციხის ლენერალთან პაცოვსკისთან, რომ იყო პოლიაკი მშვიდი კაცი, ღმერთმან აცხონოს; და დამსვა თავის საწნერლო კანცელარიაში ციხეში, და ესწერდი კოპიობსა უჯამაგროდ ერთ წლამდისინ; მერმე დამინიშნეს თვეში ოთხი მანეთი ჯამაგირი და ახალციხის პოლიციაში განმანესეს. რა რომ მივიღე ოთხი თვის ჯამაგირი ერთიანად თექვსმეტი მანეთი, ნავილე სახლში და მივეც მამაჩემს. ოჰ, თუ როგორ გაეხარდნენ ჩემს დედმამას დიდი სიხარულით, რამეთუ პირველი მკვლეული იყო ჩემი ეს ფული. მაშინ ძალიან გაგზავნა ვიყავით და მამაჩემი თავისის თერძობით არჩენდა ოჯახსა. სოფლებში ძველს, ორფოლას, არალს და უდეს საამხანაჟოდ ყანები გვაქუს და უდეს კი პატარა ბაღა⁴.

⁵ ჰავა ჩალღუნინი - აჭარაში უძახიან ჰაერის მოქმედებით, ჰაერის გამოცვლის შედეგად მიღებულ ავადმყოფობას. ჩვენში იტყვიან ქარმა დაჰკრაო

¹ არზა- თხოვნა, განცხადება

² დუგმა- (დუგმე) შსაბმელი ღილი
³ დასი - უნდა იყოს „დერსი“ - გაკვეთილი

⁴ ჩამატებულია „სწორედ“

(გაგრძ. დასაწყ. იხ. 10, 11, 12 2022; 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 11, 12 2023)

ბალის შუაგულში, ვარდის ბუჩქებს შორის, დედოფლის საზაფხულო პავილიონი დგას, შენობის მთავარი ნაწილი სხვა არაფერია, თუ არა ერთმანეთზე დაწყობილი ორი კვადრატული ყუთი, რომლებიც საცხოვრებლად გამოიყენება. ზედა ოთახის ყველა მხარეს გრძელი ფანჯარა გადის, იმგვარად, რომ იქიდან მთელი დასახლებისა და გარშემო ლანდშაფტის დანახვა შესაძლებელია. ქვედა ოთახში სანოლი და საკიდების რიგია, რომელზეც, მსუბუქი ჩამოსაფარებლის მიღმა დედოფლის ტანსაცმელი ჰკიდია. ეს ოთახი ავეჯის გარეშე და იგი ყოველთვის მისაღებ ოთახად გამოიყენება.


ფართო კიბეებიანი ხის აივანი, რომელიც ხის სვეტებს ეყრდნობა, შენობის შიდა ძირითად ნაწილს აკრავს გარს. მთელი თავიანთი ოსტატობა მათ ამ აივანს მორთულობაში ჩაუდიათ, მდიდრულად შეუმკობიათ ნატიფად მოჩუქურთმებული ორნამენტებით და სახურავის კუთხეებში განლაგებული ფიგურებით. ყველა კუთხეში ფრთებგამოღობილი მტრედი ზის, სახურავის წვერზე შემოძვად მტრედს კი ფრთები მოუკეცავს და ფეხები გაუშლია. პავილიონის წინ, სახლის მხარეს, გრძელი, ჩვეულებრივი ფანარი დგას, გულმოდგინე და დახვეწილი ნამუშევარი, თავზე წმ. გიორგისა და გველეშაპის გამოსახულებით, რომელიც ხეში სიცოცხლითა და ენერგიით იყო ნაკვეთი.

ეს ფიგურები ჩემს გვერდით მდგომი კაცის ნახელავი ყოფილა. ვკითხე, რაიმე რე-

დეს, რომ ლუკერია არავითარ ზებუნებრივ უნარებს არ იჩენებდა, ასევე უარყვეს მორთული ჭორი, რომელსაც მათ მიანერდნენ, თითქოს ისინი ლვითურ პატივს მიაგებდნენ მას. იგი უყვარდათ და მასში ღრმა პატივს სცემდნენ კარგ და კეთილშობილ ქალს, რომელმაც აღამალა მათი ცხოვრება, მწუხარება შეუმსუბუქა და მათ მისწრაფებებს გზა უჩვენა ჭეშმარიტი ცხოვრებისაკენ.

ადამიანში არის დავანებული. ისინი აღიარებენ საღმრთო წერილს, მაგრამ ღვთის წიგნი ცხოველი წიგნი უნდა იყოს, წიგნი, რომელსაც სასრული არ გააჩნია.

ამგვარად, მათი რელიგიური წარმოდგენები ფსალმუნებზე ილერება მათი ბავიდან. ახალ ფსალმუნებს მღვთიან, თუმცა არ ქრება ძველი ფსალმუნები - ღვთის სიტყვა, რომელიც ძველია, მაგრამ მუდამ ახალი.



საზაფხულო პავილიონი გორელთაგან

პანრი ლინის მოგზაურობა

ლიგიური მნიშვნელობა თუ ჰქონდათ – მათი აღმსარებლობისთვის დამახასიათებელი. კითხვაც არ ღირდა, რადგან ამკარა იყო რა მიზანიც ჰქონდა, იმდენად უნივერსალური სიმბოლური მნიშვნელობისა იყო. გულთბილად მომიგო, რომ ისინი მხოლოდ ორნამენტებს წარმოადგენდა და მეტად ეამა, მისი უნარები რომ დაეფასა.

სოფლის იმ ნაწილისაგან მოშორებით, სადაც დედოფალი ცხოვრობდა, ერთ ოთახში გვიჩვენეს ავეჯი და ნივთები, მისი პირადი სამკაულები და სამოსის ყველა დეტალი. ყველაფერი, რაც მას ეკუთვნოდა, გულდასმით შეენახათ და სათუთად მოეველოთ, თითქოს წმინდანის ნაწილები ყოფილიყოს. მისი ქონება ერთი საშუალო კლასის, უბრალო გლეხი ქალის ქონება იყო - ორიოდე ხავერდის სავარძელი, თაბაშირის რამდენიმე ქანდაკება და ქრომოლითოგრაფია. აქვე თავი მოეყარათ შეღებილი, სააღდგომო კვერცხების ტაბლეტისათვის - ვფიქრობ, ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულებზე შენიშვნისათვის, იმ დროისა, როცა ეს მისი სამწყსო იყო.

ჩვენი სტუმრობისას შეიძინე წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც მათ თავიანთი საყვარელი ლუკერია ვასილიენა დაკარგეს, ნიწამძლილი როგორც სულიერი, ასევე საერო საქმეებში. მას დედოფალივით სცემდნენ პატივს და მორჩილებდნენ.¹ მისი გავლენა ახალქალაქის ზეგანზე მაცხოვრებლებშიც უდრდესი იყო. და, როგორც ჩანს, მისი უზუნაესობა ტრანსკავკასიის ღუბორცების სექტის ყველა კოლონისტზე ვრცელდებოდა. მოგზაურ რადეს, რომელიც გორელთაგანში 1875 წელს იმყოფებოდა, პატივი ჰქონია შეხვედროდა მას მისსავე სახლში.

იგი მას აღწერს როგორც ძლიერი აღნაგობის, მაღალ, საცხე, მაგრამ ტანად, ოცდაათი წლის ქვრივს. მის სახის ნაკვეთებს ძველი სილამაზის კვალი ეტყობოდა. რადე ადასტურებს იმ კრძალვას, რითიც მას ეპყრობოდნენ.

ფიქრობ, არანაკლებ მცდარი იყო წარმოდგენა მის შესახებ, რომ თითქოს ლუკერია მათთვის სხვა არაფერი იყო, თუ არა უბრალო შემსრულებელი რელიგიური რიტუალებისა, რომელიც მათი რელიგიური და სოციალური საჭიროებების შედეგი იყო, როგორც იმხანად ამ მხარეში გავრცელებული იმ ქორების დაჯერება, რომ ხალხი მის ნებას იმიტომ ჰმორჩილებდა, თითქოს მასში ღვთაებას ხედავდნენ.

ლუკერიას მიაშიტი ბუნებისთვის, რომელიც ერთდროულად რელიგიურობისა და თავისებური სიამაყის შედეგია, შესაძლოა ძნელი იყო ღვთისმსახურების ემოციების სიყვარულის ემოციებისაგან გარჩევა. როდესაც ჩავეკითხე, მათ გადაჭრით განაცხა-

მისმა ღვანლმა ამ სანიშნო სოფლის იერ-სახესა და მისი მაცხოვრებლების ქცევას დაამჩნია კვალი. ყველა კარგად, სუფთად იყო აღკვეთილი და ეტყობოდა, რომ ჯანსაღად იკვებდნენ. ერთი დიდი სიამოვნება იყო იმის ნახვა, როგორ მშვიდად და სერიოზულად უდგებოდნენ თავიანთ საქმეს. გორელთაგანში არ მინახავს ღარიბები, აღმოსავლეთისათვის ჩვეული სიღატაკისა და სიბინძურის არავითარი ნიშანი. ობლებსა და უქონლებზე თემი ზრუნავდა და როგორც მივხვდი, ახლო-მახლო ყველა კოლონიის თავისი წვლილი შეჰქონდა საერთო ხაზინაში.

მაგრამ, ყველაზე მეტად, რამაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, იმ გულისამაჩუყებელ მზრუნველობასთან ერთად, რითიც მოსახლეობა პატივს მიაგებდა ამ სახლსა და მამულს, თითქოს იგი კვლავ აქ სახლობდეს, იმ ყვავილების სიყვარული იყო, რომელიც, როგორც ჩანს, დედოფალს გაეღვივებინათ თავის ხალხში და მასთან ზიარება ესწავლებინა. ერთდროულად და კულტურის დაცვამასთან ერთად ყვავილებიანი ბაღები უფრო და უფრო იშვიათობა ხდება აღმოსავლეთში. და უკეთეს შემთხვევაში ისინი მდიდრულ შემკულობაზე და ხორციელი ტკბობის გარეშე ცოტა უფრო მეტია. გორელთაგანში, ეჭვგარეშე, ეს ნემსინერები და ვარდები მხოლოდ მისადმი სიყვარულის გამო არის გაშენებული.

ღუბორცების რელიგია ჩვენი უკიდურესი პროტესტანტების რელიგიას ჰგავს. სწორედ მთავრობაა, რომელიც აქეზებს მათ, რომ ეს ენთუზიაზმი ჩაკლას. ის, რომ ისინი ქრისტიანები არიან, ფიქრობ, არანაირი ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მტკიცედ მიიხრებ, რომ ისინი აღიარებდნენ ქრისტეს ღვთიურ ბუნებას და თავყვანს სცემდნენ მას.² მაგრამ ღმერთი სულია და ისინი, ვინც მასზე ლოცულობენ, თავყვანს უნდა სცენ მას, როგორც სულსა და ჭეშმარიტებას. ღმერთის სული მისი მსახურების სულეში სახლობს, რომლებიც თავად არიან ძენი ღვთისანი. მაშ, როგორ შეიძლება ეკლესიამ, სურათმა ან ხატმა მოითხოვონ მათდამი თავყვანისცემა, როგორც წმინდა რამე? მათში არც სული სახლობს და არც ღვთიურობის გავლენაა. თავად ადამიანის სულია ღვთის ტაძარი. ფიქრობენ რა ასე, ღუბორცები ლოცვით შემდეგ ერთმანეთს ქედს უხრიან და მიესალმებიან იმ ღვთიურობას, რომელიც

ისინი უარყოფენ მღვდლებს და ოფიციალური რელიგიის ყოველგვარ ორგანოს, თავად ატარებენ ნებისმიერ მარტივ ცერემონიას, რაც საჭიროა დაბადების, ქორწინების ან გარდაცვალებისას.

ღუბორცების მორალური ფასეულობები სწორედ ისეთია, როგორც მოსალოდნელი შეიძლება იყოს ხალხისაგან, რომელსაც ადამიანის ბუნებაზე ამაღლებულ წარმოდგენა აქვს. კაცმა, რომელშიც ღვთიურობა დავანებული არ უნდა ავნოს მოყვასს თვისას, არ უნდა მოკლას იგი. რადგანაც მათ არ სურთ, რომ ვინმე მიაყენონ ვისმეს, ამიტომ ვერ ხედავენ სასამართლო ტრიბუნალების აუცილებლობას. ისინი უარყოფენ ერთი ადამიანის მეორეს მიმართ ძალაუფლების გამოყენებას; თითოეულმა ადამიანმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს და ეს გარედან იძულებით არ უნდა მოხდეს.

ის, რომ ასეთი მშვიდობიან გარემოშიც კი შესაძლოა საშინელი შუღლი ჩამოვარდნილიყო, რომ სიყვარულსა და შემწყნარებლობაში აღზრდილი ხალხი შესაძლოა საპირისპირო ბუნების ბოროტ ვნებებს შეეპყრო და მოყვასზე ხელი აღემართა, სამუხარო მაგალითია იმისა, რომ მხოლოდ წმინდა განკურნების კაცის ბუნებასა და მათსაც ამაღლოს კაცის ბუნებასა და მათსაც.

როგორც ჩანს, სათნოებისკენ მოკლე გზა არ არსებობს; რელიგიური ზეშთავონების ალტყინებით მიღწეული ნორმები მხოლოდ ეფემერული ბუნებისაა. ლუკერიას გადრაცვალებასთან ერთად გაქრა სიმბოლო და თვალსაჩინო მაგალითი, რომლისკენაც უბრალო ბუნება ისწრაფვის და, გრძობების მოზღვავებამ, რომლის ობიექტიც თავად იყო, თავისი შურისგება მოიჭიანათ.

მოუხედავად იმისა, რომ მისი სიცოცხლე ნადრევადად, ორმოცდასამი წლის ასაკში შეწყდა, დედოფალი გარდაცვალებისას უკვე ქვრივი იყო. ქორწინებიდან შვილი არ დარჩენია და, სისხლისმიერი მეგვიდრეც რომ ჰყოლოდა, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა იმ ადგილის შეცვლა, რომელიც მას ეკავა თავისი ხალხის წარმოსახვაში.

ერთი წელიც კი არ იყო გასული მისი გარდაცვალებიდან, როდესაც ვიღაც გამოჩნდა, რომელიც მის მეგვიდრეობას იჩემებდა - ბიჭი, რომელიც ვგონებ ირწმუნებოდა, რომ მასთან ნათესაური კავშირი ჰქონდა და თავს ღირსად თვლიდა, მისი ადგილი დაეკავებინა, რაც აქამდე არავინ ხედავდა.

გორელთაგანის მაცხოვრებლები, რომელთა ნაამბობსაც გადმოვცემთ, დაჟინებით ირწმუნებოდნენ, რომ ეს ახალგაზრდა ერთი თვითმარქვია ვინმე იყო. „ცრუობდა“ - ასე საუბრობდნენ მასზე. მათ არასოდეს უღიარებიათ მისი უფლებამოსილება, მან კი თავისი საკუთარი საძმო შეაგულიანა მათ წინააღმდეგ.

დავასკენი, რომ ისინი, რელიგიური და მგზნებარე თავგამოდებით შეპყრობილი,

აქტიურ ძალადობას არ შეწყვეტდნენ. ჩანდა, გორელთაგან მტკიცე იყო უზურატორის წინააღმდეგ; თუმცა, შეხედულებები გაიყო მეზობელ სოფლებში და ტრანსკავკასიაში დასახლებულ ღუბორცების სექტის მთელ თემში.

რუსეთის მთავრობამ, ბუნებრივია, მდგომარეობა გონივრული წინდახედულობის პერსპექტივიდან შეისწავლა. იგი დიდად მოწადინებული არ ყოფილა, რომ ვინმე ლუკერიას მეგვიდრედ ეხილა და აქ ძველი რელიგიური ცეცხლი დათეთულიყო. მთელი მისი ძალაუფლება ამ თვითმარქვიას წინააღმდეგ იქნა გამოყენებული: იგი დაუყოვნებლივ შეაჩერეს და ქვეყნიდან ჩრდილოეთში, შორეულ გადასახლებაში გადაიყვანა.

ჩვენი სტუმრობის დროს შუღლი ჩამცხრალი იყო, თუმცა, გრაფი ტოლსტოი გამცხრობს, თუ როგორ გაჩაღდა იგი ხელახლა. როგორც ჩანს პრეტენდენტს - მისი სახელი იყო პეტრე ვერიგუინი - ღუბორცების დიდი უმრავლესობა უჭერდა მხარს, რომლებიც განრისხებულნი იყვნენ ხელისუფლების ქმედებებით, რომელმაც ლუკერიას ძმას, ჩვენს მეგობარ ლუბანოვს, მეგვიდრეობით გადასცა სათემო სასარგებო.

გადასახლებიდან ვერიგუინს თავის უკმაყოფილო ძმებთან ჰქონდა მიმონერა; მთავრობამ ეს რომ შეიტყო, 1894-95 წლების ზამთარში იგი აწვევად ციმბირში გადასახლა. მოუსაველეთი მიმადილი, ხალხში ყოფნისას ახლობლები და რამდენიმე სულიერი მოძმე ესტუმრა. მან დაავალა მათ, რომ მისი ძმებისათვის შემდეგი მოწოდება გადაეცათ:

თავი უნდა შეეკავებინათ მთავრობის ძალადობრივ ქმედებებში მონაწილეობისაგან, უარი ეთქვათ ჯარში მსახურებაზე და მთელი თავიანთი იარაღი გაენადგურებინათ. ეს მოწოდება მთელმა ჯგუფმა ერთხელად მიიღო. მოემზადნენ, რათა დაუყოვნებლივ მის განხორციელებას შესდგომოდნენ.

ელიზავეტპოლის გუბერნიამ, აღდგომის დღესასწაულის დღეს, თერთმეტმა ღუბორცებმა, რომლებიც სარეზერვო ბატალიონთან ერთად სამხედრო სამსახურს ასრულებდნენ, უარი თქვეს ალუშში მონაწილეობაზე და ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ აღარ აპირებდნენ მსახურებას. მათ სათავეში იდგა პიროვნება, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ როგორც სექტანტს კანონი ზღუდავდა, უნტეროფიცერის ნოდება მიენიჭა გამორჩეული თვისებებისა და მისი დამსახურებების განსაკუთრებულობის გამო.

მათ მაგალითს სხვა პროვინციებშიც მიჰყვნენ: ახალქალაქსა და ყარსში. ხელისუფლებას ძალისხმევა არ დაუშურებია, რომ ამ უგუნურებისაგან ეხსნა ისინი. როცა დარწმუნებით ვერაფერი გააწყო, დაშინება სცადა. ახალქალაქში ხუთი ურჩი ღუბორცები (ხისი ეზოში გამოიყვანეს და ჩამწყვდნენ). კაზაკთა მსროლოდ ბრიგადის მოუხმეს და იარაღის დატენვა უბრძანეს. პატიმრებმა ლოცვის უფლება ითხოვეს, რისი ნებაც მიეცათ.

გაიცა მზადყოფნის ბრძანება და რამდენიმე წუთი გავიდა. ყოფილი ჯარისკაცები მშვიდად მოულოდნენ ცეცხლის გახსნის ბრძანებას. თუმცა ბრძანება არ გაცემულა. თოვის ლუქით დაუშვეს და პატიმრები თავიანთ საკენებში დააბრუნეს. სხვაგან კაზაკები ტყვეებს დაესხნენ თავს და ისე მოიქცნენ, თითქოს მათი დახოცვა უნდოდათ. როდესაც სექტანტი მტკიცედ იდგნენ თავიანთ გადაწყვეტილებაზე, მაშინ ისინი გაამათარხეს. კითხვაზე, თუ როგორ ამართლებდნენ ისინი თავიანთ საქციელს, მათ უპასუხეს, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ და ქრისტეს მცნებებს იცავდნენ.

თუმცა, მათი უარი სამხედრო სამსახურზე მთავრობასთან კონფლიქტის ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა, რომელშიც ისინი ადამიანთა მიმართ ძალადობისადმი მიუღებლობის გამო აღმოჩნდნენ ჩართულნი. ისე მოხდა, რომ ერთი პატიმარი გადაყვანის დროს მათ ერთ-ერთ სოფელში მიიყვანეს. სოფლის უხუცესს მისი ბადრაგირება და ერთი საიმედო კაცისათვის ჩაბარება ევალებოდა. ამჯერად ეს მოვალეობა იმ სერჟანტის ძმას დაეკისრა, რომელმაც აღდგომის პირველ დღეს სამსახურზე უარი განაცხადა. მამაკაცმა უფროსს აცნობა, რომ პატიმარს ვერ გაჰყვებოდა, რადგან საჭიროების შემთხვევაში ძალას ვერ გამოიყენებდა.

სთხოვა, რომ მისი უარის შესახებ ხელისუფ-

¹ როგორც მიიხრებ, მისი სრული სახელი იყო ლუკერია ვასილიენა კალმაკოვა

² პირი, რომელიც გრაფ ტოლსტოის ღუბორცების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა, ამბობს: „ქრისტეს, როგორც ისტორიულ პიროვნებას, ღუბორცები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ“ (The Times, მითითებულ ადგილას). მისი მონათხრობით ვგებულობთ, როდესაც კვაკერები 1818 წელს ეწვივნენ მათ და გაიგეს მათი აზრი იესო ქრისტეს შესახებ (რომ ის კაცი იყო), როგორ აღმოხდა ამ ღვთისმოსავ ხალხს ერთი სიტყვა: "სინდელი". მე არ შემიძლია ამ ცნობის შევჯერება იმასთან, რაც გორელთაგანში გავიგე. ერთი ის ვიცი, რომ ქრისტიანულ სამყაროს მრავალი მოსაზრება აქვს ამ თემაზე.

ლებსათვის ეცნობებინა; მაგრამ უზუცესმა უმასხუბა, რომ არ უნდოდა მოლაპარაკებდა მოსულიყო. უთხრა, რომ პატიმარს დროებითი ზედამხედველის სახლში მიიყვანდა, მას კი როგორც საჭიროდ ჩათვლიდა, ისე შეეძლო მოქცეულიყო. კაცი სახლში დაბრუნდა.

უზუცესმა პატიმარი მიიყვანა და წავიდა. ზედამხედველი ისე მოეპყრო მას, თითქმის მწირი ყოფილიყო: გაათბო, დააპურა, ასვა და მოასვენა.

მომდევნო დღეს დაინახა, რომ პატიმარი უქონელი იყო. ფული მისცა და თან უთხრა, რომ გზას უჩვენებდა. როდესაც სოფლის განაპირას მიადგინეს, პატიმარს ორი გზა უჩვენა და არჩევანის საშუალება მისცა, თან ურჩია: ერთი გზა მას ტუსაღად აქცევდა, მეორე კი თავისუფლების გზაზე გაიყვანდა. პატიმარმა პირველი გზა ამჯობინა და იქით გაემართა. თუმცა ეს არჩევანი მისთვის ცუდით არ დამთავრებულა.

1895 წლისათვის ელიზბეტპოლის ციხეში დუხობორცის სექციის არანაკლებ 120 წევრი იყო. ყველა იმ სამართალდარღვევის გამო ისჯებოდა, რომელიც უკვე ვახსენე. მაგრამ ამ ხალხის დანაშაულებები ამით არ დამთავრებულა. ქვეყანაში, სადაც იარაღის ქონა სამოქალაქო მოვალეობის ქრილში განიხილება, მათ მტკიცედ გადანყვიტეს დაენვათ ყველა ის იარაღი, რაც კი გააჩნდათ, რომლის მიზანი კაცის კვლა იყო. ამ გადანყვიტვების ერთდროული აღსრულებისთვის არჩეული იყო 28 ივნისის ღამე, პეტრე პავლოვის დღესასწაულის წინა დღე.

ყარსა და ელიზბეტპოლში შემთხვევამ

სალამოს ისინი იმ ადგილას დაბრუნდნენ და ლითონის ნაწილები შეაგროვეს, რომლებიც ცეცხლს გადაურჩა. მათ ეს ერთ მასად გადაადნეს თავმოყრილი ხალხის თანხლებით, რომელთა შორის ბევრი ქალი და მცირეწლოვანი ბავშვი იყო.

გორელოვკაში, რომელიც ხელისუფლების მხარეს იყო, მონინალმდევე მხარეს არსებული მოსუფენრობის ნიშნები და, ის ფაქტი, რომ ისინი იარაღს აგროვებდნენ, შეუმჩნეველი არ დარჩენილა. თავდასხმის მოლოდინში, სოფლის მაცხოვრებლებმა თავიანთი ერთმორწმუნეები დაასმინეს და კახაკთა გარნიზონი და რეგულარული ჯარები თავისთან მიიწვიეს. 30 ივნისს ყველა დასახლებულ პუნქტში მოვიდა ბრძანება, რომ მხარის უფროსი გორელოვკიდან ბოგდანოვკაში უნდა ჩასულიყო და მოითხოვდა, რომ ყველა ახალმოსახლე ამ ადგილას შეკრებილიყო.

ისინი, ვინც სახლში იყვნენ, მონოდებას დამორჩილდნენ. იქ არმყოფი ნათესავები კი, რომელთაც ასევე მიიღეს ეს ცნობა, იქ დარჩნენ, სადაც იყვნენ და ლოცვას აღავლენდნენ. მაცნე მოვიდა და ისევე გაიმეორა ბრძანება. მოხუცებმა უმასხუბეს, რომ ისინი ლოცულობდნენ, ლოცვას გააგრძელებდნენ და თუკი მმართველს მათი ნახვა სურდა, თავად უნდა მოსულიყო მათთან, რადგანაც ისინი ბევრი იყვნენ, ის კი ერთი. მეორე მაცნეც უკეთესი პასუხით არ გამოუსტუმრებიათ.

შემდეგ ყარაულები მოცივდნენ და ამბავი მოიტანეს, რომ კახაკები უკვე ახლოს იყვნენ. შეკრება დაზურული არც კი იყო,

ლაჩინოსის ეტლს შეეჩვენნენ და ოფიცერმა შეჰყვირა: „ქუდები მოიხადეთ!“ მოხუცმა კაცებმა მიუგეს, რომ მათ უწყინდნენ თავიანთი მოვალეობა მხარის უფროსის ჩავლისას და სალამი მისცეს მას. ისევე გაისმა მონოდება - „მათარხები, ურა!“ და მეორეჯერ უმონყალო ცემა დაუწყეს მათ, სანამ ბალახი სისხლით არ შენითლდა. მხარის უფროსმა გამართახება შეაჩერებინა და ბოგდანოვკისაკენ გაემართა, სადაც იქ დარჩენილი ძმები შეკრება.

როცა მან მათი გაკიცხვა წამოიწყო, ერთმა კაცმა წინ წამოიწია, რომელსაც ხელში სამხედრო ცნობა ეჭირა. ეს დოკუმენტი მან მხარის უფროსს გადასცა და განაცხადა, რომ მომავალში უარს აცხადებდა მსახურებაზე. მხარის უფროსი მდგომარეობიდან გამოვიდა და ჯოხით ცემა დაუწყა. შემდეგ ხალხმა განაცხადა, რომ აღარ დაემორჩილებოდა მთავრობას და მის არც ერთ მოთხოვნას არ შეასრულებდა. ამის საპასუხოდ მხარის უფროსმა მათი გამართახების ბრძანება გასცა და დახვედრითაც კი დაემუქრა. შემდეგი ღონისძიება ის იყო, რომ მათ სოფლებში კახაკები შეესახლებინათ, რომლებიც მათ ხარჯზე ცხოვრობდნენ და მათ ქალებზე ძალადობდნენ. 464 ოჯახი იმ მხრიდან გააძევეს და ქართულ სოფლებში გაგზავნეს, რომ იქ შიმშილით დახოცილიყვნენ. ისინი ქართველებს დაუდგნენ მოსამსახურებლად და თავიანთი მტკიცე ხასიათი შეინარჩუნეს.³

ამ ისტორიების ნაკითხვის შემდეგ ამ ამბავზე ფიქრისას, გონება მისდაუწებურად გადასწვდებდა ქრისტიანობის გარიჟრაჟს და ადრეული ეკლესიის ქრონიკებს. პლინიუსის ცნობილი წერილი ახლახანს დანერგილი გეგონება, ხოლო ლონდონის „თაიმის“

³ ამ ამბავის შედეგი ის იყო, რომ დუხობორცეში თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან დიდი რაოდენობით ემიგრაციაში წავიდნენ, კავკასიიდან შორს. ოდესღაც რუსეთში გლეხობის საუკეთესო ნაწილი, შემდეგ კი რუსი გუბერნატორების განსაკუთრებული სიამაყე იქ, სადაც დევნილობაში იმყოფებოდნენ, ამ ბოლო გადასახლებისას მათ თავიანთი მდგარი სული დაკარგეს. და სწორედ ბრიტანეთის იმპერია იყო ის, რომელმაც ისინი მიიღო! თავდაპირველად მათი არჩევანი შეჩერდა კუნძულ კვიპროსზე; თუმცა თბილ კლიმატს ვერ შეეწყვნენ: დაახლოებით რვა თვის განმავლობაში მათ 100 სულამდე ადამიანი დაკარგეს. ემიგრანტების ძირითადი ნაწილი, როგორც ჩანს, 1899 წლის ზაფხულში, გემმა კვიპროსიდან კანადასა და ბრიტანულ ჩრდილო ამერიკაში წაიყვანა.

მიძიე ენა წამყვან სტატიაში, რომელსაც ის აქვეყნებს, ბუნებრივად ერწყმის წინაქრისტიანული ეპოქის სულს: „მათი სარწმუნოების მთავარი პრინციპები პირდაპირი გზაა სოციალური ანარქიისკენ, რომლებიც „ღვთის შვილების“ უინითაა განმტკიცებული. ისინი უდავოდ ჭკუმიანიტი ფანატიკოსები არიან და ასეთებს სიბრალოლითა და პატივისცემით უნდა შეხედოთ.

საინტერესოა, ამ თანამედროვე გაზეთში დაბეჭდილი აზრის გვერდით მოვიყვანოთ რომაული სამყაროს უდიდესი ისტორიკოსის სიტყვები: „ქრისტიანებს არანაკლებ სულდათ ამქვეყნიური საქმენი, ვიდრე ამქვეყნიური სიამოვნებანი. მათ არ უწყინდნენ, როგორ შეეთავსებინათ ჩვენი პიროვნებისა და ქონების დაცვა მოთმინების სწავლებასთან, რომელიც წარსული ვნებების უსაზღვრო შენდობას აკისრებდა მათ და, ავალდებულებდა, ამ განსაცდელს დღენიდაც გამკლავებოდნენ.

იმდენად უბრალო იყო მათი სული, რომ მათ შეურაცხყოფად მიანდათ ღვთის სახელის ხშირი დამონება, სახელმწიფო ჩინოვნიკთა პომპეზურობა და საერო ცხოვრებაში განაღებულ ბრძოლა; და ვერც მათი ადამიანური უფიცობა დაარწმუნეს იმაში, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გამართლებული იყო ჩვენი მოყვასის სისხლის დაღვრა, გინდა კანონის მახვილით, გინდა ომით, მაშინაც კი, თუ მათი კრიმინალური ან მტრული მცდელობები შესაძლოა მთელი თემის მშვიდობასა და უსაფრთხოებას დამუქრებოდა.

როცა ისინი პასიური მორჩილების პრინციპებს ნერგავდნენ, მათ უარი განაცხადეს, რომ რაიმე სახის აქტიური მონაწილეობა მიეღოთ იმპერიის სამოქალაქო მმართველობასა თუ სამხედრო თავდაცვაში. ამ აპათიურმა, ან თუნდაც დანაშაულებრივმა უგულვებელყოფამ საზოგადოებრივი კეთილდღეობისა მათ მიმართ ზიზი და საყვედური აღძრა ათვისებებში, რომლებიც ხშირად კითხვობდნენ: რა ბედი ეწეოდა იმპერიას, რომელსაც ყოველი მხრიდან ბარბაროსები შეუტევდნენ, თუკი მთელი კაცობრიობა ახალი სექტის მხლალ გრძობებს მიმართავდა? ნუთუ ჩვენი დროის ქრისტიანები წარმართებად იქცნენ, ან იქნებ წარმართებად შეიცვალეს თავიანთი სახელი?

(გაგრძელება იქნება)
ინგლისურიდან თარგმნა რუსულად ბერიძემ

საქართველო

სერიოზული უსიამოვნების გარეშე ჩაიარა; მაგრამ საქმე სხვაგვარად იყო ახალქალაქის გუბერნიამში. სოფელ ოლოვკადან დაახლოებით სამი ვერსის დაშორებით კლდეს თხრიან, რომელსაც ხალხი „მალარას“ ეძახის. ჩვეულებისამებრ ისინი ამ ადგილას სალოცავად იკრებიებოდნენ. ახლა კი იარაღის დანვის ადგილად აირჩიეს.

დათქმულ ღამეს იქ 2000-მდე ადამიანი შეიკრიბა. იარაღი დახვავეს, სანჯავი და ნავთი მოასხეს და ამ ყველაფერს საჭირო დროს წაუკიდეს. დილით, როცა ცეცხლი მიწავლდა, კრებამ ლოცვა აღავლინა და ყველა სახლში დაბრუნდა. იმ დღემ მშვიდად ჩაიარა.

რომ ცხენოსნები დაადგნენ თავზე. ერთი ოფიცერი მათკენ გამოემართა „ურას“ ძახილით. ცხენოსნები ბროსს შესდგნენ და უმონყალოდ დაუწყეს ცემა მათარხებით, რომელსაც კახაკები იყენებენ. დაინახეს, როგორ იქნევდა ერთი კაცი მათარხს ჰაერში, რადგანაც დარტყმის ერცხვინებოდა. მას ოფიცერი მიეჭრა. ყვირილი დაუწყა, რომ ამით მეფეს ღალატობდა და სახეზე მათარხი გადაუჭირა. დაფეული და დასისხლიანებული ხალხი მხარის უფროსს მიუყვანეს. ქალები თან მიჰყვნენ, თუმცა კახაკები მათ გარეკვას ცდილობდნენ.

ბოგდანოვკას რომ მიუახლოვდნენ, მა-

აფხაზთა მუჭაქინობა

დასაწყისი გვ. 1,6

ანად დაცალა კოდორის ხეობის შუა და ზემო წელი - ნებელდა და დალი, 1877 წლის მუჭაჯირობის შედეგად თითქმის დაცარიელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი. აღსანიშნავია, რომ ქართველი მისიონერების დაულაღებმა საქმიანობამ 60-70-იან წლებში, განსაკუთრებით ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) თავდადებად და ღვაწლმა, რომლის მეოხებითაც თითქმის 19 ათასი აფხაზი მოინათლა, აფხაზი ხალხი მასობრივი გადასახლებისაგან იხსნა და ამ გზით, უბიძგების მსგავსად ფიზიკური განადგურებისაგან დაიფარა.

მუჭაჯირობის შემდეგ, გაუკაცურებული აფხაზეთი დამთრგუნველი სანახავი იყო. გაზეთ „გოლოსის“ კორესპონდენტი გიორგი წერეთელი მაშინ გულისტკივილით წერდა: „ბუნებრივად დანგრეული ირგვლივ ყველაფერი დამწვრებულია. უკაცრიელ, ვეებრთელა სივრცეზე, რომელიც ჯერ კიდევ არც თუ დიდი ხნის წინ დასახლებული და სიცოცხლით სავსე იყო, ახლა მხოლოდ ნანგრევები გვხვდება და სიცოცხლის ნიშან-წყალი არ იგრძნობა“. მას მხარს ილია ჭავჭავაძის „ივერია“ უბამდა: „სოხუმიდან ორსამ ვერსზედ კარგად დამუშავებული მამულები გვხვდება, მაგრამ პატარას რომ გასცდებით, სიჩუმე, უკაცურობა და უდაბურობა... გაივლით კიდევ თხუთმეტს, ოცს ვერსს თვალუდენელ ტყეში და ვერსად შეხვდებით ნიშანს ადამიანის მოსახლეობისას. ნატრობთ, ნეტა ან ღობე მაინც დავინახო, ან ძაღლის ყეფა გავიგონო, რომ ქვეყანა ისე ცარიელი არ მეჩვენოს, როგორც ადამიანის გაჩენის წინათ იყოო. რა გასაკვირია, რომ აფხაზეთის უმთავრეს ქალაქს ახლო-მახლო ასეთი სიჩუმე იყოს, როდესაც აფხაზეთში აფხაზები აღარ არიან“. ქართველი ენათმეცნიერი, ნიკო მარი აღნიშნავდა:

„აფხაზეთის ცენტრალური ეთნოგრაფიული ნაწილიც კი გაუკაცურდა... დარჩა მხოლოდ გავლურებელი ეზოები ხეხილით, არ იყო არც ერთი აფხაზი და არც აფხაზური სიტყვა ისმოდა“.

1877 წლის ანტიცარისტული აჯანყების გამო იმპერატორის 1880 წლის 31 მაისის ბრძანებულებით გუდაუთის, გუმისთის და კოდორის უბნების აფხაზურ მოსახლეობას ჩამოერთვა მიწაზე საკუთრების უფლება და მათი მიწები სახაზინო უწყებს გადაეცა; აფხაზებს აეკრძალათ სოხუმიდან 20 ვერსზე და სანაპირო ზოლში მდ. კოდორსა და მდ. ფსირცხას შორის დასახლება და დაამაშავე მოსახლეობის“ სტატუსი მიენიჭათ.

მოგვიანებით, მუჭაჯირობი სამშობლოში დაბრუნებას შეეცადნენ. ზოგი ზღვით, ზოგი ხმელეთით ცდილობდა გამოეღწია თურქთა და რუსთა საგუბერნიისთვის და მშობლიურ კერას დაბრუნებოდა. რუსეთის მთავრობა მათ არ იღებდა და უკან აბრუნებდა. რუსეთსა და ოსმალეთს შორის არსებული შეთანხმებითაც მუჭაჯირობის სამშობლოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ, რამაც დაბრუნების მსურველთა ნაკადი შეამცირა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუჭაჯირობი ყოველნაირად ცდილობდნენ სამშობლოში დაბრუნებას.

სამშობლოში ფარულად დაბრუნებულთა შორის იყო დიმიტრი გულიას (1875-1960), შემდგომში აფხაზური მწერლობის ფუძემდებლის მამა მთელი თავისი ოჯახით. ურის (იოსებ) გულია, რომელმაც უცხო მიწაში ორი შვილი დამარხა, 1878 წელს ლაზი კონტრბანდისთვის ფელუკით, თავის ოჯახთან ერთად ბათუმში ჩავიდა, იქიდან კი ფარულად აფხაზეთში ჩააღწია. ურის გულიას არ დართეს ნება ოჯახთან ერთად მშობლიურ სოფელ ვარჩემი დაემკვიდრებულიყო, თავის ნაფუძარზე, ამიტომ ის იძულებული გახდა დასახლებულიყო სოფ. აძიუბუში და აქედან გასცქერიდა თავის სახლს მდ. კოდორის მარჯვენა

ნაპირზე. სამშობლოში დაბრუნება მოახერხეს მღვდლებმა ბესარიონ მიქაბერიძემ, დავით ახვლედიანმა, იესე შელაიამ.

სან-სტეფანოს ზავის (1878 წლის 19 თებერვალი) დადების შემდეგ აფხაზი მუჭაჯირობი პირველ რიგში ბათუმისკენ გაემართნენ და იქიდან შეეცადნენ დაბრუნებას. ბევრი მათგანი ბათუმსა და მის შემოგარენში დამკვიდრდა და მათი შთამომავლები დღესაც იქ ცხოვრობენ. 1879 წლის 27 იანვარს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ხელი მოეწერა კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ დაუშვა აფხაზების ნაწილობრივი რეპატრაცია ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი წლით. ამის შედეგად, 1881 წლისათვის აფხაზეთში 15 ათასამდე მუჭაჯირობი დაბრუნდა.

ცარიზმა ვრცელი მიწა-წყალი მიიღო საკოლონიზაციოდ და მის წინაშე მწვავედ დადგა საკითხი, ვინ დაესახლებინა აფხაზეთში. იმხანად, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანთიმოზ ჯუღელი წერდა: „ახლა აფხაზეთში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია აქაური უდაბური ადგილების დასახლება. უკანასკნელი ომის (1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი, - ბ. ხ.) შემდეგ უმაღლესი განკარგულება იყო, რომ მდ. კოდორსა და მდ. ფსირცხას შუა მდებარე ადგილებზე აფხაზები არ დასახლებულიყვნენ. მათ გარდა ყველას ეძლეოდა ნება აქ დასახლებისა. ქვეყანას მიღვთის ხალხი მოაწყდა, მაგრამ აქაურობას ვერავინ შეეთვისა გარდა იმერელ-მეგრელებისა და ბერძენებისა. ამჟამად სოხუმის გარშემო მეგრელების შევიდნენ სოფელია და სამი თუ ოთხი ბერძენისა“.

ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა გაუკაცრიელებულ მიწებზე აფხაზებისა და ქართველების დასახლება. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციის ერთ-ერთი იდეოლოგი სერგეი შარა-

პოვი რუსეთის ხელისუფლების ზრახვებზე აფხაზეთში გულახდილად წერდა: „მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ბრძოლისას, მიისწრაფვის რა სამხრეთისაკენ, თბილი ცისა და თბილი ზღვისაკენ, რუსი ხალხი იღებს მსხვერპლს და, აი, ბოლოს მას აქვს ეს ცაც და ეს ზღვა. აქ ფრიალებს რუსული დროშა, დალივილებს რუსული არმიები... ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვენ, რომ ეს მხარე არა მარტო სახელით, არამედ მართლაც იქცეს მალე რუსულ მხარედ, რომ აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დამედებული იყოს რუსი კაცი. ვისურვით, ბატონებო, რომ ეს მოხდეს ჩქარა, რომ მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხაროს მთელი აქაური სხვადასხვატომობრივი და სხვადასხვაეროვანი ნარევი და რომ ეს ცა და ეს ზღვა ნამდვილად რუსული იყოს“.

ასე ცდილობდა ცარიზმი „რუსული აფხაზეთის“ შექმნას.

მუჭაჯირობა ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა აფხაზთა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში. „ეს არის არა უბრალო ეპიზოდი, - წერდა აფხაზი ისტორიკოსი და ეთნოლოგი შალვა ინალიოვა, - არამედ უმძიმესი ეროვნული ტრაგედია, რამაც აფხაზი ხალხი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა“.

ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა ამ ტრაგედიას. XIX საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: გრიგოლ ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, სერგი მესხმა, გიორგი წერეთელმა, ალექსანდრე ყაზბეგმა, ზაქარია ჭიჭინაძემ, პეტრე ჭარაია, ნიკო ჯანაშიამ, თედო სახოკიამ და სხვებმა გულწრფელი თანაგრძნობა გამოხატეს აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა მშობლიური მხარიდან გადასახლების გამო.

ჰახტანგ ინაური

პომპეუსზე და პომპეუსელებზე გამარჯვებული კეისრის რომში დაბრუნება დიდი ზეიმით აღინიშნა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მან რომაელებს სიმდიდრე და დიდი შემოსავალი მოუტანა: „იმდენი მინა-წყალი დაივიწყა, იქიდან სახელმწიფო ხაზინაში ყოველწლიურად ორასი ათასი ატიკური მედიონი პური და სამი მილიონი სანყაო ზეთუნის ზეთი შემოვა.“ (პლუტარქე, 523), უთხრა მან რომაელებს. ეს მნიშვნელოვანი შენაძინი იყო რომისთვის, რომელიც მენარმე და მეურნე ქალაქი კი არ იყო, არამედ საომარი მანქანა, საბრძოლოდ მომართული სახელმწიფო. ამდენად, იგი დაპყრობილი ქვეყნებიდან შემოსავლებით საზრდოობდა და არა მარტო საზრდოობდა, არამედ მდიდრდებოდა და უმაღლეს კომფორტს ქმნიდა იმ პერიოდის ფონზე.

ასეთი ეკონომიკური ვითარების პირობებში კეისრის აღნიშნული მონაპოვარი უდიდეს მნიშვნელობას იძენდა. ამდენი ტერიტორია, ამდენი ქვეყანა მანამდე არც ერთ რომაელ სარდალს არ



ბალბუსმა. „განა არ გახსოვს რომ შენ კეისარი ხარ? ნუთუ არ გინდა პატივცემულ იქნე იმ ხალხისგან, რომელთან შედარებით მთელი თავით მაღლა დგახარ?“ (პლუტარქე, 529). სახლში დაბრუნებულმა განაწყენებულმა კეისარმა „კისერთან ტოვა გადანიხა და ყელგამოშვებულმა მეგობრებს ყვირილით მიმართა: „აი, მზად ვარ იმის მსხვერპლი შევიქნე, ვისაც ჩემი მოკვლა სწადიაო“ (პლუტარქე, 529).

ეს ფაქტი მეტყველებს, რომ იულიუს სიკვდილის არ ეშინოდა და არც გაურბოდა. ალბათ იმასაც გრძნობდა, რომ მოკვლას დაუპირებდნენ. მან კარგად იცოდა რომის ისტორიაც და რომაული კანონებიც, რომელთა მიხედვით რომში მეფობა დაუშვებელი იყო.

რომაელთა ანტიმონარქიული განწყობილება ლუპერკსლების დღეობაზე გამოვლინდა, როდესაც ხალხის წინაშე „ანტონიუსმა დაფინს გვირგვინით მოკაზმული სამეფო დაიდგა კეისარს გაუწოდა. ამაზე კანტიკუნტი და ისიც წინასწარ მოზადებული ტამისციმა გაისმა. კეისარმა გვირგვინი აირიდა, ახლა კი მთელმა ხალხმა დასცხოტაში (პლუტარქე, 590). ხალხის მოქმედებით ნათ-

ყვისნობის რიქსცსურის ნოიში რა მისი მკვლელობა

დაუპყრია და, შესაბამისად, არც დოვლათი შეუმატებია რომისთვის.

„44 წელს, სიკვდილის წინ, რომის სენატის დადგენილებით მას უკვე მუდმივი დიქტატორის სტატუსი (dictatura perpetua) მიეკუთვნა.“ (ნერეთელი, 252).

„დიქტატურა პოლიკური რეჟიმი, რომლის დროს ხელისუფლებას მართავს დიქტატორი ადამიანი რომლის ძალაუფლება არ არის შეზღუდული კონსტიტუციით ან რაიმე კანონმდებლობით“. ასეთი რეჟიმის დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვის ინტერესებს გამოხატავს დიქტატორი, რომელიმე ფენის, კლასის თუ ერის. კეისარი დიქტატორი რომის ინტერესებს იცავდა. მის განვითარებასა და რომელი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. ის არც ერთ ფენასა და სოციალურ სფეროს არ ტოვებდა უყურადღებოდ. მისი დიქტატურა მკვეთრად განსხვავდებოდა სულას დიქტატურისგან. ცეზარი შემწყნარებელი იყო მონიშნულმდევრების მიმართ, ისინი სენატშიც იყვნენ და თანამდებობაზეც ინიშნებოდნენ. სულა კი ხოცავდა მაროუსელებს, სდევიდა მათ.

კეისარმა პომპეუსის დამხობილი ქანდაკებებიც დაადგმევინა. მიუხედავად ციცერონის გამოთქმისა, „კეისარმა პომპეუსის ქანდაკებათა აღდგენით საკუთარ ქანდაკებებს გაუმავრა ძირი“ (პლუტარქე, 526). ფაქტი ფაქტად რჩება: იულიუსმა თავისი, მოსისხლე მტრის ქანდაკებები აღადგინა და ამით პატივი მიაგო მას. მან დაინიშურა და თანამდებობებზე დანიშნა თავისი მომავალი მკვლელები ბრუტუსი და კასუსი. ჯარისკაცებს ახალმენები დაუარსა. მათ შორის ფრიად მნიშვნელოვანი იყო კართაგო და კორინთო, რომლებიც დახვრეულები იყვნენ. კართაგოსა და კორინთოს გარდა, 80 ათასამდე კაცი გადაუყვანია ესპანეთში, სამხრეთ გალიაში, მაკედონიაში, შავი ზღვის სამხრეთ ნაპირზე და სირიაში“. (ნერეთელი, 259).

მოანერგა საფინანსო-ეკონომიკური საკითხები და საშინაო გადასახადების პრობლემა. ყველა სფეროში იგი დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ყოველთვის ზრუნავდა ხალხზე. ემბარგოდა სოციალურად, აუმჯობესებდა მათ საცხოვრებელ პირობებს. მათ შეეძლოთ სახელმწიფოსგან „უფასოდ მიეღოთ პური და ზოგიერთი სხვა პროდუქტი, მაგალითად, ათი მოდიომა პური და ათი გირგანა ზეთუნის ზეთის გარდა ღარიბებს დაურჩევდა სამას-სამასი სესტენცი და დამატებით კიდევ ასი სესტენცი დაროგების დაგვიანებისათვის“ (ნერეთელი, 259). ასეთი პუმანიტარული სტაბილური დახმარება არც ერთ ულტრა სოციალურ ქვეყანასაც არ გაუკეთებია. ე.ი. კეისრის დიქტატურა თუ ტირანია შინაარსით აბსოლუტურად დემოკრატიული და სოციალური შინაარსის იყო.

კეისარი ზრუნავდა პროვინციების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. რომის მოქალაქეობის უფლებები მიანიჭა მალევისალპურ გალიას, ესპანეთის ცალკეულ ქალაქებს, თავისუფალი გალიის მოსახლეობის დიდ ნაწილს. ეს პოლიტიკა ხელს უწყობდა რომანიზაციას ევროპაში. მოანერგა აგრეთვე საგადასახადო სისტემა და გადასახადის აკრეფის პროცესი. ჯერ კიდევ კონსულობის დროს გამოძალავისთვის მკაცრი სასჯელი დაანუსა, ამ კანონს ძალა არ დაუკარგავს რომის იმპერიის არსებობის მანძილზე.

კეისარი ყოველთვის დიდ საქმეებზე ფიქრობდა და მათი განხორციელებისთვის უნარიც ჰქონდა და ძალაც. ასეთი მიზანსწრაფვა მას ახალ-

ახალი ნარმატებების ხალხის ჰმატებდა. მას განვლილი დრო, უკვე შესრულებული ჩანაფიქრები, მიღწეული მიზნები და მოხვეჭილი დიდება დიდ ღირებულებად არ მიაჩნდა. ამიტომ მეტი მნიშვნელობითა და ენთუზიაზმით გეგმავდა მომავალს, მისი საზრუნავი ობიექტი ყოველთვის ხალხი იყო და ახლა, როგორც ქვეყნის ხელისუფალს „გადანყვეტილი ჰქონდა პომენტუმისა და სეტიას ირგვლივ მდებარე ჭაობთა ამოშრობა, რათა ის მიდამოები ნაყოფიერ მიწადგებოდა ექცია და მრავალი ათასი კაცისთვის დასამუშავებლად გადაეცა“ (პლუტარქე 527).

ცნობილი ფაქტია, რომ ამომშრალი ჭაობების ადგილებზე მინა ნაყოფიერი, იოლი დასამუშავებელი და უხვმოსავლიანია, რადგან იქ შავიწიწი ნიადაგი და ტორფით მდიდარი სახნავ-სათესი დიდ შრომასა და განაყოფიერებას არ საჭიროებს. ამ პროექტით ხალხს დაასაქმებდა, სამოსახლო ნაკვეთებს მისცემდა და, ამავე დროს, მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი ინტერესს ამაღლებდა.

მას სურდა აგრეთვე ნაოსნობის განვითარება. მდინარე ტიბრზე გაშენებული რომის მიმდებარე ტერიტორიები დროდადრო ზღვით იფარებოდა და სირთულეებს ქმნიდა ქალაქისთვის. ამიტომ კეისარი მიზნად ისახავდა ამ სანაპიროებზე მინაყრილები ამოეყვანა და „ოსტას სანაპირო, მეჩერი და მოუდგომელი ადგილებიც ამოეწმინდა და იქ ეგზომ გახმორებული ნაოსნობისთვის ნავსადგურები და ხომალდთა მისადგომები აეგო“ (პლუტარქე, 527).

იულიუს კეისრის მსოფლიო მასშტაბური საქმე იყო ახალი კალენდრის შედგენა და დამკვიდრება, რომელსაც იულიუსის კალენდარი ეწოდა და რომელიც თითქმის პლანეტის ყველა ქვეყანაში გამოიყენებოდა და დღემდე ფუნქციონირებს. მის საფუძველზე შედგენილი გრიგორიანული კალენდარი ანუ ახალი სტილი.

„კალენდრის მოწესრიგება კეისარმა დაავალა საუკეთესო ფილოსოფოსებსა და მათემატიკოსებს. შემდეგ მიღებული დასკვნები შეისწავლა და გამოაქვეყნა კალენდრის შესწორების საკუთარი, შედარებით ზუსტი ხერხი (პლუტარქე, 528).

ამ ფაქტით ჩანს, რომ რომაელები ნელთალრიცხვამი ყველაზე ნაკლებ შეცდომებს უშვებდნენ. ოპოზიციის იულიუსს ამ საკითხში არ ეთანხმებოდა, მაგრამ დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ იულიუსის კალენდარს საკუთარი მნიშვნელობა ჰქონდა.

დიდი პიროვნება ყოველთვის დიდ საქმეებსა და დიდ პროექტებზე ფიქრობდა, კეისარი, როგორც მაღალი დონის მოაზროვნე და დიდი უნარის მქონე სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწე, რომის მომავლისთვის ფართო მასშტაბის გეგმებს ისახავდა. მას განზრახული ჰქონდა „პარტების წინააღმდეგ გაელაშქრებინა. პარტების დამორჩილების შემდეგ იგი ფიქრობდა გასულიყო პირკანიაში (დღევანდელი აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე), აპყლოდა კასპის ზღვის სანაპიროებსა და კავკასიას. შემოეგლო პონტოსის და სკვითიამი შეჭრილიყო: ხოლო აქედან გადაევილო გერმანიის მეზობლად მდებარე მხარეები, თვითონ გერმანიაც და კელტთა ქვეყნებზე გავლით იტალიაში დაბრუნებულიყო. ამგვარად, კეისარს სურდა ისე შეეკრა რომის იმპერიის წრე, რომ ყოველმხრივ ოკეანეთი ყოველიყო შემოსაზღვრული (პლუტარქე, 527).

პართია თანამედროვე სპარსეთია. მისი დაპყრობა და დამორჩილება რომის მიერ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო. ეს მომდევნო



საუქუნებში მოგაცილებდა დამპყრობელ ქვეყანას. ქართლის მეფემ ფარსმან ქველმა სძლია პართიას, მაგრამ მისი ათვისება ძნელი იყო, რომს კი ეს შეეძლო. ამასთანავე, ჩვენი ქვეყანა ერთიან ევროპულ არეალში მოექცეოდა და დაცული იქნებოდა აღმოსავლეთიდან შემოსევებისგან. სამუხაროდ ეს პროექტი არ განხორციელდა კეისრის მკვლელობის გამო. რომელიც თანდათანობით მზადდებოდა კონსპირაციულად. მის მიზნაღმდეგეებს განსაკუთრებით მისი მეფედ აღიარება აწუხებდათ. ეს მოტივაცია უფრო იყო, ვიდრე რეალური და ნამდვილი მიზეზი, რადგან ცეზარი უკვე იმპერატორი იყო. „იმპერატორის ეს ახალი ხელისუფლება სხვა არა იყო რა, თუ არა ექველესი ეპოქის აღდგენილი სამეფო ხელისუფლება“. ცეზარის მიერ მიღებული იმპერატორის წოდება არსებითად არა მარტო პრინციპისა და საპატიო ტიტულს ნარმოადგენდა, არამედ უმაღლეს ხელისუფლებაზე მითითებას (ნერეთელი, 255).

კეისარი სიცოცხლეშივე გაღმერთებული იყო. იმ პერიოდის მონეტებზე ქალღმერთ ვენერასთან ერთად იულიუსის პორტრეტიც გამოისახული. ის ნარმატებით სარგებლობდა იულიუსების საგვარეულოს „ღვთაებრივი ნარმოშობით“. ამ მიმართულებით საქმე იქამდე მისულა, რომ ცეზარს თურმე პირდაპირ „იუპიტერ იულიუსს“ უწოდებდნენ და მისთვის და შეწყალების ქალღმერთისთვის ცალკე ტაძრები აუგიათ (ნერეთელი, 256).

ცეზარმა კაპიტოლიუმში 7 ტრადიციულად გააზრებული მეფეების გვერდით მერვე თავისი ქანდაკება აღამართინა ანუ ღვთაებრივი ნარმოშობა და რომის მეფის ტიტულატურა ერთდროულად ფიგურირებს მის მოღვაწეობაში.

კეისრის მკვლელობას მეგობართა, ახლობელთა მხრიდან გადამეტებული თაყვანისცემა და გაღმერთებაც უწყობოდა ხელს. ამის მაგალითები შემოგვინახა ისტორიამ, როდესაც მას საგანგებო რწმუნებანი მიანიჭეს. მისალოცად მისულ კონსულებს, პრეტორებს, სენატის სხვა წევრებს, საორატორო ტრიბუნაზე მჯდარი ცეზარი ფეხზე არ ნამოუდგა ანუ მეფურად მოიქცა. მეფე უნდა მჯდარიყო და სხვები კი ფეხზე მდგარიყვნენ. ამან მთელი ქალაქი გაანაწყენა. ფეხზე ადგომა არ დაანება მისმა მლიქვნელმა მეგობარმა კორნელიუს

ლად გამოჩნდა, რომ არ სურთ მეფე, არ სურთ თავისუფლების დაკარგვა. კეისარმა გვირგვინი კაპიტოლიუმში წააღებინა, ხოლო მეორე დღეს, როდესაც ნახეს სამეფო გვირგვინით მოკაზმული კეისრის ქანდაკებები, „სახალხო ტრიბუნები, ფლავიუსი და მარულიუსი მყისვე მიიჭრნენ ქანდაკებებთან და მათ მოკაზმულობა დასსნეს, მერე კეისარს რომ პირველად მეფესავით მიესალმნენ, ის პირები დაძებნეს და საპყრობილეში წაიყვანეს. ხალხი ტამის გრიალით მიჰყვებოდა ამ სახალხო ტრიბუნებს და მათ „ბრუტუსებს“ ეძახდა (პლუტარქე, 530).

კეისარი ამ საკითხს უყურადღებოდ არ დატოვებდა, არ დათმობდა მისი დიდების შელახვასა და მასთან დახლოებული პირების დაპატიმრებას. მან მკაცრად გააკრიტიკა სახალხო ტრიბუნები და ხალხიც ანუ კომფლიქტი კეისარსა და ხალხს შორის უფრო გამწვავდა. ცხადია რომაელებში ოპოზიციის წინააღმდეგ. ბრბოს აღარ ახსოვდა კეისრის ესოდენი პატივისცემა და დახმარება ხალხისადმი. ცხადია, ესეც გააღიზიანებდა იულიუსს, რადგან მის მიერ რომაელებისთვის გაცემული თანხა, პური და სხვა სურსათი, ჯერ კიდევ არ ექნებოდათ გახარჯული და ამ დროს მათ არ სურთ კეისრის მეფედ აღიარება. ხელისუფალს, რომელიც მართავს ქვეყანას, აიდიანებს ერი, მეფე ერქმევა თუ იმპერატორი, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, პომპეუსელები მისადმი მტრობას არ ივწყებდნენ. ასეთმა მოძრაობამ რომში წინა პლანზე ოპოზიციონერთა შორის წამოაყენა ბრუტუსი, რომელიც პომპეუსის გვერდით იბრძოდა კეისრის წინააღმდეგ. მან კი არა მარტო შეინყალა ბრუტუსი, არამედ მრავალი წყალობა და პატივი უბოძა, შემდეგ პრეტორიც გახდა და კონსულიც. მას იმდენად ენდობოდა იულიუსი, რომ კაცს, რომელმაც ბრუტუსი და შეთქმულება დაასმინა, უთხრა: „ბრუტუსი მოითმენს იმდენს, რომ ამ სხეულს არ შეეხოსო და საკუთარ ტანზე მიიღო ხელი“ (პლუტარქე, 531). მაგრამ ბრუტუსს თავისი წამქეზებლებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც ალიზიანებდნენ მას და ალაგზნებდნენ შეთქმულებს წასძლოლო-

და. საქმეები, რომელთაც იგი



პოეზია

თამარ გიორგაძე

ვაზი

დასაბამიდან კურთხეულ ქართულ მიწაში ნიპნებად ჩაცვნილი, უფლის მადლით გაღვივებული, სამარადისოდ ღრმად ფესვგანფენილი... მადლიანი წიაღით გულუხვად ნასაზრდოები, მზეს მზირალი, მინის ზევით ლაღად ამოხეთქილი, ნორჩი ყლორტებით ზეცისკენ იმედით მომზირალი... დილის ცვარნამით უხვად ნაკვები, ლერწებით ჭიგოს მჭიდროდ შემოკონილი, ადრე გაზაფხულზე ჭრილობიდან მაკურნებელ ცრემლად დაღვრილი, იას ჩაკონებულნი...

ზამთრის პირი

ზამთრის პირს, როცა ვეღარ ირჩენს ხის ტოტი ფოთოლს, თავსხმა წვიმებიც დაარღვევენ ქუჩებში კომფორტს, სველი ფიქრებიც წამოაწევენ ქარბუქებს ცის ფონს, გაძარცვულ სხეულს შემოაცემენ ზამთარიც თეთრ ქურქს ... სწორედ დროისცვლის ზეციურთან კავშირის იმ წუთს, წარმოსახვები შეაწუხებს პოეტის ურჩ გულს, ფურცელზე მსუყედ გადაიტანს სტრიქონებს შეთხზულს, მეტაფორული ეპითეტი

შეამკობს სასრულს, კვლავ მიამსგავსებს ყინვის ლოლოს, მთის კრისტალს, ნაზ ბროლს... უკუგაზიხდვით ცნობიერის უარყოფს ძველ როლს... ისევ სატირა-იუმორით ინებს კონტროლს, დელიკატურად ირგებს ნიღაბს, თამაშობს მონოს... კვლავ პოეზიით ივსებს სივრცეს, ღიღინებს სოლოს...

გავიძარცვეთ თუ გავაცვით ნაშეკრს?!

შემოდგომის მზე მწველი სხივებით, სულში გვიტოვებს მკვეთრ ნაწიბურებს, წრფელი გული კი არბენ-ჩარბენით, გრძნობას გაუმხელს ცის საფეხურებს... განცდილი დარდი, უტყვი დათმენით ჩვენში დატოვებს ღრმა ნაფეხურებს და ფრთების ნაცვლად წარმოსახვებით გადაფუქროლებს ძველ სახურავებს... ქვევით კი, ფერად ფოთლების ზღვაში, ვიღაც გაცვეთილს ყრის საბურავებს, ვიღაც კი სინდისს ეთამაშება, კუპიურად ცვლის წვრილ ნახურდავებს...

გულდასმით არგებს ნემსზე საცდურს და მაცდურ ღიმილით წყალს ანდობს ანკესს... ცხოვრების ომში ალაფით ვხარობთ, ბედი კი მის ძღვენს ადვილად გვართმევს, მოულოდნელი სირთულით გვიმხელს, გავიძარცვეთ თუ გავაცვით ნაშეკრს...

მაღლიერების მანტია

სიყვარულს ჩემებურად გამოვხატავ, სითბო და მოფერება რომ ჰქვია... ამიტომ თქვენს წინაშე წარსადგომად დედის ნაქონი კაბა მაცვია... ცოტა ჩემებურად ხელდასმული, ხასიათზე მორგებული კარგია... ალბათ, მეთანხმებით განცდაში, რომ მშობლის სამოსი განძია... მღეფად განვლილი ცხოვრება და მაქმანად ზნეობის არშია... დედის სიყვარულით სავსე მზერა,



ვიღაც საკუთარ თავთან კამათობს, ვეღარ ერევა დაგროვილ ვალებს, ვიღაც ვერ იცავს წესსა და კანონს, ჯიუტად ურჩობს, აღრმავებს დავებს... ვიღაც მეთევზის მოსასხამს ირგებს, ნავსაყუდელზე ამაგრებს ნავებს,

შვილს მისი ღირსება აცვია... მისი პულსაციის ჩემში უღერა, გული ნათურად ანთია, ისე ვერაფერი ვერ შეგვმოსავს, როგორც მაღლიერების მანტია...

წედიდები აწაფენნე და აწაფრის გამდ

დასაწყისი გვ. 4,5

განსხვავებით მისგან რედაქტირებული (უფრო სწორად - არარედაქტირებული) ნარკვევებისაგან, აქ მკაფიოდ ჩანს კვლევის მიზანიც, მსჯელობის ლოგიკურობაც, დასკვნების დამაჯერებლობაც. ჩემი შენიშვნები კი ეხება შემდეგ გარემოებებს:

არ შეიძლება ფსევდონიმის (ნესბის, ზედმეტსახელის) თარგმანი. ვთქვათ, რუსმა რომ რუსთველის ციტატა მოიყვანოს, ქვეშ უნდა მიაწეროს არა შოთა ივ. რუსთველი, არამედ რუსთველი. ამიტომ 116-ე გვერდზე რომ წერია ნიშანი განჯელი - ესაა ზედწოდების (ნესბის) თარგმანი. უნდა იყოს განჯელი!

110-ე გვერდზე შუა ორი აბზაცი კარგად გამართული მსჯელობაა, ოღონდ ქვეშ მიწერილი უნდა ყოფილიყო ვ. ნოზაძე; 112-ე გვერდზე საუბარია „ისკანდერ-ნამეს“ პერსონაჟ ნესტან-დარჯიხანზე. ეტყობა, მკვლევარს ნაკითხული არ აქვს 2011 წელს გამოშვებული ჩემი „ნიშანი და რუსთველი“

ლი“, სადაც გამოწვლილით და ფართოდ არის მსჯელობა იმაზე, რომ ნესტანისა და ტარიელის პროტოტიპებია „ისკანდერ-ნამეს“ პერსონაჟები ნესტან-დარჯიხანი და ვეფხისტყაოსანი მოყმე, რომელმაც ყველა რაინდს სძლია და ალექსანდრე მაკედონელს საჩუქრად გადასცა მზეთუნახავი ქალი ნესტან-დარჯიხანი. იქვე მთლიანად არის მოყვანილი ტექსტი ნესტან-დარჯიხანის ქებისა (იხ. ნიშანი და რუსთველი, 2011, თავი „ტარიელისა და ნესტანის ლიტერატურული პროტოტიპები“, გვ. 178).

მკვლევარი ბიგანიშვილი იმაზე წუხდა, რომ ვერ დაედგინა, რომელი ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენელია რუსთველი. ამის საწინააღმდეგოს ბრძანებს ივ. ამირხანაშვილი: „არ შეიძლება პოეტი მიეკუთვნებოთ რომელიმე ფილოსოფიურ მიმდინარეობას“ (118). დიახ, ეგ აგრეა და ყველაზე ადრე ეს აზრი გამოთქვა პროფ. იუზა ევგენიძემ; გაიმეორეს მ. თავდშივილმა, ე. ხინთიბიძემ და სხვამ.

„ვეფხისტყაოსნის ალეგორიის“ ავტორი ბ-ნი თეიმურაზ ჭანტურიშვილი უნდა ერიდოს ალეგორიის უსამანო გამოკიდებას, რაც ერთობ სახიფათოა. ერთგან უწერია „სინამდვილესთან მიმართებაში“. ეს რუსულის კალკია. ქართულადაა - „მიმართებით“ (139); წერია „იგივეს ვხედავთ“, უნდა იმავეს (140). იმავე გვერდზე დავარი მხოლოდ ქალის სახელად არის წარმოსახული და განწვალული ასე: და ვარ. სინამდვილეში დავარ სპარსული სახელია და ერქვა როგორც მამაკაცს, ისე ქალს; სწორედ იგივე ითქმის სახელზე ვისი. სპარსეთში ეგ სახელი ერქვა კაცსაც და ქალსაც. რაღა შორს წავიდეთ, ვარდანი ერქვა შუშანიკის მამასაც და შუშანიკსაც; ჩიქორთულია „ხელმძღვანელობისათვის მონოდებული ლიდერი“ (144). სამუქოდ ქართულია: ლიდერი, რომლის მონოდებაცაა ხელმძღვანელობა; წერია „იგივე პროლოგში“ (146). იგივე უნდა გადავიდეს მიცემით ბრუნვაში, რაკილა „პროლოგში“ მიცემითაა. მაშ, სწორია იმავე პროლოგში;

იქვე დაბეჭდილია: კუპლეტში. არა, აქ როდია საუბარი სასიმღერო სტროფზე, რომელსაც კუპლეტი ეწოდება. უნდა სტროფი; დასტამებული ასეთი რამ: მე-11-ე. სწორია მე-11 (იხ. V კლასის გრამატიკა, გვ. 39).

ისედაც კარგად ვიცოდით, თუ რასა ნიშნავს ხაიაზმური მხატვრული ფიგურა და მათა ცერცვადის საამრიგო მსჯელობა მაშინ გახდებოდა მეცნიერული ღირებულებისა, რომ ეგ ისედაც ცნობილი კონსტრუქცია კიდევ ერთხელ კი არ შეეხებინა ჩვენთვის, არამედ შეემონებინა ე.წ. „სადავო“ ნაწილში - „ინდო-ხატველთა ამბავში“ - როგორ არის მომარჯვებული და ამ ასპექტით ეს სამი თავი არის თუ არა ხაიაზმური ხერხის დიდოსტატ რუსთველისა.

ასეთია IX რუსთველოლოგიური კრებულის ავლა-დიდება და ავანაჯანი.

2023 წ.



იხილავდა სავსე იყო წარწერებით: „შენ გძინავს, ბრუტუს“, „არა, ბრუტუსი არ ხარ!“ (პლუტარქე, 534). ასე რომ, ბრუტუსს თავისი აგიტატორები ჰყავდა, რომლებიც უკიჟინებდნენ, რომ თავისი მამა-პაპათა პრინციპს ლაღობდა და არ იბრძოდა მეფის სტატუსის დამკვიდრების წინააღმდეგ. კეისარს კი შეთქმულებაზე საუბარი არ აინტერესებდა, როგორც ჩანს, არც ეჭვიანი იყო და არც მრწმენი, რომ სიფრთხილე გამოიჩინა და ყურადღება გაემახვილებინა, მით უმეტეს, ქვედაყვირდებოდა და მოკიდებულება და ხალხის განწყობა იცოდა. მას თითქოს სჯეროდა ნათელმზილეების, მაგრამ მათ აზრს ითვალისწინებდა თუ არა, ძნელად გასარკვევია. პართიის დაპყრობის თაობაზე წინასწარმეტყველება, რომლის მიხედვითაც პართიას მხოლოდ მეფე დაიპყრობდა, თითქოს სჯეროდა. პომპეუსთან ბრძოლის წინაც ნათელმზილეობა მიიწმინდასაც ასევე სჯეროდა, სწამდა და უკან მაინც არ იხევდა. ეს ახლა კიდევ. მისი მკვლელობის შესახებ წინასწარმეტყველება თითქოს არ სჯეროდა. იგი ქურუმთუხუცესი იყო და იმ პერიოდის რელიგიამი წინასწარმეტყველება,

ნათელმზილეობა, ჩვეულებრივი რელიგიურად მიღებული ფაქტი იყო. ასევე გარკვეული ადგილი ეთმობა წინასწარმეტყველებას ბიბლიაში. ასე რომ წინასწარმეტყველებით დაფიქსირებული აზრი გასათვალისწინებელია, რადგან ეს არაფერს ვნებს არც პიროვნებას და არც ქვეყანას.

ავი ბედისწერის მრავალი ნიშანი იხილეს მაშინ რომაელებმა: „ზეცაზე ცეცხლის აელვარება, ღამით ამტყდარი ხმაური“. „სტრაბონი მოგვითხრობს (ამ პერიოდში სტრაბონი 20 წლის იყო ძვ.წ.64-24 ახ.წ.-აღ.წ.). ზეცაზე მრავლად გამოჩნდნენ ცეცხლმოდებული მემომარნი, რომელნიც ძირს მოქროდნენ... ამ დღეს კეისარი მსხვერპლს სწირავდა. აღმოჩნდა, რომ სამსხვერპლო პირუტყვს გული არა ჰქონდა. ეს დიდი უბედურების ნიშანი იყო“ (პლუტარქე, 532).

იულიუსი უფრო მეტად ცოლის სიზმარმა შეაშფოთა. „როგორც ლივიუსი გადმოგვცემს კალპურნიას ესიზმრა ვითომცდა სენატის გადწყვეტილებით კეისარის სახლის თავზე პატივისცემის ნიშნად დადგმული ქონგური გადმონგრეულიყო, ამიტომ მოთქვამდა და ტიროდა ძილში“ (პლუტარქე, 533). ამიტომ ეხევენებოდა იგი ქმარს - არ

ნასულიყო სენატში, რისთვისაც კეისარმა გადაწყვიტა ანტონიუსი გაეგზავნა და სენატის სხდომა გადაედო. მაგრამ ამ დროს შეთქმულმა სენატორებმა დეციმუს ბრუტუსი მიუგზავნეს კეისარს, რომელსაც კეისარის ისეთი ნდობა ჰქონდა, რომ მხოლოდ მემკვიდრედ ჰყავდა ჩინებული ანდერძი. ბრუტუსმა ჯერ მისწავს დასცინა და გააკრიტიკა, მერე კი მეტად მაცდუნებელი რჩევები მისცა: სენატი შენი მოწვევით შეიკრიბა დღეს; ყოველი სენატორი მზად არის იტალიის გარეთ მდებარე და რომისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნებში და აგრეთვე ზღვაზე ყოფნის ყამს სამეფო გვირგვინის ტარების უფლება მოგცეს. აბა, რას იტყვიან შენი მტრები, ან შეკრებილ სენატორთ რომ ვინმემ გამოუცხადოს: ახლა დაიშლენით და მაშინ შეიკრიბეთ, როცა კალპურნია უკეთეს სიზმრებს იხილავსო?... თუ მაინცდამაინც დღევანდელ დღეს საბედისწერო დღედ თვლი, მაშინ უმჯობესია შენ თვითონ მოხვიდე სენატში და სხდომა გადადებულად გამოაცხადო“ (პლუტარქე, 534).

(გაგრძელება იქნება)

„მესხური ფოლკლორი“

„მესხური ფოლკლორი“ I ტომის გამოცემიდან შეიქმნა მეტი გაეცა. თავდაპირველად, წიგნზე მუშაობისას, ვერაულოდით მის ორ ტომად გამოცემას, მაგრამ, რესპუბლიკის სხვადასხვა მუზეუმებში, არქივებსა თუ ფოლკლორის ცენტრებში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ხალხური ზეპირსიტყვიერების იმდენი ახალი და საინტერესო ნიმუში მოვიძიეთ, რომ შეუძლებელი გახდა მისი ორ ტომში ჩატევა.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ მუზეუმებსა და არქივებში, საგულდაგულოდ დაცული აღმოჩნდა გასულ საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე ფოლკლორისტების ნიკო ასათიანის, გიორგი გოგობაძის, ილია მასურაძის, ვახტანგ სუღაძის, კომპოზიტორისა და ფოლკლორისტის ვალერიან მალაძის, დიდი მეცნიერისა და ფოლკლორის მკვლევარის, შოთა ლომსაძის მიერ სხვადასხვა დროს ჩანერილი ხალხური ლექსები, აშუაური პოეზიის ნიმუშები. რეგიონის მოსახლეობაში მოვიძიეთ სხვა ბევრი მასალა. განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობილი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ზედგინიძის მიერ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ჯავახეთში ჩანერილი ხალხური პოეზიის, წეს-ჩვეულებების, ლექსებისა და თქმულებების ნიმუშები, რომელიც მისმა გაჟამ ვლადიმერ ზედგინიძემ მოგვანოდა. ახალქალაქის მკვიდრმა, ან გარდაცვლილმა ნარცის კარაპეტიაძემ გადმოგვცა თავისი მამის, ასევე შესანიშნავი პოეტის, მთარგმნელისა და ფოლკლორისტის არსენ კარაპეტიაძის მიერ ჯავახი (ქართული) აშუალების ლექსები და თურქულენოვანი აშუაური პოეზიის მისეული თარგმანები (XIX-XX საუკუნის დასაწყისში აშუალების უმეტესობა ძირითადად თურქულ ენაზე თხზავდა ლექსებს და ამავე ენაზე მღეროდა); იმავე პერიოდში მოღვაწე ახალქალაქელი სახალხო მთქმელების — არჩილ ლომსაძისა და ზაქარია ალელიშვილის მიერ ჯავახეთში ჩანერილი ლექსები და თქმულებები გადმოგვცეს მათი ოჯახის წევრებმა ცარო ლომსაძემ და რეზო ალელიშვილმა. ყოველივე ამან მესხური ფოლკლორის სამცხეთულის გამოცემის შესაძლებლობა მოგვცა.

წიგნის შედგენაში განსაკუთრებული დახმარება გაგვინია ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ეროვნული მუზეუმის დირექტორმა ციური ლავანია, მეცნიერ-თანამშრომლებმა გრიგოლ (გრიშა) ჯვარციანი და ნატო ყრუაშვილმა, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა თინათინ მამასტარაშვილმა, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ირმა რატიანმა, მეცნიერ-თანამშრომელმა, ფოლკლორის არქივის ხელმძღვანელმა მარინა ტურაშვილმა, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ლაშა ზაქარაძემ, ხელნაწერთა განყოფილების გამგემ მარინა ყიფიანმა, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ, ზეპირსიტყვიერების მიმართულების სამსახურის უფროსმა ეთერ თათარაიძემ, ფოლკლორის არქივის ხელმძღვანელმა ნანა კალანდარიძემ, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ, განყოფილების თანამშრომელმა ესმა მანიაძემ, საქართველოს ეროვნული არქივის დირექტორმა თეონა იაშვილმა, თსუ-ის პროფესორმა ქეთევან სიხარულიძემ. მესხური ფოლკლორის II ტომის მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ახალციხის კერძო სკოლა „მზექას“ პედაგოგმა, ფილოლოგიის დოქტორმა სოსო გიქოშვილმა, უდელმა სახალხო მთქმელმა ანტონ ბალახაშვილმა, ახალციხელმა ისტორიკოსმა რეზო ანდლუ-

ლაძემ, ან გარდაცვლილმა, ახალციხელმა მეცნიერ-მკვლევარმა და პოეტმა ვაჟა სამსონიძემ.

წინამდებარე ტომში მრავალადაა წარმოდგენილი ქართულ პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში სხვადასხვა დროს მოძიებული და დაბეჭდილი ცნობილი მოღვაწეების მამა-შვილ იოანე (ვინმე მესხის) და კონსტანტინე გვარამაძის, ვასილ კობტონაშვილის, ილია ალხაზიშვილის, სერგი მაკალათიას, ივანე ბარკალაშვილის, მაჰმადიანი მესხის ნაზირა ვაჩნაძის (თარგმანის სახით) მოძიებული ლექსები, ლექსები და თქმულებები.

„მესხური ფოლკლორი“ II ტომში შევიტა-



ნეთის ლექსებიც, რომელთა ვარიანტები შესულია „მესხური ფოლკლორი“ I ტომში და ასევე გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თუმცა ბევრი მათგანის მესხეთში თავდაპირველი გავრცელების უტყუარობაზე მოუთხოვს ცნობილი მკვლევარების მიერ მესხეთში ჩანერილი ვარიანტები, კერძოდ, „შეხვედრა ყიფაღთან“ და „თავფარაველი ჭაბუკის“ რამდენიმე ვარიანტი (იოანე გვარამაძე-ვიწიძე, შოთა ლომსაძე და სხვ.). ასევე, განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი ზედგინიძის მიერ ჯავახეთში ამირანზე ჩანერილი თქმულების 20-მდე ვარიანტი.

II ტომში, ცალკე, განყოფილების სახით, წარმოდგენილი ეპიტაფიები და შულოცვები, რომლებიც მკითხველს უთუოდ დაინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ მესხური ფოლკლორი სამ ტომად გამოიცემა, მას მაინც ვერ მივიჩნევთ სრულყოფილ გამოცემად, რადგან გასული საუკუნის 60-80-იან წლებში რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და მუზეუმების ფოლკლორული ექსპედიციების მიერ რეგიონში მოპოვებული მესხური ფოლკლორის მრავალი ორიგინალი დედანის სახით იქნა გატანილი და, ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერ მივაკვლიეთ. მათი გამომზეურება კიდევ უფრო გაამძიდრებდა მესხურ ფოლკლორს.

სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ხანდაზმული ადამიანის მესხიერებას ვერ კიდევ შემორჩა ძველი მესხური ხალხური ლექსები და თქმულებები, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა გარემოებების გამო, ვერ მოხერხდა მათი ჩანერა. ასევე დაკარგულად ითვლება ერთ დროს სახალხო მთქმელების ოჯახებში შემორჩენილი მათი ფოლკლორული ჩანაწერები.

წინამდებარე გამოცემის სრულყოფილებაში პრეტენზია არ გვაქვს. შესაძლოა, ნაკლიც ბევრი ჰქონდეს, მაგრამ მინარსით,

მრავალჭირვარამ გამოვლილი მესხი მოსახლეობის ყოფისა და განწყობის, ეპოქალური მოვლენების ხალხური თვალსაწიერიდან და ნახვა და მისი თაობიდან თაობაზე გადმოცემა, მნიშვნელოვან წარმოდგენას შეგვიქმნის იმ პერიოდებზე, როცა ხალხური პოეზიის ნიმუშები იქმნებოდა. ლექსებსა და თქმულებებში კი წარმოდგენილი მოვლენების დიდი ნაწილი ხომ რეალობიდანაა აღებული და, ხშირად, ზუსტად ასახავს ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტს. ამდენად, მიგვაჩნია, რომ თავისი ნაკლოვანებებითა და მნიშვნელობით ეს გამოცემა დიდი შენაძენი იქნება ქართული ფოლკლორის განვითარების საქმეში, რადგან, დღესდღეობით, „ძველი თაობის“ მიერ



შემნილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ნელ-ნელა დაიწყებს ეძლევა და ხვალ-ზეგ შესაძლოა, სრულიად დაიკარგოს.

„მესხური ფოლკლორი“ III ტომი, ანალოგიური ფორმატით, უახლოეს მომავალში გამოვა. მასში ძირითადად შევა ზღაპრები, მესხური წეს-ჩვეულებები, ანდაზები და გამონათქვამები, გამოცანები, საბავშვო თამაშები. აქვე დავმეთ, სიამოვნებით მივიღებთ ყველა იმ შენიშვნას, რჩევას, საქმიან წინადადებას, რომელიც უეჭველად იქნება გათვალისწინებული III ტომის გამოცემის დროს.

აქვე უნდა აღვნიშნო და მადლიერება გამოვხატო საქართველოს პარლამეტის მაჟორიტარი დეპუტატის ანტონ ოზოლაშვილისა და მხარის გუბერნატორის ზესიკ ამირანაშვილის მიმართ წიგნის გამოცემაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ადიგანის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მერების გოჩა ქიმაძის, როსტომ მაგრაქველიძის, მელქონ მაკარიანის, ირაკლი ლაზარაშვილის, ოთარ არბოლიშვილის, ანივარდ მოსოიანის მიმართ ფინანსური დახმარებისათვის.

წიგნი მალა პოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდა გამოცემის „სეზანის“ სტამბაში და დაკაბადონებულია ირმა ჯიშკარიანის მიერ. გამოცემის რედაქტორია რუსუდან ბერიძე, რეცენზენტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე.

ამთანდელ გერმანიაში, „მესხური ფოლკლორი“ რედაქტორ-გამომცემელი

ჭიდაობა

ორთავე სარწმუნოების ხალხისთვის, როგორც რელიგიურ დღესასწაულზე, ისე სახალხო დღესასწაულზე, იმართება სახალხო ჭიდაობა. ჭიდაობის მოყვარულნი რამოდენიმე დღით ადრე აცხადებდნენ ჭიდაობის დღეს. სოფ. უდის ირგვლივ მყოფი მახლობელი 20-30 სოფლიდან თავს იყრის უმთავრესად მამრობითი სქესის მაცურებელი. ყოველი სოფელი ამაყობს თავისი მოჭიდავეთი. ხანდისხან ჭიდაობის თაობაზე სოფელთა შორის სერიოზული უკმაყოფილებაც ხდება, რაც ფიზიკური ანგარიშსწორებით თავდება ხოლმე. ჭიდაობა გრძელდება რამოდენიმე დღით. ყველიერებისას კი 15 დღიანი ჭიდაობა იცინა. ჭიდაობა ხდება ისეთ კალოზე, რომლის მახლობლადც ერდოები იქნება მაცურებელთა დასაჯდომად. ამ დღეებში დიდძალი ხალხი თავს იყრის. წესრიგის დამცველი 2-3 ვაჟი დაბლა იცავს წესრიგს. მიმართავენ რომელიმე სოფლის წარმომადგენელს: „აბა, თქვენი ფალავანი გამოიყვანა!“ ფალავანის გამოვლინებისას მოწესრიგებთ თვითონ წელს ზემოთ ახდევინებენ ფალავანს, გამოიყვანენ მოედანზე ორთავეს და ზემოთ — ერდოდან იწყება დოლ-ზურნის დაკვრა. ფალავნები ჯერ თავთავიანთი უნარისა და ხელობის საჩვენებლად თამაშობენ, 5-7 წუთის შემდეგ იწყება ჭიდაობა. გამარჯვებული სოფელი ცდილობს თავისი ფალავანი არ დააჭიდავებინოს სხვაზე, რომ პირველობა მათ შერჩეს. ერთი თაობა (1890-1895 წლებში დაბადებულების) ცნობილი მოჭიდავენი არიან: უდელეები — შახამედ ბარათაშვილი, ისა ჩილაშვილი, რასულ პეტაშვილი და ივანე ბალახაშვილი; სოფ. არალიდან — იაპო-პეტრე აკოფაშვილი, ლელოვიანი — მუსა, სოფ. წრიდან — ე.წ. წრიელი მუსა, სოფ. ქვემო ენთელიდან — ბადალ ალა (1850 წელს დაბადებული).

წაკვა

ცეკვათა შორის ცნობილია ქართული პარი, ხორუმი, ქოჩარი, ლეკური, ე.წ. სიჩრათმა, შამილა, უზუნღარა, ბალადური, თელლოდა და სხვა. პარი — ფერხული უმთავრესად მიღებულია ქორწილში და ყაინობის დროს. მუსლუმანურ ქორწილში დასაშვებია ქალთა ცეკვა მხოლოდ ქალების ოთახში, როგორც ინდივიდუალური, ისე — მხოლოდ ქალთა, კოლექტიური.

გასართობა შორის სახალისოა ახალგაზრდებისთვის „პოჭორა.“ იგი მარტივი მოწყობილობისაა. 6-7 მეტრი სიგრძის ბოძს იღებენ, ხვრეტენ შუაზე. არჭობენ 1-2 მეტრის სიმაღლის მქონე სვეტზე ისე, რომ ბოძი მისივე ღერძის ირგვლივ ბრუნავდეს შორიზონტალურად. ბოძის თავების მოპირდაპირე მხარეზე — მიმართულებით ზედ მუცელზე მიჯდებიან და იწყებენ ტრიალს.

ამრიგად იმართება ბრუნვა თავიანთი ფეხებით. ერთი რომ მალა ადის, მეორის ფეხები ძირს ეშვება, ურტყავს ფეხებს მიწაზე და მალა ადის. მეორე ეშვება დაბლა, ისიც ასევე ფეხით აჩქარებს ბრუნვას და ასე გრძელდება წრე-ბრუნვა.

ლატიფშაჰ ბარათაშვილი, „სოფელი უდე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა. 1943-1944 წლები.“

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დაფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რედაქციის მისამართი: საპარტიალო N19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თვედორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3, ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meshketi@gmail.com
lit.meshketi@yahoo.com